

უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი კანონმდებლობა



№4 სექტემბერი-ოქტომბერი 2016



№4 September-October 2016

www.b-k.ge
info@iverioni.com.ge



Business & Law

ბიზნესი და კანონმდებლობა

№4 სექტემბერი

ოქტომბერი 2016

საქართველო

ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი

რეგისტრირებულია 2008 წლიდან

WWW.B-K.GE

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. უამრავი სტატიების უინაარსუზო და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ნაქვემოთ მისამართი:

თბილისი, კოსტავას ქ. 6. სართული 3.
ტელ: 293-53-20, 599 56-14-57, 599 34-64-27
ვებ გვერდი: www.b-k.ge
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE30BG000000850902700; ს/კ 404956455.

გამომცემელი:

საქართველოს აუდიტორთა, ხელაღწერისა და ფინანსური მენეჯერთა ფედერაცია,
საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“

რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაურ ნაჭყალია

მთავარი რედაქტორი:

იური პაპასუხა, ეკ. მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილია ალაშვილი

ტექნიკური რედაქტორი:

ლევან ბოჭორიშვილი

სამეცნიერო საბჭო:

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

ნოდარ ჭითანავა, ელგუჯა მექვაბიშვილი,
პაატა კოლუაშვილი, ნოდარ ხადური, ნატო კაკაშვილი, ნანა შონია,
დავით ჯალაღონია, თემურ ხომერიკი, კოტე აბულაძე,
ნიკოლოზ ჩიხლაძე, ლარისა თაკალანძე, გიორგი ღვინია, ლია ელიავა, დავით ჭიოტაშვილი, სულიკო ფუტყარაძე, დემნა კვარაცხელია,
ანზორ მესხიშვილი, ბორის ჭიჭინაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი
ავთანდილ სილაგაძე.

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ჯემალ ბახუაძე.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ბურბუღ ნაჭყალია.

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მამუკა თავაძე.

როზარტ მ. მაკაბი (აშშ ფაქტევილის სახელმწიფო
უნივერსიტეტის, პროფესორი)

ვინსენტ რ. ჯონსონი (სანტ-მარის უნივერსიტეტის სამართლის
პროფესორი, სან ანტონიო, ტეხასი, აშშ)

ანტონი მ. დენსი (ნორტვესტრალის უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის
პროფესორი, პრესკოტის ველი, არიზონა, აშშ)

ბერნარდ ზიგლერი (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),

იოჰან ფიშერი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

ალი ალერზევი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

მარი ლანგი (EFAA-ს ტექნიკური დირექტორი).

ანნა კარმანსკა (პროფესორი, EFAA-ს გამგეობის წევრი,
ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლის ბუღალტრული
აღრიცხვის კათედრის ხელმძღვანელი).

ალექსანდრე რუზი (რუსეთის ფედერაციის ბუღალტრულ ექსპერტთა და
ფინანსურ აუდიტორთა გილდიის გამგეობის თავმჯდომარე, აუდიტორულ
საკონსულტაციო ჯგუფის „რუსეთი/ინაუდიტ ალიანსის“ გენერალური
დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე).

ლილია ბრიგოროვი (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
მოლდოვეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის
ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

ფადრიკო დიომედა (დოქტორი, EFAA-ს პრეზიდენტის
საგანგებო მრჩეველი).

რობინ იარპერსი, (პროფესორი, ASSA-ის საგანგებო მრჩეველი).

BUSINESS & LAW

№4 SEPTEMBER
OCTOBER 2016

SCIENTIFIC,
ANALYTICAL-PRACTICAL JOURNAL
Referenced since 2008

WWW.B-K.GE

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

ADDRESS OF EDITORIAL BOARD:

Tbilisi, Kostava str. 6.

Tel: 293-53-20, 599 56-14-57, 599 34-64-27

URL: www.b-k.ge

e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

Bank details:

JSC Bank of Georgia

Bank code: BAGAGE22

c/a GE30BG000000850902700 i/c 404956455

PUBLISHERS:

**THE FEDERATION OF AUDITORS, ACCOUNTANTS
AND FINANCIAL MANAGERS OF GEORGIA;
INFORMATION – ANALYTICAL AGENCY
„IVERIONI“**

CHAIRMAN OF THE BOARD OF EDITORS:

ZAUR NACHKEBIA

EDITOR - IN – CHIEF

IURI PAPASQUA, Doctor of Economics, Professor

EDITOR – IN – CHARGE

ILONA ADAMIA

TECHNICAL DIRECTOR:

LEVAN BOCHORISHVILI

EDITORIAL BOARD:

DOCTORS OF ECONOMICS, PROFESSORS:

Nodar Chitanava, Elguja Mekvabishvili, Paata Koguashvili,
Nodar Khaduri, Nato Kakashvili, Nana Shonia, Davit Djalagonia, Temur Khomeriki,
Kote Abuladze, Nikolodz Chikhladze, Larisa Takalandze, Giorgi Gavtadze, Lia Eliava,
Davit Chiotashvili, Suliko Futkaradze, Demna Kvaratskhelia, Giorgi Rusiashvili, Anzor
Meskhishvili, Boris Chichinadze.

Member-correspondent of the Georgian Academy of Sciences

AVTANDIL SILAGADZE

Doctor of Law and Politics Sciences

JEMAL GAKHOKIDZE

Doctor of Legal Sciences, Professor

GURAM NACHKEBIA

Doctor of Pedagogical Sciences

MAMUKA TAVKHELIDZE

Fayetteville State University Professor

ROBERT MCGEE (USA)

Professor of Law, St. Mary's University (San Antonio, Texas, USA)

VINCENT R. JOHNSON,

The Graduate School, Northcentral University,
(Prescott Valley, Arizona, USA)

ANTONY W. DNES

Berlin University Professor

BERNARD ZIGLER (GERMANY)

Bonn University Professor,

IOHAN FISHER (GERMANY)

Baku State University, Professor

ALI ALERZEVI (AZERBAIJAN)

MARIE LANG, Technical Director of EFAA

ANNA KARMAŃSKA, Professor, EFAA Board Member,
Warsaw School of Economics.

ALEXEY RUF, Chairman of the Board of Guild of Accountant
Experts and Financial Auditors of Russian Federation.

LILIA GRIGOROI, Ph. D.in Economics, Head of Accounting Department,
Academy of Economic Sciences of Moldova.

FEDERICO DIOMEDA, doctor, Special Adviser to the President of EFAA.

ROBIN JARVIS, Professor, Special Adviser,
Association of Chartered Certified Accountants.

შინაარსი

აუდიტორთა და, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წევრობა --	5
სულიკო ფუტყარაძე რას გულისხმობს 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საბადასახადო ვალდებულებების ჩამონერა -----	12
ნატო კაკაშვილი მსოფლიო გადაზღვრვის ბაზრები და საქართველო -----	15
ხათუნა ბარბაქაძე როგორ მონაწილეობს უცხოელი ინვესტორი კომპანიის შექმნასა და საქმიანობაში -----	18
ნათია ყოყუაშვილი რა უშლის ხელს ინვესტიციების მოზიდვას? (საინვესტიციო პოლიტიკის სოციო-კულტურული ასპექტები) -----	22
მარიამ გრიგალაშვილი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, როგორც განმსაზღვრელი ქალა ადმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საბარეო ვექტორის -----	25
ნათია კახნიაშვილი შემოსავლების განაწილების უთანაბრობა საქართველოში -----	28
თამარ გამსახურდია, იოსებ ბატიაშვილი ფულადი ნაკადების მართვის თეორიული მოდელები -----	32
ჯაბა ჩხარტიშვილი სადაზღვევო ბაზრის კონსტრუქციისა და კონტენტრაციის თავისებურებები საქართველოში -----	39
ივანე შავდათუაშვილი საბანკო მოგება საქართველოში -----	43
გელა ნიკლაური საინვესტიციო გადაწყვეტილებები ტრანსნაციონალურ კომპანიებში -----	54



აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია
THE FEDERATION OF AUDITORS ACCOUNTANTS AND FINANCIAL MANAGERS

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წევრობა (უპირატესობა, პრიორიტეტები)

ბატონებო, კოლეგებო,

თქვენთვის ცნობილია, რომ ხანგრძლივი დეტალების, პოზიციათა შეჯერების, პროფესიულ ორგანიზაციათა და დაინტერესებულ პირთა საერთო ძალისხმევით შედეგად, მიმდინარე წლის მაისის მინურულს საქართველოს პარლამენტმა, თავისი საქმიანობის ბოლო სესიაზე, „**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ**“ ახალი კანონი მიიღო. გარდა ცალკეული მუხლებისა, კანონი 2016 წლის 8 ივნისიდან უკვე მოქმედებს.

შეიძლება ითქვას, ეს ერთ-ერთი პოზიტიური გადაწყვეტილებაა, რაც ამ სფეროში გახორციელდა. წინა ხელისუფლების მიერ ძალდობრივად მიღებულმა კანონმა „**ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ**“ ვერ იმუშავა. ამიტომ ოთხი წლის განმავლობაში აღმოვიჩინეთ გაურკვეველ, დარგის განვითარებისთვის არახელსაყრელ გარემოში. ახალი კანონის მიღებით, გაჩნდა უკუნიშნებიდან გაღწევის შესაძლებლობა - ბუღალტრულ აღრიცხვას და აუდიტურ საქმიანობას პატრონი უკვე ჰყავს. სახელმწიფომ აღიდგინა ის ფუნქცია, რაც აქამდეც უნდა ეტარებინა. მ/წლის ოქტომბრიდან ამოქმედდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. ფუნქციონირებას დაიწყებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო, რაც გამორიცხავს პროფესიულ სფეროში მონოპოლიური ინტერესების ზეობას.

მიღწეულ შთამბეჭდავ წარმატებებში აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია აქტიურად იყო წარმოდგენილი და თამამად შეძლება ითქვას, რომ მთავარი ოპონენტის როლი იტვირთა.

ახალი რეგულაციის თანახმად, უკვე მ/წლის

ნოემბრიდან დაიწყება და აუდიტური საქმიანობის უფლება ექნებათ მხოლოდ იმ აუდიტორებს/აუდიტურ ფირმებს, რომლებიც რეგისტრაციას გაივლიან აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში, რომელსაც წარუძღვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.

აღნიშნულ რეესტრში რეგისტრაციის ძირითადი წინაპირობაა აუდიტორი ფლობდეს აუდიტორის/სერტიფიცირებული ბუღალტრის სერტიფიკატს, იყოს პროფესიული ორგანიზაციის წევრი და გადიოდეს განგრძობით სწავლებას. აუდიტური ფირმისთვის აუცილებელია დასაქმებული ყავდეს აუდიტორი/სერტიფიცირებული ბუღალტერი. ამდენად, აუდიტური საქმიანობისთვის, ნებისმიერ შემთხვევაში, გარდაუვალია აუდიტორი/სერტიფიცირებული ბუღალტერი იყოს პროფესიული ორგანიზაციის წევრი.

პროფესიულ ორგანიზაციების სტატუსი გათანაბრდა და უკვე არ მოქმედებს განსაკუთრებული პრივილეგიები. არჩევანი თქვენზეა და მიენდეთ იმ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელიც შეგიქმნით მეტ კომფორტს და გაზიარებთ სარგებელს.

ჩვენს შესახებ:

ა(ა)იპ აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია (აბფმფ), ს/კ 404921670, შეიქმნა 2011 წლის დეკემბერში იმ გავლენიანი მცირერიცხოვანი ჯგუფის საპრონოდ, რომელიც პროფესიაში მონოპოლიური ბიზნესინტერესებს ლობირებდა.

აბფმფ-ის მეცადინეობით, სპეციალისტების, პრაქტიკოსების და სახელისუფლებო სტრუქტურების ყურადღება მიექცა „ბუღალტრული აღრი-

ცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ, კანონის მონოპოლიურ, კორუფციულ და ეკონომიკის განვითარებისთვის ხელშემშლელ გარემოებებს.

აბფმფ-ის აქტიური, პრინციპული, შეურიგებელი პოზიციის შედეგად, დაიწყო, დაჩქარდა და შესაძლებელი შეიქმნა მიგველო არსებულზე ბევრად უკეთესი ახალი რეგულაცია, რომელიც პროფესიის განვითარებაზეა ორიენტირებული.

აბფმფ მონაწილეობდა გააერთიანოს ბუღალტრების, აუდიტორების, ფინანსური მენეჯერების, საგადასახადო კონსულტანტების - ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის ამ უმთავრესი მიმართულებების პრესტიჟის, კვალიფიკაციის, პროფესიული ინტერესების დაცვისთვის საერთო ძალისხმევა.

აბფმფ წარმოადგენს ანგარიშგასანევ ძალას - მოკლე პერიოდში გახდა:

- **ევროპის ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (EFAA)** სრულუფლებიანი წევრი (იხ. www.efaa.com/);

- **CIMA**-ს პარტნიორი საქართველოში;
- საერთაშორისო სავაჭრო პალატის (**ICC**) წევრი.

მიღებული აქვს CIMA-ს და IFA-ს, აგრეთვე ICFM საერთაშორისო სასწავლო პროგრამებით სწავლების უფლება;

გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები აღმოსავლეთ ევროპის და პოსტსაბჭოთა ქვეყნების IFAC-ის წევრ პროფესიულ და მარეგულირებელ ორგანიზაციებთან.

აბფმფ ცნო და თანამშრომლობის სურვილი გამოხატა მსოფლიოში წამყვანმა მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა. ისინი წარმოდგენილნი არიან ფედერაციის ბეჭდური ელექტრონული სამეცნიერო, ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალის „ბიზნესი და კანონმდებლობის“, სარედაქციო კოლეგიაში და სისტემატიურად აქვეყნებენ სტატიებს (იხ. b-k.ge.).

აბფმფ-ს შეიძლება თქვენც შემოუერთდეთ ფინანსურ-მმართველობითი, აუდიტორული, ბუღალტრული, ბიზნესსაკონსულტაციო საქმიანობის გარემოს შემდგომ გაუმჯობესებაში თანმხვედრი საერთო ინტერესებისა და მიზნების უზრუნველსაყოფად, ფედერაციის წევრის, ასოცირებული წევრის ან სტუდენტი წევრის სტატუსით.

საერთო ინტერესების უზრუნველყოფისთვის ძალისხმევის ორგანიზების გარდა (რაც თავისთავად მნიშვნელოვანია), ფედერაციის წევრებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ:

1. კონსულტაციები:

1.1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ,“ ახალი კანონის შესაბამისად, აუდიტორთა/აუდიტორული კომპანიების რეგისტრაციის, აუდიტორთა სერტიფიცირების, ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის და კანონის რეგულაციით მოცულ სხვა ნებისმიერ საკითხზე;

1.2. საბუღალტრო, ფინანსური და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების სფეროში;

1.3. სამენარმეო სუბიექტების ზომითი კატეგორიების მიხედვით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების, ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების შედგენის და სამართლიანი წარდგების საკითხებში;

1.4. სამენარმეო, საგადასახადო და ეკონომიკის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების ნორმების შესახებ;

1.5. ბიზნესის, კადრების, სამეურნეო პროცესების ოპტიმიზაციის შესახებ;

2. კანონიერი ინტერესების დაცვა:

2.1 მხარდაჭერა (წინადადებების და არგუმენტების მომზადება) სადაო საკითხებზე მედიაციის სამსახურებსა და სასამართლო ინსტანციებში;

3. რეკომენდაციები:

3.1. აუდიტორული კომპანიების შერჩევაზე საინიციატივო და ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად;

3.2. კადრების მომზადებასა და გადამზადებაში;

4. ხარისხის კონტროლის სისტემის უზრუნველყოფა:

4.1. IFAC-ის პოლიტიკის შესაბამისი ხარისხის კონტროლის სისტემის უზრუნველსაყოფად საჭირო ყველა საცნობარო-ნორმატიული მასალა;

4.2. ხარისხის კონტროლის სისტემის უზრუნველყოფის სწავლება სპეციალურად ორგანიზებულ კურსებზე;

5. სასერტიფიკაციო და განგრძობითი სწავლება ფედერაციის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო კურსებზე;

6. ბუღალტრულ, აუდიტორულ და ფინანსური მენეჯმენტის პრობლემურ საკითხებზე მოსაზრებების, გამოცდილების გაზიარების, სტატიების, რეკომენდაციების გამოქვეყნების შესაძლებლობა ფედერაციის ჟურნალში;

7. ფედერაციის ჟურნალის მეშვეობით, ნორმატიული აქტების, ცალკეული ნორმების გამო-

ყენების შესახებ განმარტებების, სიტუაციური სახელმძღვანელოების მიღება.

ფედერაციის წევრებისათვის სისტემატიურად (საკუთარი ინიციატივისა და წევრების მოთხოვნის საფუძველზე) ჩატარდება ლექცია-სემინარები აქტუალურ თემებსა და პრობლემურ საკითხებზე.

კატეგორიების მიხედვით, ფედერაციის წევრი შეიძლება გახდეს შესაბამისი პროფილის და პროფესიის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც იზიარებს ფედერაციის მიზნებს, განაცხადებს მზადყოფნას შემოუერთდეს საერთო ძალისხმევას ფედერაციის მიზნების და ამოცანების შესასრულებლად, პასუხობს დადგენილ კრიტერიუმებს და შეასრულებს ფედერაციის წესდებით განსაზღვრულ ვალდებულებებს;

ფედერაციის წევრობის კატეგორიებია:

- **წევრი** – ფიზიკური პირი (ბუღალტერი, სერტიფიცირებული ბუღალტერი (აუდიტორი), აუდიტორის სერტიფიკატის მაძიებელი, ფინანსური მენეჯერი, საგადასახადო კონსულტანტი), რომელიც იხდის საწევრო გადასახადს, სარგებლობს ხმის და მმართველ ორგანოებში არჩევის უფლებით, უპირატესობით და პრივილეგიით. ფედერაციის დამფუძნებელი ამავედროულად ფედერაციის წევრია;

- **ასოცირებული წევრი** – ფიზიკური პირი, რომელიც არ სარგებლობს მმართველ ორგანოებში არჩევის უფლებით, სარგებლობს წევრთათვის ამ წესდებით განსაზღვრული ყველა სხვა უფლებით, იხდის საწევრო გადასახადს დადგენილი განაკვეთის ოდენობით. ასოცირებული სტატუსით წევრობა დასაშვებია 2 წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ასოცირებულმა წევრმა, შესაბამისად, ფედერაციის გამგეობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისი ნამდვილ წევრად შეცვლის თაობაზე. სხვა შემთხვევაში, პირს ასოცირებული წევრის სტატუსი უწყდება;

სტუდენტი წევრი - ამ სტატუსს მიიღებს სანავლო ცენტრის ან ფედერაციის მიერ ორგანიზებული სწავლების კურსდამთავრებული ან ფედერაციაში სანარმოო პრაქტიკაზე მივლინებული უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის ბაკალავრი ან მაგისტრანტი, რომელიც განაცხადებს მზადყოფნას სწავლების დასრულების შემდგომ მოიპოვოს ფედერაციის ასოცირებული ან წევრის სტატუსი დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ფედერაციის სტუდენტი წევრი იხდის წევრობის სიმბოლურ გადასახადს დადგენილი განაკვეთით. სტუდენტის სტატუსით წევრობა

დასაშვებია ნ თვემდე ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, სტუდენტმა წევრმა, შესაბამისად, ფედერაციის გამგეობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისი სტატუსის ასოცირებულ წევრად ან წევრად შეცვლის თაობაზე. სხვა შემთხვევაში, პირს სტუდენტი წევრის სტატუსი უწყდება;

პირი, რომელიც აქტიურადაა ჩართული ფედერაციის საქმიანობაში ან მხარს უჭერს მისი მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტას, ისარგებლებს სპეციალური სტატუსით (დეტალები განიხილება პერსონალურად).

ფედერაციის წევრობისთვის აუცილებელია თანდართული განაცხადის ფორმით მიმართოთ გამგეობას და შეავსოს ანკეცა.

წლიური საწევრო შენატანი წევრისთვის შეადგენს **60** ლარს; ასოცირებული წევრებისთვის - **12** ლარს; სტუდენტი წევრისთვის - **6** ლარს. განწევრიანებისთვის ერთჯერადი გადასახადი შეადგენს **5** ლარს. ფედერაციის წევრებზე გაიცემა შესაბამისი მონმობა.

იურიდიულ პირებს (მათ შორის, აუდიტორულ კომპანიებს), სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ ფედერაციის წევრის სტატუსით და პრივილეგიებით. იურიდიული პირის, როგორც ფედერაციის წევრის მონაწილეობა ფედერაციის მართვაში ხორციელდება მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ.

იურიდიულ პირებს შეუძლიათ ფედერაციას გაუწიონ სპონსორობა, გაიღონ შენაწირებიც თავიანთი შეხედულებისამებრ, გადაიხადონ ყოველწლიური საწევრო ბრუნვიდან გამომდინარე, არაუმცირეს **240** ლარი და არაუმეტეს **1000** ლარისა (საკითხი ნყდება ინდივიდუალურად).

ნებისმიერი წევრისთვის საწევროების გადახდა შესაძლებელია ნაწილ-ნაწილ, შესაბამისი კვარტალური მოცულობით. საწევროები და შენატანები უნდა ჩაირიცხოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე: (ა/ა ნომერი **GE15BG000000355038000** სს „საქართველოს ბანკი“, კოდი **BAGAGE22**).

მისამართი: 0160 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-9 სართული, e-mai: gfpaa2@gmail.com; gfaafm@gmail.com.

საკონტაქტო ნომრები თბილისში: 574 34 64 27; 577 47 97 19; 599 16 45 10; 595 33 06 94

ბათუმში: 577 41 56 35

ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ შემოგვიერთდებით.

ა(ა)იპ აუდიტორთა, გუგალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია

განცხადების ნიმუში პირის გაწვევრიანებაზე

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა
ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარეს

გვარი, სახელი:

პირადი N:

პროფესია:

მისამართი:

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.:

მობ.:

ელ. ფოსტა:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობილი ვარ აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა
ფედერაციის წესდებას, ვეთანხმები და ვაღიარებ მას.

სურვილი მაქვს გაწვევრიანდე და შემოგიერთოთ ჩემი ძალისხმევა საერთო მიზნების და
ამოცანების გადასაწყვეტად ----- სტატუსით.

მიუთითეთ წევრობის კატეგორია

ვიღებ ვალდებულებას გადავიხადო საწევრო შენატანი დადგენილი მოცულობით და
ვადებში.


პატივისცემით,

ხელმოწერა

თარიღი



აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის
წევრის (ასოცირებული წევრის)



ანკეტა

1. გვარი, სახელი:		წევრის სტატუსი:		მოწმობა	
				ფპ-1	
2. დაბადების თარიღი:		სქესი [] მამრ [] მდედრ		მოქალაქეობა:	
3. ID:		ტელეფონი: მობ. ბინის:		Email:	
4. მისამართი:					
5. აუდიტორის სერტიფიკატი № ; გაცემის თარიღი: ; სფერო:					
6. განათლება/ტრენინგი/კურსები:					
სასწავლებლის დასახელება	სპეციალობა	დიპლომი/სერტიფიკატი	პერიოდი		
7. ამჟამინდელი საქმიანობის სფერო:					
ორგანიზაციის დასახელება:		თანამდებობა	ტელეფონი		
8. სამუშაო გამოცდილება (უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში):					
თანამდებობა	დამსაქმებლის დასახელება	მისამართი	თარიღი		
9. ენების ცოდნა:					
ენა					
ქართული	საშუალოდ	კარგად	სრულად		
რუსული					
ინგლისური					
სხვა					
10. დამატებითი ინფორმაცია:					
11. ხელმოწერა:				თარიღი:	

სატიტულო ბლანკი

თარიღი

ქ. თბილისი

№

აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა
ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარეს

ბატონო

ჩვენ გავცანით აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა
ფედერაციის წესდებას, ვეთანხმებით და ვალიარებთ მას.

სურვილი გვაქვს გავწევრიანდეთ და შემოგიერთოთ ჩვენი ძალისხმევა საერთო მიზნების
და ამოცანების გადასაწყვეტად ----- სტატუსთ.

მიუთითეთ წევრობის კატეგორია

ვიღებთ ვალდებულებას გადავიხადოთ საწევრო შენატანი დადგენილი მოცულობით და
ვადებში.

პატივისცემით,



აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის
იურიდიული წევრის (ასოცირებული წევრის)

ანკეტა

1. დასახელება: „ „					
2. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა:					
3. რეგისტრაციის თარიღი და მარეგისტრირებელი ორგანო:					
4.საიდენტიფიკაციო კოდი:				წევრობის მოწმობა	
				იპ-2	N
5. საქმიანობის ძირითადი მიმართულება:					
მისამართი:					
6	იურიდიული:				
	ფაქტობრივი:				
	ფილიალ(ებ)ის მისამართი:				
7	ხელმძღვანელი და წარმომადგენელი პირ(ებ)ი:				
	გვარი სახელი:	თანამდებობა	ტელეფონი		
8. სუბიექტის საკონტაქტო რეკვიზიტები:					
ტელეფონი		ელ.ფოსტა	ვებ-გვერდი		
9. საბანკო რეკვიზიტები:					
ბანკი		ანგარიშის ნომერი	კოდი		
10. პარტნიორები:					
10	გვარი, სახელი/იურიდიული პირის სახელწოდება	წილობრიბი მონაწილეობა	პროფესია (საქმიანობა)	საქმიანობის ადგილი	საკონტაქტო ინფორმაცია
11. დასაქმებული:		საერთო რაოდენობა	მათ შორის:		
			აუდიტორი	ბუღალტერი	ფინანსისტი
12. წევრობა სხვა პროფესიულ ორგანიზაციებში:					
ორგანიზაციის დასახელება			ორგანიზაციაში წევრის სტატუსი		
13. დამატებითი ინფორმაცია:					
14. ხელმოწერა:					თარიღი:

რას გულისხმობს 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჩამონერა


საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების არასწორი გაგებისა და განმარტების პრობლემა ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება. ამის თაობაზე არაერთხელ ითქვა, მაგრამ სამწუხაროდ, საგადასახადო კოდექსის ნორმების ორაზროვანი, ბუნდოვანი ან თავისუფალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის გამო, საგადასახადო ორგანოები გადასახადის გადამხდელის ინტერესების სანიშნაობაში გადანყვეტილებებს ღებულობენ.

ერთ-ერთ ასეთ სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენს 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებების ჩამონერის თაობაზე საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილება. კერძოდ, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 13 მაისის N 5092-III კანონის თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის გარდამავალი დებულებებში (მუხლი 309) 37-ე პუნქტი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა:

„37. ამ კოდექსის 252-ე მუხლის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ჩამონერას ექვემდებარება:

ა) 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება და მასზე დარიცხული საურავი, თუ პირს 2011 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდისათვის (თანხის ჩამონერამდე) საგადასახადო ორგანოსთვის არ წარუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა, აგრეთვე ამ კოდექსის 176¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ოპერაციის მიხედვით განხორციელებული დეკლარირებისა) ან საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა, აგრეთვე ამ კოდექსის 176¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ოპერაციის მიხედვით განხორციელებული დეკლარირებისა) საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციით/გაანგარიშებით ერთობლივი შემოსავლის თანხა ნულზე მეტია ან/და ჩასათვლელი თანხა დარიცხულ თანხას აღემატება);

ბ) 2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2013 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, თუ გადახდილია 2013 წლის 1



სულიკო ფუტყარაძე
ბიზნესის მართვის
აკადემიური დოქტორი

იანვრისათვის არსებული აღიარებული საგადასახადო დავალიანება – გადასახადის თანხის ნაწილში და პირს 2013 წლის 1 იანვრის შემდგომი პერიოდისათვის (თანხის ჩამონერამდე) საგადასახადო ორგანოსთვის არ წარუდგენია საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა, აგრეთვე ამ კოდექსის 176¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ოპერაციის მიხედვით განხორციელებული დეკლარირებისა) ან საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების (გარდა პირის ქონების გადასახადის დეკლარაციისა/გაანგარიშებისა, აგრეთვე ამ კოდექსის 176¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ოპერაციის მიხედვით განხორციელებული დეკლარირებისა) საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციით/გაანგარიშებით ერთობლივი შემოსავლის თანხა ნულზე მეტია ან/და ჩასათვლელი თანხა დარიცხულ თანხას აღემატება);

გ) ამ კოდექსის 281-ე მუხლის და 2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის საფუძველზე ფიზიკური პირისათვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა.“

აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით, მისი ინტერპრეტაციის შედეგად, შემოსავლების სამსახური ცდილობს მიიღოს გადამხდელის ინტერესების სანიშნაობაში გადანყვეტილებები. იმისათვის, რომ მსგავს შემთხვევებს მიექცეს საგანგებო ყურადღება და არ

განმეორდეს, განსასჯელად წარმოგიდგინო ერთ ასეთ რეალურ შემთხვევას (გასაგები მიზეზების გამო, გადამხდელის ინდენტიფიცირებისგან თავს შევიკავებ).

მაშ, ასე: კანონის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ - 2016 წლის ივლისის დასაწყისში, გადასახადის გადამხდელმა ინდ. მენარმე „თ. გ.“-მ შემოსავლების სამსახურს მიმართა განცხადებით - სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის ა) ქვეპუნქტის თანახმად, მოეხდინათ მასზე 2007–2010 წლების საგადასახადო პერიოდებზე საგადასახადო შემოსემების აქტის თანახმად დამატებით დარიცხული გადასახადების, ფინანსური სანქციების და საურავების ჩამონერა.

გარკვეული დროის შემდეგ, შემოსავლების სამსახურიდან 2016 წლის 12 ივლისს, ინდ. მენარმე „თ. გ.“-ს შეატყობინეს, რომ პირადი აღრიცხვის ბარათებზე არსებული საგადასახადო დავალიანებებიდან ჩამოენერა მხოლოდ ძირითადი გადასახადი - 87,50 ლარი და საურავი - 409,30 ლარი (ე. ი. - მის მიერ 2011 წლის 1 იანვრამდე დეკლარირებული გადასახადი და მასზე დარიცხული საურავი). ამასთან, ამავე წერილით ეცნობა, რომ 01. 01.2011 წლის შემდგომ დარიცხული, მ. შ. შემოსემების აქტით დარიცხული გადასახადები, სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად ჩამონერას არ ექვემდებარება.

გადასახადის გადამხდელმა შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის აღნიშნული გადანყვეტილება მიიჩნია რა არამართლზომიერად და არაკანონზომიერად, სსკ-ის მე-14 კარით დადგენილი წესით გაასაჩივრა შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტში. შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭომ საჩივარი განიხილა 2016 წლის 12 აგვისტოს სხდომაზე. საბჭომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის (ტერმინთა განსაზღვრება) 23-ე ნაწილზე, რომლის თანახმადაც, **საგადასახადო დავალიანება არის სხვაობა გადასახადის გადამხდელის მიერ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების თანხასა და ზედმეტად გადახდილ გადასახადების ან/და სანქციების თანხას შორის.** აღნიშნულ და საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის ა) ქვეპუნქტის, ასევე, საბჭოს სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭომ განმარტა, რომ გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე საგადასახადო მოთხოვნით დარიცხული საგადასახადო დავალიანება წარმოშობილია საგადასახადო შემოსემების აქტის საფუძველზე გადასახადების და ფინანსური სანქციების დარიცხვის შესახებ შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 11 ოქტომბრის ბრძანების გამოცემის შემდგომ და მიიჩნია, რომ აღნიშნულიდან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე რიცხული აღიარებული საგადასახადო დავალიანება საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე

ჩამონერას არ ექვემდებარება.

მიგვაჩნია, რომ შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს პოზიცია არასწორია, რამდენადაც არ იხელმძღვანელა კანონის იმ გაგებით, რაც უშუალოდ კანონმდებელს აქვს მხედველობაში, კერძოდ: სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის ა) ქვეპუნქტში ჩანანრი: **2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ პუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება**, გულისხმობს არა 2011 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხულ და ამ ქვეპუნქტის ე. ი. ამ ნორმის ამოქმედებამდე გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანების მასზე დარიცხული საურავით ჩამონერას, არამედ 2011 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების თანხების ჩამონერას (მიუხედავად მისი გვაბ-ზე ასახვის დროისა, მაგრამ არაუგვიანეს კანონის აღნიშნული ნორმის ამოქმედების დროისა - 2016 წლის 1 ივნისისა).

ამასთან მიგვაჩნია, რომ შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს საჩივრის განხილვისას ყურადღება უნდა გაემახვილებინა არა სსკ-ის მე-8 მუხლის 23-ე ნაწილზე - საგადასახადო დავალიანების განმარტება, არამედ სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე პუნქტის ა) ქვეპუნქტში ნორმის მეორე ნაწილზე, სადაც გარკვევით ნერია: - „...**ამ პუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი აღიარებული საგადასახადო დავალიანება**“ და ამ ნორმის პირველ ნაწილზეც, სადაც პირდაპირ მითითებულია: „**2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი**“..

სსკ-ის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, **„პირს საგადასახადო ვალდებულება ეკისრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ იმ გარემოებათა წარმოქმნის მომენტიდან, რომელიც ითვალისწინებს გადასახადის გადახდას.“** სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმადაც: **საგადასახადო პერიოდი არის დროის მონაკვეთი რომლითაც განისაზღვრება პირის საგადასახადო ვალდებულება კონკრეტული გადასახადის მიხედვით.“**

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, საგადასახადო პერიოდის ამონურვისთანავე, როგორც წესი, გადასახადის გადამხდელს პოტენციურად წარმოექმნება საგადასახადო ვალდებულება დაბეგვრის ობიექტის (შემოსავლების, გამოქვითვების, აქტივების (ქონების) ღირებულების და სხვ.) მიხედვით. შესაბამისად განისაზღვრება გადასახადით დაბეგვრის ბაზა და პირის საგადასახადო ვალდებულება კონკრეტულ გადასახადებზე, სსკ-ის 61-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის ამონურვამდე აისახება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე უშუალოდ გადამხდელის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის, ან/და საგადასახადო შემოსემების აქტის, გადამხდელზე წარდგენილი აღიარებული საგადასახადო მოთხოვნის, ან კიდევ სხვა

ინფორმაციის საფუძველზე.

ცხადზე ცხადია (და ყველას ერთნაირად უნდა ესმოდეს), რომ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია საანგარიშო პერიოდის დასრულებასთან და არა ამ ვალდებულების გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვასთან.

სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის ა) პუნქტის არსი სწორედ ასე ესმით საკანონმდებლო ორგანოში, რაც დასტურდება საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტში იმ „თ. გ“-ს მიერ გაგზავნილ შეკითხვაზე გაცემული განმარტებით. კერძოდ, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის **2016 წლის 28 ივნისს გამოგზავნილ N 6142/3-65 წერილში აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში, როცა დაცულია სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის ა) ქვეპუნქტის მოთხოვნები 2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საგადასახადო ვალდებულებებზე, თუ შემდგომ პერიოდში გადამხდელს არ უფიქსირდება აქტივობები, მაშინ მასზე (ი/მ „თ. გ“-ზე) რიცხული საგადასახადო დავალიანება ჩამოწმდება.**

ფაქტობრივად, იგივე პოზიცია გამოხატა (შეკითხვაზე სატელეფონო პასუხით) საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატმა (რასაც საჭიროების შემთხვევაში წერილობითაც დაუდასტურებენ).

ამდენად, 2007 – 2010 წლების საგადასახადო პერიოდებზე საგადასახადო შემოსწმების აქტის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2011 წლის 11 ოქტომბრის N1847 ბრძანებით – ინდ. მენარმე „თ. გ.“-ზე დამატებით დარიცხული გადასახადების, ფინანსური სანქციების და შესაბამისი საურავების ჩამოწმებაზე უარის თქმა, რომელზეც წარდგენილი საჩივარი თავის მხრივ, არ დააკმაყოფილა შემოსავლების სამსახურის დავების საბჭომ, დაუსაბუთებელი და არამართლზომიერია და კანონის - სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის ა) და ბ) ქვეპუნქტები, ფაქტობრივად, არასწორად, გადასახადის გადამხდელის ინტერესების საწინააღმდეგოდ არის გაგებული.

სავსებით გასაგებია, რომ შემოსავლების სამსახურის პოზიციას არ ეთანხმება გადასახადის გადამხდელი და იგი დავას აგრძელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების საბჭოში. ამ უკანასკნელის მიერ საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი, გადასახადის გადამხდელს დავის გაგრძელება სასამართლოში მოუწევს.

რაც შეეხება ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გვინდა დავადასტუროთ, რომ მოცემულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა დავალიანების ჩამოწმებაზე სრულიად კანონზომიერია, ამასთან, ჩვენთვის ცნობილია იმის თაობაზეც, რომ ამ პოზიციას იზიარებს შემოსავლების სამსახურის მუშაკთა გარკვეული ნაწილიც, ბიზნეს

ომბუცმენდის აპარატი და ბევრი სხვა ექსპერტი და სპეციალისტი.

ბოლოსდაბოლოს, გაირკვევა ვინ არის მართალი, რაც აუცილებელია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ საგადასახადო კოდექსი ინერტოდეს გასაგებად, შემოსავლების სამსახურს ცხადად და სწორად ესმოდეს ნორმის შინაარსი და იცავდეს გადასახადის გადამხდელს ყოველგვარი გაურკვევლობისგან.

P.S. მახსოვს, სსკ-ის (2004 წ.) 248-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამყიდველი, მომსახურების გამწვევი, სამუშაოს შემსრულებელი ვალდებული იყო საქონლის მიწოდებიდან, მომსახურების განწვიდან, სამუშაოს შესრულებიდან, მყიდველისთვის, განუული მომსახურების/შესრულებული სამუშაოს მიმღებისათვის, არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა, გამოენერა დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. აღნიშნული ვადის დარღვევით გამოწერილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით, დღგ-ის ჩათვლებს საგადასახადო ორგანოები აუქმებდნენ, უფრო მეტიც, იმ დროისთვის საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით სსკ-ით გათვალისწინებული ფინანსური სანქციების გამოყენების თაობაზე გამოცემული მეთოდური სახელმძღვანელოს შესაბამისად, სსკ-ის (2004 წ.) 248-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნორმის (ორი სამუშაო დღის ვადის) დარღვევით გამოწერილი დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით მიღებულ ჩათვლები განიხილებოდა არასწორად მიღებულ ჩათვლად და დღგ-ის ჩათვლის მიმღებს, ჩათვლის გაუქმებასთან ერთად, დამატებით ჯარიმის სახით დღგ-ის თანხის 300 პროცენტი ეკისრებოდა.

მთელი 3 წლის (2005-2007 წწ) განმავლობაში, საგადასახადო ორგანოების მიერ ჩატარებული შემოსწმებებით, ვინ იცის, რამდენი გადამხდელი გახდა ამ ნორმის მსხვერპლი. 2007 წლის მიწურულს კი შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით ცვლილება შევიდა საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის ზემოთაღნიშნულ მეთოდურ მითითებაში იმ მოტივით, რომ თურმე სსკ-ის (2004 წ.) 138-ე მუხლის შესაბამისად, დღგ-ის არასწორ ჩათვლში იგულისხმებოდა არა სსკ-ის (2004 წ.) 248-ე მუხლის პირველი ნაწილის (ორი სამუშაო დღის ვადის) დარღვევით გამოწერილი დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით მიღებულ დღგ-ის ჩათვლები, არამედ, ყალბ - უსაქონლო ოპერაციებზე გამოწერილი, ან კიდევ ყალბი - ფიქტიური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით მიღებული დღგ-ის ჩათვლები.

ვფიქრობთ, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე და საჭიროდ მიგვაჩნია, ვიდრე ძლიერ არ დაგვიანდა და სხვა ბევრ გადამხდელსაც არ შექმნია პრობლემა, სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის ა) და ბ) ქვეპუნქტები, სწორად გაგებისა და გამოყენებისათვის, უფრო საფუძვლიანად განიმარტოს.

მსოფლიო გადაზღვევის ბაზრები და საქართველო

გადაზღვევის ბაზარი სადაზღვევო ინდუსტრიის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

გადაზღვევა დამატებითი კაპიტალით უზრუნველყოფს სადაზღვევო შემთხვევებს და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. კაპიტალით მომარაგებასა და ფინანსური მაჩვენებლების შენარჩუნებასთან ერთად, სადაზღვევო რისკების გლობალური გადანაწილებით, გადაზღვევა ახდენს ლოკალური სადაზღვევო ბაზრის დივერსიფიცირებას. გადაზღვევის მეშვეობით მზღვეველს შეუძლია ჩამოაყალიბოს დაბალანსებული სადაზღვევო პორტფელი. გადაზღვევა ეხმარება სადაზღვევო კომპანიებს სტაბილურობის შენარჩუნებაში.

აღსანიშნავია მისი როლი რისკების საერთაშორისო გადანაწილების კუთხით. სადაზღვევო რისკის შემცირების მიზნით, სადაზღვევო კომპანიები იყენებენ გადაზღვევის პროგრამას. 2015 წლისთვის საქართველოში 15 სადაზღვევო კომპანია ფუნქციონირებდა, აქედან ოთხ სადაზღვევო კომპანია საერთოდ არ იყენებს გადაზღვევას. 2014 წელს ყველაზე დაზღვეული სადაზღვევო კომპანია იყო შპს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“, რომელმაც მის მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემიების 89,0% გადააზღვია, შემდეგ შპს სადაზღვევო კომპანია „ქართუ“- 53,9%, ხოლო შპს სადაზღვევო კომპანია „აისიჯგუფმა“ 39,7% გადააზღვია.

გადაზღვეული სადაზღვევო პორტფელები სტაბილურობის გარანტიაა, თანაც გადაზღვევის ხარჯებით მცირდება ქართული სადაზღვევო კომპანიების შესაძლებლობა – გაცენ დამატებითი პოლისები. ქართული სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სტაბილურობისა და ზრდადი მაჩვენებლების ფონზე შესაძლებელია ქვეყანაში მოზიდული გადაზღვევის პრემიების ზრდა, რაც დამატებითი საინვესტიციო წყარო იქნება ქართული სადაზღვევო კომპანიებისათვის.

საქართველოში გადაზღვევის ბაზარი ბოლო წლების განმავლობაში ნელ-ნელა ვითარდება, არსებული 14 სადაზღვევო კომპანიიდან 11 მიმართავს გადაზღვევას. ქართული სადაზღვევო კომპანიები ფაქულტატურ გადაზღვევას ანიჭებენ უპირატესობას. ყველაზე გავრცელებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გადაზღვევაა. ყველაზე დაზღვეულ სადაზღვევო კომპანიად 2014 წლის მონაცემებით უნისონი ითვლება. სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ - მძლავრი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და გადამზღვეველების პარტნიორია და მის მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო დაფარვები გადაზღვეულია მსოფლიოს რეიტინგულ გადამზღვევ კომპანიებში (Hannover Re, Polish Re, Allianz, SCOR, Transatlantic Re, Lloyd's of London, Ace European Group, VIG Re), რაც უზრუნველყოფს საიმედოობას და იძლევა მასშტაბური მოცულობის რისკების სრულ-



ლიად დაფარვის შესაძლებლობებს.

სადაზღვევო კომპანიები: „ირაო“, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ და „უნისონი“ 2015 წელს როგორც, მოზიდული პრემია, ასევე გადამზღვეველის კუთვნილი პრემია თითქმის გაორმაგებულია. აღნიშნულ კომპანიებში გადამზღვეველის მონაწილეობის ხარისხი სადაზღვევო კომპანიის ზარალების დაფარვაში 2015 წელს საკმაოდ გაიზარდა. 2014 წელს თუ ის მთლიანი ანაზღაურებული ზარალის 5,15%, ხოლო 2015 წელს კი ამ მაჩვენებელმა 33,93% შეადგინა. არცერთ ქვეყანაში ჯანმრთელობის დაზღვევის ბაზარი არ არის მოწინავე პოზიციაზე, საქართველოში კი მთლიანი პორტფელის უმეტესი ნაწილი ჯანმრთელობის დაზღვევაზე მოდის. ქართული სადაზღვევო კომპანიები ქონების დაზღვევას მიიჩნევენ ერთ-ერთ ყველაზე სარისკო საქმიანობად. ქონების დაზღვევა ცალკეული სადაზღვევო კომპანიების მიხედვით გადაზღვევის 70,4%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის, მათ შორის, გადაზღვევის საქმიანობის ზედამხედველობასა და რეგულირებას ახორციელებს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. რაც შეეხება, უკრაინას, დაზღვევისა და გადაზღვევის საქმიანობების განხორციელების ლიცენზიას გაცემის „ფინანსური ბაზრების რეგულირების ეროვნული კომისია“, რომელიც დამოუკიდებელია ცენტრალური სამთავრობო ორგანოებისგან. ლიცენზიაში გადაზღვევის საქმიანობის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელია ლიტვის ცენტრალური ბანკი. გერ-



გადაზღვევის კომპანია შეიძლება დაარსდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების სახით, გერმანიაში სადაზღვევო კომპანიების დაფუძნების ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმებია: სააქციო საზოგადოება, ორმხრივი სადაზღვევო ფონდები და სახელმწიფო სადაზღვევო კორპორაცია.⁴ საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: **სიცოცხლისდაზღვევა - 2 200 000 ლარი; დაზღვევა (არასიცოცხლის) - 2 000 000 ლარი; გადაზღვევა - 2 200 000 ლარი.**⁵

მანიის სადაზღვევო ბაზარი სახელმწიფოს მკაცრის ზედამხედველობის ქვეშაა, დიდი ბრიტანეთში, სახელმწიფო არ აკონტროლოებს სადაზღვევო კომპანიებს.¹ გერმანია არის მსოფლიო გადაზღვევის ცენტრი. ფინანსური პრობლემების გამო მზღვეველებს მოუწიათ განსაკუთრებული პირობების შეთავაზება კლიენტებისთვის.² გერმანიაში გადაზღვევის საქმიანობის რეგულირებას ახორციელებს „ზედამხედველობის ფედერალური უწყება“ (BAV). რომლის მთავარი ფუნქციაა სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის და სტაბილურობის შემოწმება.

გადაზღვევა ასევე აუცილებელია იაპონიის სადაზღვევო ბაზრისთვის, ისინი ვალდებული არიან გადააზღვიონ რისკები უცხოურ გადაზღვევის კომპანიებში. იაპონიაშია ორი ადგილობრივი გადაზღვევის კომპანია და რამდენიმე უცხოური გადაზღვევის კომპანიების ფილიალი. იაპონიის არასიცოცხლის დაზღვევის კომპანიები თამაშობენ დიდ როლს მსოფლიო გადაზღვევის ბაზარზე. „კანონი სადაზღვევო ბიზნესის შესახებ“ ზედამხედველობას უწევს და არეგულირებს იაპონიის დაზღვევისა და გადაზღვევის ბიზნესს იაპონიაში.³ იაპონიაში დაზღვევისა და გადაზღვევის ბაზრებს არეგულირებს „ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო“.

უკრაინაში დაზღვევისა და გადაზღვევის კომპანიები შეიძლება დაარსდეს სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და ამხანაგობის სახით. მინიმალური კაპიტალის მოცულობა სიცოცხლის დაზღვევაში ერთ მილიონ ევროს წარმოადგენს, არა სიცოცხლის დაზღვევაში ათ მილიონ ევროს ექვივალენტს გრინვაში. რაც შეეხება საქართველოს 2016 წლიდან სადაზღვევო კომპანიების დაფუძნება შესაძლებელია მხოლოდ სააქციო საზოგადოების სახით. ლიტვაში დაზღვევისა და

ლიტვაში საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა ერთ მლნ ევროს შეადგენს, როგორც დაზღვევაზე ასევე გადაზღვევაზე. გერმანიაშიც არის ვალდებულება სადაზღვევო კომპანიებისთვის ადეკვატური სადაზღვევო კაპიტალის თაობაზე. იაპონიაში მინიმალური სადაზღვევო კაპიტალის მოცულობაა:

- ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიებისთვის ერთი მილიარდი იენი;
- SASTI-ის მზღვეველებისთვის ათი მილიონი იენი;
- უცხოური სადაზღვევო კომპანიებისთვის-200 მილიონი იენი;
- სადაზღვევო ბროკერებისთვის-20 მილიონი იენი.⁶

2015 წელს საქართველოს სადაზღვევო კომპანიებმა გადაზღვევის მიმართულებით ყველაზე მეტი პრემია მიიღეს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევისგან (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა). მასზე მოდის მთლიანი საგადასაზღვევო საქმიანობის 33,75%. შემდგომ ადგილზეა სიცოცხლის დაზღვევა 1,116,997 ლარით და ქონების დაზღვევა 874,456 ლარით. ქართული სადაზღვევო კომპანიებს საერთოდ არ აქვთ გადაზღვეული სამოგზაურო დაზღვევა, სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა, სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა, მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, იურიდიული ხარჯების დაზღვევა. უკრაინაში სადაზღვევო კომპანიები ძირითადად გადაზღვეულები არიან შემდეგ კომპანიებში: ვენის სადაზღვევო ჯგუფი (Vienna Insurance Group) ევროპის წამყვანი, საუკუნეზე მეტი ხნის სადაზღვევო

1 Falush P., (2015) Development of Reinsurance markets in the Economies in Transition.

2 <http://www.axis.de/de/main-de/branchen-de/rechtsberatung.html>

3 „იაპონიის კანონი სადაზღვევო ბიზნესის შესახებ“.

4 „ლიტვის კანონი დაზღვევის შესახებ“, 2003 წელი.

5 www.insurance.gov.ge

6 „იაპონიის კანონი სადაზღვევო ბიზნესის შესახებ“.

გამოცდილების მქონე კომპანიაა; ჰანოვერის გადაზღვევის კომპანია (Hannover Re), რომელიც დარსდა 1966 წელს (ATR - Aktiengesellschaft für Transport- und Rückversicherung) ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან გადაზღვევის კომპანიას მსოფლიოში; SCOR(საფრანგეთი); PolishRe(პოლონეთი); Русское перестраховочное общество(რუსეთი) და სხვა. ლიტვის სადაზღვევო კომპანიები გადაზღვეულები არიან: ვენის სადაზღვევო ჯგუფში, MunichRe და VIG Re-ში.

გადამზღვეველები იყენებენ განსხვავებულ სტრატეგიებს. Swiss Re-მ და SCOR-მა გაზარდეს პირდაპირი კორპორატიული და სპეციალური გადაზღვევის წილი. Arch Capital Group გადავიდა იპოთეკური გადაზღვევის სეგმენტზე. სხვები ცდილობენ მიაღწიონ დივერსიფიკაციის ზრდას სხვა გადაზღვევის კომპანიების შთანთქმის გზით. გადამზღვეველები იყენებენ უფრო მაღალი საინვესტიციო რისკების მიღების ტაქტიკას. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული მოგება 30%-ით შემცირდა. ამ პროცესის შეჩერების მიზნით გადამზღვეველებს მოუწიათ აქტივების პორტფელის კორექტირება.

გადაზღვევის ბაზარზე წარმატების მოპოვების ძირითადი პრინციპებია: ოპტიმალურობა და დიმანირურობა. პირველი მათგანი გამოიხატება ოპტიმალური რისკისკენ სწრაფვაში, ოპტიმალურ დივერსიფიკაცია-

სა და კაპიტალში. რაც შეეხება დინამიურობას ის გულისხმობს ცესიონერის შესაძლებლობას მოახდინოს ადაპტაცია, იყოს რეაქტიული, კაპიტალის სწრაფად გადატანის შესაძლებლობა, აქტივების გადანაწილების ადაპტურობა.

2015 წლის ბოლოს გადაზღვევის ბაზრის მოცულობა 575 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ამ ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს 4 უმსხვილესი კომპანია, რომელთაგან ორი გერმანულია (Munich Re და Hannover Re), ერთი შვეიცარული (Swiss Re) და ერთი ცფრანგული (Scor Re). ბრიტანელი ექსპერტები თვლიან რომ ამ სფეროში უახლოეს მომავალში მოსალოდნელია სერიოზული პრობლემები, მსგავსი 2008 წლის საბანკო კრიზისისა. ამის მიზეზად კი ასახელებენ უბედური მოვლენებისგან დაცვის ნაკლებად ხარისხიანი რისკების პორტფელის ქონას.¹

ქართული სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სტაბილურობის და მდგრადი მაჩვენებლების ფონზე, შესაძლებელია ქვეყანაში მოზიდული გადაზღვევის პრემიების ზრდა, რაც დამატებით საინვესტიციო თუ ახალი პოლისების გაცემის წყაროს შეუქმნის ქართულ სადაზღვევო კომპანიებს.

ნათო კაკაშვილი,
ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი, თსუ პროფესორი

1 Fitch Reiting (2015) „Global Reinsurance Guide“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ თბ., 1997
2. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2012, 2013, 2014 და 2015 წლების სტატისტიკური მონაცემები.
3. ვერულავა თ., ჩუბინიძე მ., „გადაზღვევის საკითხები საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციებში“. 2015 წელი.
4. კაკაშვილი ნ., ბარბაქაძე ხ., „სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოლიტიკა“. 2015 წელი, ჟურნ., „ბიზნესი და კანონმდებლობა“
5. იაპონიის კანონი „დაზღვევის შესახებ“, 2003
6. ლიტვის კანონი „დაზღვევის შესახებ“, 2003
7. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ., სადაზღვევო საქმე, თბ., 2012
8. Aon Benfield, „Reinsurance market outlook“, 2016 year.
9. Munich Re, „Insurance market Outlook“, 2015 year.
10. Fitch Reiting, „Global Reinsurance Guide“, 2015 year.
11. <http://insurance.gov.ge>

GLOBAL REINSURANCE MARKETS AND GEORGIA

Nato Kakashvili

Doctor of Economics, Assistant Professor of the I. Javakhishvili TSU

RESUME

The reinsurance market is an important part of the insurance industry, which contributes to the country’s socio-economic development. Reinsurance provides additional capital for the insurance cases and contributes to economic growth.

Reinsurance can diversify the local insurance market using a global distribution of risk insurance. The insurer can establish a balanced insurance portfolio through the reinsurance. Reinsurance helps insurance companies to maintain stability.

It should be noted his role in the international division of risk. Insurance companies for reducing the risk of insurance are using reinsurance programs. The Reinsurance company’s assure the stability of the insurance portfolio, and reduced our cost of reinsurance. Moreover, Reinsurance costs of Georgian insurance companies are reduced by issued additional policies. In light of financial stability and growth the rates of Georgian insurance companies are increased reinsurance premiums, which will be a source of additional investment in the Georgian insurance companies.

როგორ მონაწილეობს უცხოელი ინვესტორი კომპანიის შექმნასა და საქმიანობაში

საქართველოს განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ამის მიღწევა შესაძლებელია კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრით და განვითარების იმ პერსპექტივების გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყანას გააჩნია. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც დანაზოგების ზრდას, ასევე უცხოური კაპიტალის შემოდინებას. ამასთან, დანაზოგების ზრდისთვის მნიშვნელოვანია, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ასევე, გამჭვირვალე და ეფექტიანი მექანიზმები ინვესტიციებისა და დანაზოგების დასაცავად. უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი მოცულობის მიღწევისთვის აუცილებელია ეფექტიანი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება. უცხოური ინვესტიციების შემოდინება განაპირობებს ინვესტიციების ზრდას, ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციას, მათი ვადიანობის ზრდას და ცოდნის და ტექნოლოგიების განვითარებასა და გაფართოებას. შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას.

აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში ინვესტიციების შემოდინებას და ზრდას ხელი შეუწყო ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული ეკონომიკური რეფორმების განხორციელებამ, რომელმაც აღმოფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები, გამარტივდა ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემა, უძრავი ქონების რეგისტრაცია, ასევე გაადვილდა საგადასახადო რეგისტრაცია. სწორედ ამის დასტური იყო ის, რომ მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიშის (Doing Business 2014) მიხედვით საქართველო ბოლო წლებში ერთ-ერთ მონივანე რეფორმატორ ქვეყნად აღიარეს. ამჟამად ქვეყანას ბიზნესის წარმოების სიმარტივის მაჩვენებლით 185 ქვეყანას შორის მე-8 ადგილი უკავია.¹

მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება, ასევე, ასახულია მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიშში (Doing Business 2014), რომლის მიხედვითაც, საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს, თუმცა, ამ კუთხით ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული პრობლემები, მაგალითად, გადახდისუუნარობასთან და კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს.

წარმატებული საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოებრივი რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების განვითარება იმ მიმართულებით, რომ სრულყოფილ იქნეს უკვე მოქმედი კანონმდებლობა ინვესტიციების



ხელშეწყობის შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს ამ კანონმდებლობის საერთაშორისო დონეზე ამოქმედება, სხვა ქვეყნებთან ისეთი ხელშეკრულებების გაფორმება, რომლებიც წაახალისებენ ინვესტორებს და უზრუნველყოფენ ინვესტიციების ურთიერთ სავალდებულო დაცვას.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება მოიცავს როგორც ნორმატიულ აქტებს, რომლებიც არეგულირებენ უშუალოდ უცხოელი ინვესტორების საქმიანობას, ასევე აქტებს, რომლებითაც რეგლამენტირებულია საინვესტიციო საქმიანობის საერთო სამართლებრივი რეჟიმი და მისი კონკრეტული სამართლებრივი ფორმები. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა აღინიშნოს 1996 წლის 12 ნოემბერის კანონი (№473) „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და მათი დაცვის გარანტიები. ამ კანონის მიზანია, დაადგინოს ინვესტიციების ხელშეწყობის სამართლებრივი რეჟიმი და მიმართულია პირობების სტაბილურობის გარანტირებისათვის, ინვესტიციებიდან მიღებულ შემოსავლებსა და მოგებაზე ინვესტორების უფლებების უზრუნველყოფისათვის, ასევე უცხოელი ინვესტორების უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის.

¹ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020. <http://napr.gov.ge/source/სტრატეგია/ViewFile.pdf>

კანონის მიხედვით, უცხოელ ინვესტორად ითვლება უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე. აგრეთვე საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კანონში „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ მკაფიოდ არის განსაზღვრული უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები, კერძოდ, საინვესტიციო და სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

უცხოელ ინვესტორებს, გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლების გადახდის შემდეგ, აქვს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლი) და სხვა ფულადი სახსრების საქართველოს საბანკო დანესებულებაში საბაზრო კურსის კონვერსიისა და საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრაციის უფლება, ასევე, უფლება აქვს საზღვარგარეთ გაიტანოს მის საკუთრებაში არსებული ქონება.¹

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ კანონმა დაადგინა ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც გარკვეული აკრძალვა და შეზღუდვებია დაწესებული, მაგალითად:

ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნა, წარმოება და გავრცელება; ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოცდა პოლიგონების მშენებლობაში; უცხო ქვეყნებიდან ბირთვული და ტოქსიკური ნარჩენების ჩამარხვა-გაუვნებლობის მიზნით შემოტანა; ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება; ნარკოტიკული საშუალებების წარმოება; დამაძინებელი ყაყაჩოს, კოკას ბუჩქისა და კანაფის მცენარის კულტივირება; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალული საქმიანობა.

გარკვეული შეზღუდვები არის დაწესებული მართვის უფლების მინიჭების გარეშე ინვესტირებაზე, კერძოდ უცხო ქვეყნისა და კერძო ინვესტორებისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირება დასაშვებია:

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და საზღვაო ნავსადგურების აკვატორიებში საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებასთან, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში; სარკინიგზო ტრანსპორტის სადისპეტჩერო საქმიანობაში; საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების მოძრაობის რეგულირებასთან, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში; საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შეთანხმებით, ქვეყნის თავდაცვისუნა-

რიანობის ამალგების მიზნით, სამხედრო-საბრძოლო ტექნიკის წარმოებასა და რეალიზაციაში ახალი სახეობებისა და მოდიფიცირებული იარაღის შექმნასა და გამოცდაში; სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში; სამშვიდობო დანიშნულებით ბირთვული ენერჯის გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

ასევე მნიშვნელოვანია კომერციული ორგანიზაციის შექმნის სტადიაზე უცხოური ინვესტიციების მონაწილეობა. 1997 წლის 2 მაისის N690-III (20.03.2013 წლის რედაქცია) საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ განსაზღვრავს დაზღვევის სფეროში უცხოეთის ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ: უცხოელი მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური კაპიტალით შექმნილი იურიდიული პირი, უცხოური იურიდიული პირის ფილიალი და წარმომადგენლობა, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიაზე, აწარმოებენ დაზღვევას საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საქართველოს ტერიტორიაზე დაზღვევის სფეროში აქვთ ყველა ის უფლება და ეკისრებათ ყველა ის ვალდებულება, რაც საქართველოს მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს. ასევე, უცხოელ ფიზიკურ პირს, მოქალაქეობის არმქონე პირს, უცხოურ იურიდიულ პირს (უცხოეთის სადაზღვევო და გადაზღვევის ორგანიზაციების ჩათვლით) უფლება აქვს იყოს საქართველოს დაზღვევის და გადაზღვევის ორგანიზაციების დამფუძნებელი.² სადაზღვევო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, რომელიც უფლებამოსილია გასცეს და გააუქმოს სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია.

1996 წლის 23 თებერვლის N121-III (28.10.2015 წლის რედაქცია) საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ გათვალისწინებული საბანკო სფეროში უცხოეთის ბანკის ფილიალზე საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღება იმ შემთხვევაში, როდესაც თავად ბანკი უფლებამოსილია სათავო დანესებულების ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოიზიდოს დეპოზიტები და თუ წარმოდგენილი იქნება იმ ქვეყნის შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს თანხმობა საქართველოში ფილიალის (წარმომადგენლობის) გახსნაზე, სადაც აღნიშნული ბანკია რეგისტრირებული.

უცხოური სანდო ბანკის ფილიალზე (წარმომადგენლობაზე) შესაბამისი სახეობის ლიცენზიას გასცემს მხოლოდ შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე:³

- დამფუძნებელი ბანკის განცხადება;
- იმ ქვეყნის შესაბამისი საზედამხედველო ორგანოს თანხმობა საქართველოში ფილიალის (წარმომადგენლობის) გახსნაზე, სადაც აღნიშნული ბანკია რეგისტრირებული;

² საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ თავი I, მუხლი 7. თბილისი 2013 წ.

³ საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. მუხლი 4. თბილისი 2015 წ.

¹ საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ თავი II, მუხლი 3



დაფუძნებულია, მასობრივი ინფორმაციის ახალი საშუალებების ცალკე რეგისტრაცია აუცილებელი არ არის. საწარმოს უფლება აქვს, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც კანონით აკრძალული არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ამ მუხლის პირველი და მესამე პუნქტები სრულიად ზედმეტი და მნიშვნელოვნად მოძველებულია.

აღსანიშნავია, რომ 7-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი რეგისტრაციის მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა როგორც საქართველოს კონსტიტუციას, ასევე მენარმეთა

- დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ დამფუძნებელ ბანკს, მინიჭებული რეიტინგის თანახმად, ამ კანონიდან გამომდინარე, ენიჭება უცხოური სანდო ბანკის სტატუსი;
- ფილიალის (წარმომადგენლობის) ადმინისტრატორების დანიშვნის აქტი;
- იმ პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც წარადგენს ამ პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

ამევე დროს, უცხოური ბანკის ფილიალზე (წარმომადგენლობაზე) ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისთვის დადგენილი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

1991 წლის 10 აგვისტოს მიღებული საქართველოს კანონის „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ (რომელიც ძალადაკარგულად გამოცახდა 24.06.2004 წ) შესაბამისად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მენარმეთა კანონით გათვალისწინებული რეგისტრაციის ზოგადი წესი ვრცელდებოდა, რადგან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სპეციალურ სარეგისტრაციო მოთხოვნებს მედიასაშუალებებისთვის. ამ კანონის მე-7 მუხლი თანახმად:

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ;
- რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“;
- თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალება რაიმე მიზეზის გამო არ ფუნქციონირებს ერთი წლის განმავლობაში, აუცილებელია მისი ხელმეორედ რეგისტრაცია.;

1994 წელს შეტანილი შესწორებების საფუძველზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ სრულიად სამართლიანად გავრცელდა „მენარმეთა კანონით“ დადგენილი ზოგადი მოთხოვნები, სახელდობრ: მასობრივი ინფორმაციის საშუალება შეიძლება დარეგისტრირდეს მენარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. თუ საწარმო უკვე

შესახებ კანონსაც. ინფორმაციის გავრცელებისთვის რაიმე სახელმწიფო ნებართვა ან რეგისტრაცია აუცილებელი არ არის. ფაქტობრივად, საქმე გვექონდა ანონალიურ ნორმასთან, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საერთოდ მენარმეთა კანონის კონცეფციას. ამ კონცეფციის თანახმად, სამენარმეთო საქმიანობის დაწყებისას მენარმე გადის რეგისტრაციას, რის შემდეგაც მისი საქმიანობის ცალკეული მიმართულებების რეგისტრაცია სავალდებულო არ არის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კანონმდებლობა უშუალოდ მასობრივი ინფორმაციის რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ ცალკე ორგანოს არ იცნობს და ამდენად, თუ ვინმე ახალი გაზეთის გამოშვებას აპირებს, ძნელი წარმოსადგენია, სად უნდა მოხდეს გაზეთის დარეგისტრირება. ინფორმაციის გავრცელება და მენარმეობა განსხვავებული ცნებებია. ადამიანს უნდა ჰქონდეს, ყოველგვარი რეგისტრაციების გარეშე, ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების უფლება. თუ ინფორმაციის გავრცელება, მოგების მიღების მიზნით, არაერთჯერად საქმიანობას ანუ მენარმეობას წარმოადგენს, მხოლოდ ამ შემთხვევაში წარმოიშობა მენარმედ დარეგისტრირების აუცილებლობა.

ასეთივე ანონალიას წარმოადგენდა ამ მუხლის მე-3 პუნქტი. თუ კანონის თანახმად, სავალდებულო არ არის მასობრივი ინფორმაციის საშუალების ცალკე რეგისტრაცია, არც მისი ხელახალი რეგისტრაცია უნდა იყოს სავალდებულო, იმისდა მიუხედავად, რა ვადით იყო შეწყვეტილი ამ საინფორმაციო საშუალების ფუნქციონირება. საგადასახადო აღრიცხვიანობის საკითხს აწესრიგებს საგადასახადო კანონმდებლობა, რომელსაც უნივერსალური მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი საქმიანობისათვის, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვისაც.

კანონის ეს დებულება ასევე ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, რომლის მეათე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია: „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას - ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების

ჩარვეის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ ლიცენზირება მაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინონარმოებისათვის.“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბექდ-ვითი მედიის გავრცელებისათვის რაიმე შეზღუდვის დანესება დაუშვებელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სალიცენზიო მოთხოვნების არსებობას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ მაუწყებლობასა და კინონარმოებასთან მიმართებაში. ტელერადიოკომპანიების მიერ მაუწყებლობის განხორციელების საკითხი ბექდვითი მედიისგან განსხვავებულად რეგულირდება. იმის გათვალისწინებით, რომ ტელერადიომაუწყებლობა ბუნებრივად შეზღუდული რესურსის სიხშირული სპექტრის მეშვეობით ხორციელდება, ასეთი საქმიანობის დასაწყებად აუცილებელია სამაუწყებლო ლიცენზიის აღება. სალიცენზიო მოთხოვნები აუცილებელია, ტექნიკური პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

1996 წლის 29 ოქტომბრის 462 - II „საქართველოს საჰაერო კოდექსის“ (06.08.2013 რედაქცია) 7-ე მუხლის მიხედვით განისაზღვრება საავიაციო საშუალებებზე საკუთრების უფლება, კერძოდ საქართველოში საავიაციო საშუალებები შეიძლება იყოს სახელმწიფო, იურიდიული და ფიზიკური პირების (მათ შორის, უცხო სახელმწიფოს) საკუთრება, გარდა საჰაერო ტრასებისა,

სა, ადგილობრივი საჰაერო ხაზებისა, თვითმფრინავების ფრენის მართვის სისტემებისა, საჰაერო მოძრაობის, მართვისა და კონტროლის საშუალებებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ასაფრენ-დასაფრენი ზოლებისა, რომლებიც საქართველოში სახელმწიფო საკუთრებაა. განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნისთვის მთავრობა ყველა ღონეს ხმარობს გააძლიეროს საინვესტიციო საკანონმდებლო ბაზა, შეუქმნას ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს ყველა პირობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარგებში ინვესტიციების მოზიდვის, განხორციელებისა და უსაფრთხოების დაცვისთვის. სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურად მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესანარჩუნებლად. აღსანიშნავია, რომ „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ საქართველოს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის.

ხათუნა ბარბაკაძე,
ასოცირებული პროფესორი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ. 2011 წ;
2. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ თბილისი 2013 წ;
3. საქართველოს კანონით „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. თბილისი 2015 წ;
4. საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“. თბილისი 1991 წ;
5. „საქართველოს საჰაერო კოდექსი“. თბილისი 1996 წ;
6. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020. <http://napr.gov.ge/source/სტრატეგია/ViewFile.pdf>;
7. პავლიაშვილი ს. „ინვესტიციური გარემო და სახელმწიფო ბიუჯეტი“. თბილისი 2011. http://www.for.ge/view.php?for_id=3693&cat=3
8. <http://www.wikipedia.org/>
9. <http://www.nplg.gov.ge/>

ABOUT THE CREATION OF COMPANY AND PARTICIPATION OF INVESTOR IN AN ACTIVITY

Khatuna Barbakadze – Associate Professor
Faculty of Economics and Business, TSU

SUMMARY

Important issue for achievement of successful investment activity is development of legal basis of state regulation in way to improve existing legislation about promotion of investments, in order to make this legislation operative at international level, which will encourage investors and provide mutual mandatory protection of investments.

For favorable investment environment government tries to strengthen legislative framework for investment, creates all conditions for local and foreign investors to attract, implement and secure investments. Government should make steps to eliminate existing insufficiency and to maintain stable and attractive investment environment. It should be mentioned that „Association agreement between Europe and Georgia“ regarding investment attraction will give new opportunities to Georgia.

რა უზლის ხელს ინვესტიციების მოზიდვას?

საინვესტიციო პოლიტიკის სოციო-კულტურული ასპექტები

საქართველოს მთავრობას ხშირად ადანაშაულებენ, რომ მათ არ შეუძლიათ სათანადო მოცულობის ინვესტიციების მოზიდვა თითქოსდა უნიათობის გამო.

ამ დროს კი მსოფლიო დონეზე ინვესტიციების ნაკადების დინამიკა განიხილება უმეტესად მენტალური ასპექტების გარეშე როგორც თავისთავადი მოვლენა, რომელიც დამოკიდებულია რაღაც აბსტრაქტულ ციფრებზე — როგორებიცაა სააღრიცხვო განაკვეთი, სავალუტო კურსი, დასაქმების დონე და ა.შ.

მაგრამ სინამდვილეში მსოფლიო ეკონომიკა ჯერ კიდევ შორსაა ასეთი აბსტრაქტული ავტომატიზაციისაგან.



ნათია ჟოჟუაშვილი
ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი

მაგალითად მხოლოდ ის კმარა, რომ აშშ-ს სარეზერვო სისტემამ არ გაამართლა ინვესტორების მოლოდინები და სააღრიცხვო განაკვეთი არ გაზარდა ზუსტად იმ მომენტში, როდესაც ყველა დარწმუნებული იყო ასეთ “ავტომატურ” ცვლილებაში.

შეიძლება ითქვას, რომ “ავტომატიზაცია” მხოლოდ პორტფელური ინვესტიციების ბაზრებზე არსებობს და ისიც ფარდობითად. ამ ბაზრის მოთამაშეები ორიენტირებულნი არიან უმეტესად “მშრალ ციფრებზე” — საბირჟო ინდექსებზე, სტატისტიკურ მონაცემებზე და ა.შ. და ამ სფეროში ინვესტირება უფრო მეტად ფინანსურ კაზინოს ჰგავს ვიდრე რეალურ ეკონომიკურ ბაზარს.

მაგრამ რაც უფრო მეტად იზრდება საინვესტიციო სახსრების მოცულობა, მით უფრო ნამგებინანი ხდება საფინანსო ბაზრებზე ოპერირება.. ყველაზე გარანტირებული სახელმწიფო ობლიგაციების მარჟა როგორც წესი 3%-ს არ აღემატება. ამას ემატება კაპიტალების “სირბილი” მსოფლიო მასშტაბით სავალუტო დისბალანსების შიშით და საბოლოო ჯამში ბირჟიდან ბირჟამდე გადაყიდვების შემდეგ რეალური მოგება 2 %-ს თუ აღწევს.

სხვა არასაობლიგაციო საბირჟო ოპერაციებზე კი წაგების შანსი უფრო მეტია ვიდრე მოგების, რადგან თავისუფალი კაპიტალის მოცულობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში რამდენჯერმე გაიზარდა. შესაბამისად გაიზარდა “სპეკულაციური წნეხიც”.

შედეგად, პორტფელური ინვესტორებიც კი ცდილობენ, რომ თავიანთი ფინანსური სახსრები ეკონომიკის რეალურ სექტორში დააბანდონ — საფინანსო-სავალუტო “კაზინოებში” თამაშის ნაცვლად.

ამიტომაც გახშირდა მათი მხრიდან ასეთი წინადადებები, რომ ოლონდ კი მომგებიანი ბიზნეს-იდეა მოგვანოდეთ და მინიმუმ 50 მილიონი დოლარის ინვესტიცია გარანტირებული გაქვთ და ისიც მაქსიმუმ 10% -იანი მოგების პერსპექტივით.. ამასთანავე ეს 10% საოცნებო მოლოდინია, თორემ საინვესტიციო ფონდების უმრავლესობა 3%-იან მოგებასაც კი თანხმდება —

ოლონდ კი ეს ნამატი ნამდვილად მოსალოდნელი იყოს ან საბანკო გარანტიით იყოს უზრუნველყოფილი.

ასე რომ, თანამედროვე მსოფლიოში ჩამოყალიბდა არაადეკვატური მდგომარეობა — ერთ მხრივ საინვესტიციო ფონდები ფლობენ გიგანტურ “ზედმეტ” ფულად სახსრებს და მეორე მხრივ კი მილიარდობით ადამიანი გაუსაძლის სიღატაკეში ცხოვრობს — მათ შორის საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც..

შესაბამისად ჩნდება კითხვა: — რატომ არ შეუძლიათ ამ მილიარდობით ლტაკს, რომ მზარდ ეკონომიკურ პროცესებში ჩაერთონ აღნიშნული საინვესტიციო სახსრებს საფუძველზე? — მით უმეტეს რომ არსებული რეალური წარმოების პოტენციალიც კი მხოლოდ 80 %-ით არის ათვისებული და ამ სექტორსაც ზრდის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობები გააჩნია...

ამ შეკითხვას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ პირდაპირი ინვესტიციების მზარდი შეთავაზების მიუხედავად მათი რეალურად განხორციელებული მოცულობა 2014 წელს 8%-ით შემცირდა და მხოლოდ 1,26 ტრილიონი დოლარი შეადგინა.. არადა ავტორიტეტული ორგანიზაციების და პირველ რიგში ჟNჩთAD —ის პროგნოზით ეს ციფრი 1,6 ტრილიონი უნდა ყოფილიყო

2015 წლის შედეგები ჯერ არ შეჯამებულა, მაგრამ ზრდის მნიშვნელოვანი ტენდენციები არც გასულ თვეებში გამოვლენილა და წლის ბოლოსთვისაც ინვესტიციები ოდნავაც ვერ მიუახლოვდება რამდენიმე წლის წინ პროგნოზირებულ 1,8 ტრილიონს.

მიზეზების ჩამოთვლა ძალიან მრავლად შეიძლება — განსაკუთრებით სირიის და უკრაინის კონფლიქტები ითვლებიან ყველაზე დესტრუქციულად. მაგრამ მსოფლიო ეკონომიკამ უკვე გამოიმუშავა მდგრადობა ლოკალური კონფლიქტების მიმართ.

აღრე თუ ინვესტორები მხოლოდ საფრთხის მოლოდინის გამო ტეხდნენ პანიკას და პარანოიდალურ ისტერიკაში ვარდებოდნენ, დღეს უკვე მხოლოდ დამდგარ საფრთხეზე რეაგირებენ ზედმეტი პანიკების გარეშე.

ასე რომ შეიძლება მსოფლიო ეკონომიკა უფრო მასშტაბურმა — მაგალითად ინდოეთ-პაკისტანის ომმაც კი ვერ შეარყიოს.

პირდაპირი ინვესტიციების შემცირების მიზეზი უფრო მეტად სოციო-კულტურულია ვიდრე ზოგად-პოლიტიკური.

მთელი მსოფლიოს მიმოხილვა შორს წაგვიყვანს, მაგრამ თუნდაც მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მაგალითზე ჩანს რომ თვითონ საინვესტიციო სახსრების მოძიება რთული არ არის. **საქართველოს მთავრობას საპარტნიორო ფონდში მილიარდზე მეტი დოლარი აქვს მოზილღირებული და კიდევ ერთი ამდენის მოზიდვაც ძალიან ადვილად შეუძლია.** მაგრამ მთავარი პრობლემაა — სად, რა სფეროში დააბანდოს საიმედოდ.

მცირე და თუნდაც საშუალო ბიზნესის სფეროში ოპერირება ნამდვილად არ უღირს დიდ ფონდს..

დიდი პროექტების განხორციელებას კი წინ ელოდება “ტრადიციული” ჯიბრი და მავნებლობა. ახალი მოვლენა არ არის საქართველოს ისტორიაში, როდესაც დაპირისპირებული მხარეები საერთო ეროვნულ და საკუთარ საქმეებსაც კი აფუჭებენ, ოღონდ კი მოწინააღმდეგეს შანი მოუგონ და ბოლომდე გააცამტვერონ.

და მთავარი არგუმენტი ამჟამად საინვესტიციო “ბრძოლაში” არის არა მაკროეკონომიკური მიზანშეწონილობა ან საზოგადოებრივი ინტერესი, არამედ გემოვნება — რაზედაც როგორც წესი არ დაობენ.

მაგალითად 400 მილიონიანი “პანორამა თბილისის” განხორციელებას თვითონ უცხოელი ინვესტორები არ აჩქარებენ — ხედავენ რა რიყის პარკის ავბედითობას.

რიყეზე განხორციელებული პროექტი შეაჩერეს და დაბლოკეს მისი თითქოსდა არაესთეტიურობის გამო. ამ დროს კი ერთმა საკმაოდ ავტორიტეტულმა მსოფლიო

ასოციაციამ ე.წ. “მშვიდობის ხიდი” ორიგინალური ხიდეების ტოპ-ათეულში შეიყვანა.

ამ ხიდის მოპირდაპირედ მდგარი ორი უცნაური შენობა ქართველების უმრავლესობას არ მოსწონს, მაგრამ უცხოელი სტუმრებისათვის ეს ლამის საოცრებაა — თითქმის ყველა ტურისტი ცდილობს მათ ფონზე სურათი გადაიღოს აღნიშნული “მშვიდობის ხიდიდან”.

რა თქმა უნდა ეს შენობები არ უხდება ძველი თბილისის ხედებს, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი ეროვნული გემოვნებით, რომელიც თან კიდევ საბჭოთა არქიტექტურის “ტიპობრიობის” პრინციპით არის დამახინჯებული. თორემ დანარჩენ მსოფლიოში ასეთი კონტრასტები მოდაშიდაც კი არის. მოდა კი არადა, შეიძლება ითქვას, რომ არქიტექტურული პრინციპია. როდესაც ევროპაში თუ აზიაში დაისვა საკითხი — თუ როგორ შეეხამებინათ ძველი და ახალი არქიტექტურა — მათ გადაწყვიტეს რომ ისინი გვერდიგვერდ ყოფილიყვნენ ყოველგვარი გარდამავალი ფორმების თუ გამყოფი ბალების ან გორაკების გარეშე.. უშუალო კონტრასტი უფრო მიმზიდველად ჩათვალეს. **და ჩვენ რატომ უნდა დავრჩეთ პროლეტარული ტიპობრიობის პრინციპის დონეზე? ... რა არ დაარქვეს აღნიშნულ შენობებს - “ბოტები”, “ვალინკები” და ა.შ., მაგრამ რატომღაც არავის მოსვლია აზრად რომ ისინი იმ ლამისის შუშებისათვის შედარებინათ, რომლებიდანაც ასე ძალიან უყვარდათ ქართველებს ღვინის სმა არც თუ ისე დიდი ხნის წინ.. თვითონ არქიტექტორის ჩანაფიქრით კი ისინი სტილიზებული ქართული ყანები თუ დოქები არიან..**

ასევე თითქოსდა შეუფერებლობის გამო ეწინააღმდეგებიან “პანორამა თბილისის” პროექტს.

მაგრამ ამ წინააღმდეგობაში უკვე ის “საზოგადოებრივი მოღვაწეები” არიან ჩართულნი, რომლებიც ხე-



ლისუფლებებში ყოფნის დროს რიყის “ბოტებს” ხოტბას ასხამდნენ..

არადა “პანორამა თბილისი” ზუსტად ისევე შეეფერება გარემოს როგორც რიყის კომპლექსი. და ეს ნამდვილად არ არის ნონსენსი. პირიქით, როგორც უკვე აღინიშნა ასეთი კონტრასტი უფრო ბუნებრივად მიიჩნევა ვიდრე ძველი ფორმების პირდაპირი კოპირება ან მათი ძალით სინთეზირება ახალ არქიტექტურულ სტილებთან.

აღნიშნული, ვითომ საზოგადოებრივი, სინამდვილეში კი პოლიტიზირებული ჯგუფების თავხედობა არანაკლებ დესტრუქციულია. საკმარისია რომ მათ ერთი მოჭრილი ხის გამო ისტერიკები ასტეხონ, რომ მრავალმილიონიანი საინვესტიციო პროექტი ჩერდება .. ამ დროს კი საქართველოში ათასობით ჰექტარი ტყე იჩეხება საქესპორტოდ .. ზარალდება არა მხოლოდ ბუნება, არამედ მოსახლეობაც და ეს ნამდვილი ეკოლოგიური კატასტროფა არათუ გააფთრებული ისტერიკების, უბრალო ამოოხვრის საბაბიც კი არ ხდება . . .

ასე რომ საქართველოში ინვესტიციების განხორციელების აუცილებელი სოციო-კულტურული წინაპირობაა, რომ პარტიული შუღლი და ანტიპატიები არ ვრცელდებოდეს საინვესტიციო პროექტებზე და ზოგადად ეკონომიკაზე ... და ეს პროექტები შეფასდეს არა დაპირისპირებული ჯგუფების პოლიტიზირებული ემოციებით, არამედ დამოუკიდებელი ექსპერტების მოსაზრებების საფუძველზე.

ამასთანავე ინვესტორი არ უნდა ისჯებოდეს რომელიმე პოლიტიკოსის დაფინანსების გამო. ბიზნესმენი უმეტეს შემთხვევაში იძულებულია ითანამშრომლოს პოლიტიკოსთან.. შესაბამისად დანაშაულზე პასუხი უნდა აგოს მხოლოდ პოლიტიკოსმა და არა მისმა სპონსორმა ინვესტორებმა.

თვითონ პროექტები მით უმეტეს არაფერ შუაში არიან...

კიდევ ერთი სოციო-კულტურული ბარიერი ზოგადად ჩამორჩენილ აზიურ და აფრიკული ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი და არა მხოლოდ საქართველოსთვის..

ამ ქვეყნებში არათუ დანიშნულ არამედ არჩეულ თანამდებობის პირსაც კი მიაჩნია რომ ეხლა “მისი დრო” მოვიდა და შესაბამისად ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, როგორც მას მოეპრიანება. ეს ახირება რომ აღმშენებლობითი იყოს, მაშინ კიდევ დადებით ეკონომიკურ ფაქტორად ჩაითვლებოდა. მაგრამ აზიური ჩამორჩენილობის თუ აფრიკული “ველურობის” არსი იმაში მდგომარეობს, რომ მედროვე “მბრძანებელი” თავის

ქვეშევრდომებს მათ სანიანალმდეგო ნებას ახვევს თავს და ამით ამტკიცებს თავისი ძალაუფლების “სიდიადეს” და “შეუვალობას”.

ასეთი “მედროვეობა” როგორც წესი განსკუთრებით ძლიერია პროვინციული ბიუროკრატების დონეზე...

როდესაც მმართველის მოპრიანებები თვითონ მისი ამამრჩევლების ინტერესებს ეწინააღმდეგება — იქ ინვესტორს არაფერი ესაქმება. ბიზნესისათვის აუცილებელი პრაგმატიზმი და ბიუროკრატული ახირებები აბსოლუტურად შეუთავსებელია.

ამიტომ მედროვეების დროებითი მოპრიანებების ნაცვლად უნდა დადგინდეს თამაშის მუდმივი წესები, რომლებსაც დაემორჩილებიან როგორც არსებული ასევე მომავალი მთავრობები.. და ეს თამაშის წესები უნდა იყოს სამართლიანი და უმრავლესობისათვის მისაღები.

აღნიშნული მენტალური ჩამორჩენილობა უკვე ბევრმა აზიურმა ქვეყანამ გადალახა. პირველ რიგში ჩინეთმა..

ნამდვილად ნონსენსია, თავისი არსით ანტიკაპიტალისტური კომუნისტური პარტია რომ სთავაზობს უცხოელ ინვესტორებს ყველაზე მაღალი დონის დაცულობას და სტაბილურობას. ასევე არაადეკვატურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ ჩინეთიდან პორტფელური ინვესტიციები კი “გარბიან”, მაგრამ სანაცვლოდ პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა იზრდება. 2014 წელს ამ მაჩვენებლით ჩინეთი მსოფლიო ლიდერი გახდა და აშშ-საც კი გაუსწრო პირველად 2003 წლის შემდეგ. 2015 წლის იანვარ-აგვისტოშიდაც პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა ჩინეთის ეკონომიკაში კიდევ 9,8 %-ით გაიზარდა და 85,34 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ამ დროს კი “ევროპულად ლიბერალურ” საქართველოში თვითონ ადგილობრივი ბიზნესმენებიც კი ერიდებიან რეინვესტირებას — არიან რა მოახლოებული არჩვენების და შესაბამისად შესაძლო არეულობების მოლოდინში.

ასე რომ, ბიზნესის პოლიტიზაცია თუ არ დასრულდა საქართველოში — ინვესტიციების ზრდის ნაცვლად ჩამორჩენის კიდევ უფრო მეტ პერსპექტივებს მივიღებთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. UNCTAD. Foreign direct investment: Inward and outward flows and stock, annual, 1980-2014
2. The Wall Street Journal. China Trumps U.S. for Foreign Investment. Paul Hannon Jan. 29, 2015

RESUME

In global economic there was not ordinary situation. On the one hand investment funds own huge superfluous financial assets. On the other hand billions people live in poverty.

There is a question: why the majority of less developed countries cannot accept the foreign investments, despite of prevailing growth of their offer?

It is a lot of reasons. But the most important problem is a social bad manners. As for example corruption of authorities, a low level of a standard of work and self-organizing etc.

In Georgia the main problem is excessive politization of investment projects and impudence of local authorities.

So the main precondition of attraction of the investment into Georgia is clearing economy of party disagreements.

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, როგორც განმსაზღვრელი ძალა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საბარეო ვექტორის

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საკითხს ურთიერთდამოკიდებულება და მისი როლი ქვეყნების პოლიტიკურ ორიენტაციაზე წარმოადგენს.

საინტერესოა, განვიხილოთ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, როგორც ძალა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საგარეო ვექტორის განმსაზღვრელი, წარმოვაჩინოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი სახელმწიფოს ეკონომიკური კავშირები და ამ კავშირების შედეგად მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებათა შედეგი.

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და მისი თეორიული ჩარჩო

ურთიერთდამოკიდებულების თეორია საერთაშორისო პოლიტიკაში **რობერტ კოჰენის** და **ჯოზეფ ნაის** სახელს უკავშირდება. სწორედ ისინი იყვნენ პირველნი, რომლებმაც საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული თეორიული ჩრდილიდან აქცენტი მეტწილად ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებასა და მის პოლიტიკურ გავლენებზე გააკეთეს. თუკი გასულ საუკუნეში რეალიზმის სკოლა მთლიანად დომინირებდა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ სკოლათა რიგებში, დღეს გვაქვს განსხვავებული რეალობა. ერთი ქვეყნის პრობლემა, მხოლოდ მის პრობლემად აღარ რჩება - იგი ეხება ყველა იმ პარტნიორ ქვეყანას, რომლებიც თანამშრომლობენ პირველ აღნიშნულთან.

კოჰანი და **ნაი** ურთიერთდამოკიდებულების ძალის სამ სახეს გამოყოფენ:

- **ძალაზე ორიენტირებული ურთიერთდამოკი-**

დებულების პოლიტიკის ანალიზი;

- **კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება;**
- **ურთიერთდამოკიდებულების ეფექტური ურთიერთობა;**¹

თუკი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს მსგავსი პერსპექტივით შევხედავთ, შევამჩნევთ, რომ ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი რუსეთთან და ევროკავშირთან მიმართებით საკმაოდ განსხვავებულია. რაც თავის მხრივ, მათ მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე პირდაპირპროპორციულად აისახება.

შეგვიძლია შევაფასოთ, რომ რუსეთის ეკონომიკური ბერკეტები ბელარუსსა და სომხეთზე ძალაზე ორიენტირებული ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკის ანალიზის ჩრდილში თავსდება. ევროკავშირისა და ასოცირების ხელშეკრულების ქვეყნებს შორის კი საქმე გვაქვს ასიმეტრიულ ურთიერთდამოკიდებულებასთან.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები

თავდაპირველად, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის შექმნის იდეა წამოყენებულ იქნა პოლონეთისა და შვედეთის მიერ. პოლიტიკამ სრულყოფილი სახე ჩეხეთის რესპუბლიკის ინიციატივით მიიღო. როგორც ერთიანი წინადადება აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა, ევროკავშირის საგარეო

¹ Koehen and Nye, Power of interdependence Revisited, International organization, Volume 41, Issue 4, (Autumn 1987) 728.



საქმეთა მინისტრების მიერ 2008 წლის 26 მაისს იქნა გაჟღერებული.¹ აღმოსავლეთ პარტნიორობის მთავარ მიზანს წამოადგენს:

- პოლიტიკური ასოცირება;
- ეკონომიკური ინტეგრაცია;
- მობილობა;
- გაძლიერებული სექტორული თანამშრომლობა;

აღსანიშნავია, რომ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან (საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი და ბელარუსი) მხოლოდ სამი მათგანის რეალურ ინტერესს წარმოადგენს ევროინტეგრაცია და პარტნიორობა. მარტივად შეგვიძლია გავყოთ პარტნიორობის ქვეყნები ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გავაერთიანოთ ასოცირების ხელშეკრულებას ხელმოწერილი საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, ხოლო მეორე ჯგუფს მივაკუთვნოთ: სომხეთი, ბელარუსი და აზერბაიჯანი. თუკი მათ ეკონომიკურ მდგომარეობასა და ურთიერთდამოკიდებულებას შევადარებთ ერთმანეთს, სრულიად განსხვავებულ სახეს მივიღებთ და დავინახავთ ეკონომიკური დამოკიდებულების ზეგავლენას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ა) საქართველო, უკრაინა, მოლდოვა

საქართველო, უკრაინა, მოლდოვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც თავის დროზე რუსეთზე სრული ეკონომიკური დამოკიდებულებისდა მიუხედავად წლების განმავლობაში ცდილობდა ეკონომიკის ევროპული ბაზრისთვის მიბმას. დღესდღეობით მოლდოვას ექსპორტისთვის მთავარ დესტინაციას რუმინეთი წარმოადგენს, მას მოჰყვება რუსეთი, იტალია, გაერთიანებული სამეფო, ბელარუსი და გერმანია.

რაც შეეხება იმპორტის მხრივ მთავარ პარტნიო-

რებს პირველ-მეორე ადგილს აქაც რუმინეთი-რუსეთი ინაწილებს. რუმინეთი-რუსეთის ეკონომიკური კავშირები მოლდოვას პოლიტიკურ ამინდზეც ჰპოვებს ხოლმე ასახვას. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვა, რუმინეთის გავლენითა და ლობისტობით, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას განაგრძობს, რუსული რბილი ძალის გავლენა შიდა პროცესებში შესამჩნევად დიდია.

საქართველოსთვის ექსპორტის თვალსაზრისით, რუსეთი ნომერ პირველ ქვეყანას აღარ წარმოადგენს, ამ სფეროში ჩინეთი გაცილებით მაღალი მაჩვენებლით ხასიოთდება; რაც შეეხება იმპორტს, 2016 წლის იანვრის მონაცემებით, ნომერ პირველ ქვეყანა თურქეთია, რუსეთი აქაც მეოთხე-მეხუთე ადგილს სჯერდება. რაც სერიოზულად იმედისმომცემლად გამოიყურება ქართული ეკონომიკის იმპორტ-ექსპორტის დივერსიფიკაციის თვალსაზრისით.


უკრაინის შემთხვევაში, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან გამომდინარე ორივე მხარემ აკრძალა ერთმანეთის პროდუქტების ქვეყანაში შეტანა, ამ მხრივ რუსეთის მხრიდან უკრაინაში ეკონომიკური ბერკეტის გამოყენება, ომის პირობებში შეზრუდულია. რაც უკრაინას ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება ვნებდეს, თუმცა მეორე მხრივ, მეტ პოლიტიკურ თავისუფლებას სთავაზობს მას.


ბ) სომხეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი

რუსეთი ზემოაღნიშნული სამივე ქვეყნისთვის მთავარ დასაყრდენ ეკონომიკურ პარტნიორს წარმოადგენს. რუსეთი სომხეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორია, რომელსაც იმპორტის თვალსაზრისით უფრო მეტი საქონელი შეაქვს სომხეთში, ვიდრე ევროკავშირის 28 სახელმწიფოს ერთად აღებულს.²

1 **Rahim Rahimov, The European Union's Eastern Partnership and energy security issues, Hult International Business School London, UK - 2010.**

2 ხელმისაწვდომია: http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113345.pdf, ნანახია :27.09.2016





აზერბაიჯანის იმპორტ-ექსპორტის თვალსაზრისით ევროკავშირის ქვეყნების ჯამი მეტია რუსეთის მიერ მთლიან სავაჭრო ბრუნვაზე, თუმცა რუსული ბაზარი და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მაინც თვალშისაცემია, რაც თვალნათლივ აისახება აზერბაიჯანის პოლიტიკაზე. დღეს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზერბაიჯანი არ არის არც პრორუსული და არც ანტირუსული. ის ინარჩუნებს რუსეთთან იმგვარ ურთიერთობას, რომ არ მოუწიოს საკუთარი ეკონომიკის, პოლიტიკის, საგარეო ურთიერთობების კრემლის მოთხოვნებზე შენირვა.¹

რაც შეეხება ბელარუსს, 2015 წლის მონაცემებით, იმპორტ-ექსპორტის თვალსაზრისით, რუსეთი უპირობო ლიდერია.² რითაც, რუსული გავლენა და ფედერაციის ბერკეტები ბელარუსზე პოლიტიკური გავლენის მოსახდენად ძალიან დიდია.

რუსეთის ეკონომიკური ბერკეტი

ბოლოდროინდელი მოვლენებიდან, რუსეთის მიერ

1 Cornell, Svante E. Azerbaijan Since Independence New York: M.E. Sharpe, 2011.335p

2 ხელმისაწვდომია: http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113351.pdf

ნანახია:27.09.2016

ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების საშუალებით, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების ნათელი მაგალითია **ევრაზიული კავშირი**, რომელიც რომ დასაწყისშივე მკვდრადმოხილი იდეაა. მიუხედავად ამკარა კრახისა, რაც ბოლო წლებში ევრაზიული კავშირის ნევრების ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის უკიდურესმა დაღმასვლამ აჩვენა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ორი ქვეყანა (სომხეთი და ბელარუსი) ვერ იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას დატოვონ გაერთიანება.

აზერბაიჯანთან (ყარაბაღის კონფლიქტზე) და თურქეთთან (სომხების გენოციდის საკითხზე) დაძაბული ურთიერთობების ფონზე, სომხეთის მთავარი პარტნიორი რეგიონში რუსეთილა რჩება. სომხეთი ბოლომდე ეცდება სტრატეგიული პარტნიორის გულის მოგებასა და რუსულ პოლიტიკურ ორბიტაზე ადგილის შენარჩუნებას.

ანალოგიური სიტუაცია, გვაქვს ბელარუსთან მიმართებით. მთავარი პარტნიორის გალიზიანებას ლუკაშენკოს რეჟიმშიც ერიდება და ცდილობს შეძლებისდაგვარად ფეხი აუწყოს რუსეთის ფედერაციის საგარეო ინტერესებს.

ყოველივე ზემოთგანხილულის ფონზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების დონე, რეგიონის აქტორებთან მიმართებით, განსხვავებულია. ზოგადად, რომ პატარა ქვეყნების პოლიტიკური პოზიცია დამოკიდებულია მათი მთავარი ეკონომიკური პარტნიორის პოზიციებზე და არა მათსავე სურვილზე ესეც შესამჩნევი ტენდენციაა.

ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, ზეგავლენის არიდების ყველაზე სწორი გზა ალბათ, პარტნიორების მაქსიმალური დივერსიფიკაცია და ერთ რეგიონალურ აქტორზე დამოკიდებულების შემცირებაა.

მარიამ ბრიგალაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი

RESUME

Today one of the main subjects of International Relations and International political Economy is the interdependence and its role in the policy of countries. After the collapse of the Soviet Union, situation of International sphere was dramatically changed. The central European societies, the former Baltic republics of the USSR, central Asian countries, Georgia, Armenia and Azerbaijan had to make serious decisions not only in the entire affairs but also in foreign relations. The paper, Economic interdependence as a driving force of Eastern Partnership countries' foreign orientations –discusses some of the main points. it introduce theoretical background about interdependence and try to confirm its influence (if it exists) over the relations with EU, Russia and Eastern Partnership countries.

Russia's economic levers in Armenia-Azerbaijan-Belarus do not allow them to escape from the Russian orbit. As for Georgia-Ukraine-Moldova, their examples show us how important is to diversify economic partners and reduce economic dependence on one regional actor.

შემოსავლების განაწილების უთანაბრობა საქართველოში

ისტორიული თვალსაზრისით, შემოსავლების უთანასწორო განაწილების პრობლემა წინა საუკუნეებშიც იდგა, დღესაც დგას და როგორც ჩანს მომავალშიც იქნება. XX საუკუნეში მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლების თანასწორობის დამყარების მიზნით ევროპაში და აშშ-ში მრავალი ღონისძიება გატარდა, მაგრამ დღესაც, კი აშშ-ში ამერიკელი ოჯახების 0,05% ფლობს ქვეყნად არსებული მთლიანი პირადი ქონების 35%-ს, მაშინ როცა უფრო “დაბლა” მყოფი ოჯახების 90%-ის ქონება შეადგენს მხოლოდ 30%-ს“.

მართალია, ცნობილი მეცნიერი, **პ. ჰაინე**, ერთ თავის ნაშრომში შენიშნავს აძლევს შემოსავლების განაწილების ბიუროს, აშშ-ში ოჯახებს შორის “შემოსავლების უთანასწორობის გაზვიადებაში, რადგან ისინი მხედველობაში არ იღებენ ოჯახების სიდიდეს, პირად გადასახადებს და ნატურით დახმარებებს,¹ მაგრამ ეს ასეც რომ იყოს, ფაქტი ერთია, მოსახლეობის შემოსავლებში უთანაბრობა ამერიკაშიც არის და სხვა ქვეყნებშიც. ამის დადასტურებას გვიჩვენებს ცხრილში მოცემული ციფრები.

შემოსავლების განაწილების უთანაბრობა მსოფლიოში (%-ში)²

ქვეყანა	ყველაზე დაბალი 20%-ის	ყველაზე მაღალი 20%-ის	განსხვავდება მდიდარსა და ღარიბს შორის
იაპონია	10,6	35,7	3,4-ჯერ
გერმანია	8,5	36,9	4,3-ჯერ
ინდოეთი	8,9	41,6	4,7-ჯერ
კანადა	7,0	40,4	5,8-ჯერ
დიდი ბრიტანეთი	6,1	44,0	7,2-ჯერ
აშშ	5,4	45,8	8,5-ჯერ
რუსეთი	4,9	51,3	10,5-ჯერ
ჩინეთი	4,7	50,0	10,6-ჯერ
ნიგერია	4,4	55,7	12,7-ჯერ
მექსიკა	3,1	59,1	19,1-ჯერ
ბრაზილია	2,0	64,4	32,2-ჯერ
სამხრეთ აფრიკა	2,0	66,5	33,2-ჯერ

ასე რომ, შემოსავლების თანაბარი განაწილება უცხოა საბაზრო ეკონომიკური სისტემისთვის. ამის მიზეზად მეცნიერები, ქართველებიც და უცხოელებიც, მთელ რიგ ფაქტორებს ასახელებენ. მაგალითად, ამერიკელი მეცნიერები კემბელ რ. მაკკონელი და სტენლი ბრიუ შემდეგ ფაქტორებზე მიუთითებენ:³

- 1. ადამიანთა განსხვავებები უნარებში, კერძოდ ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებში.** ინტელექტუალური უნარების მქონე ადამიანებს შეუძლიათ დაეუფლონ მაღალანაზღაურებად პროფესიებს.
- 2. სწავლის და განათლების დონე.** ადამიანთა ერთი ნაწილი მიღებული განათლებით და პროფესიონალიზმით მაღლა დგას მეორე ნაწილზე. ამის შედეგად მათი გამომუშავება უფრო მეტიც არის.
- 3. პროფესიული გემოვნება და რისკი.** არის არასასიამოვნო სამუშაოები, მაგალითად, ნაგვის მოგროვება, რომელთა ანაზღაურება მაღალია, მაგრამ ყველა არ დათანხმდება მის შესრულებას. არის რისკიანი სამუშაოებიც, რომლებიც ასევე მაღალანაზღაურებადია.
- 4. ქონების ფლობა.** ქონება ადამიანებს დიდ შემოსავალს აძლევს, განსაკუთრებით ფინანსური აქტივები - აქციები, ობლიგაციები და სხვა. ოჯახებს, რომელთაც ასეთი ქონება გააჩნიათ, სიმდიდრე და შემოსავლებიც (დივიდენდები, პროცენტები, კურსთა შორის სხვაობით მოგება და ა. შ.) მეტი აქვთ.
- 5. ბაზარზე ბატონობა.**
- 6. “საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნა”,** ან პირიქით - უბედური შემთხვევა, მძიმე ავადმყოფობა, მარჩენალის სიკვდილი და ა. შ.


ამ ფაქტორების დასახელებამდე კემბელ მაკკონელი და სტენლი ბრიუ იმასაც აცხადებენ, რომ “საბაზრო ეკონომიკა უნამუსოა, მან არ იცის მორალური ნორმები და ვერ ეგუება შემოსავლების “სამართლიან” განა-

1 Пол Хейне, Экономический образ мышления, М., 1991, гв. 381.
 2 ლემონჯავა პ., აბრალავა ა., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2009, გვ. 321.
 3 Кемпелл Р., Макконел, Стенли Брю, Экономикс, М., 1992, гв. 280-281.

ნიღებსა¹.

შემოსავლების უთანასწორობის ხარისხი შეიძლება დავინახოთ **ლორენცის მრუდზე**, სადაც **“ოჯახების ნილი”** განლაგებულია აბსცისის ღერძზე, ხოლო შემოსავლების ნილი - ორდინატის ღერძზე (იხ. ნახაზი 3).

თეორიულად შესაძლებელია შემოსავლის აბსოლუტურად თანაბარი განაწილება, რომელიც ნახაზზე ნაჩვენებია ბისექტრისით. იგი უჩვენებს, რომ ოჯახების ყოველი მოცემული პროცენტი შესაბამის პროცენტულ შემოსავალს იღებს: 20% ოჯახების ნილი იღებს შემოსავლის 20%-ს, 40% - შემოსავლის 40%, 60% - შესაბამის პროცენტს და ა. შ., რომელიც შესაბამისი წერტილებით ბისექტრისაზე აღნიშნული. ბისექტრისასა და ლორენცის მრუდს შორის არსებული სივრცე მიუთითებს შემოსავლების უთანასწორობის ხარისხზე. რაც უფრო ფართოა ეს სივრცე ანუ დაცილება სწორ ხაზსა და მრუდს შორის, მით უფრო მეტია უთანასწორობის ხარისხი. თუ შემოსავლის ფაქტობრივი განაწილება აბსოლუტურად თანასწორი იქნებოდა, მაშინ ბისექტრისა და ლორენცის მრუდი ერთმანეთს დაემთხვეოდა. ნახაზზე აგრეთვე ნაჩვენებია აბსოლუტური უთანასწორობის სიტუაცია, რომელიც მაშინ წარმოიშობა, როცა ოჯახების 1%-ის საკუთრებაში აღმოჩნდებოდა შემოსავლის 100%. ამ შემთხვევაში ლორენცის მრუდი დაემთხვეოდა ორდინატის ღერძს.



საერთოდ შემოსავლების თანაბარი განაწილების პრობლემა სადისკუსიო საკითხია. მას მომხრეებიც ყავს და მოწინააღმდეგეებიც. ერთსაც აქვთ სათანადო არგუმენტები და მეორესაც.

შემოსავლების თანაბარი განაწილების სასარგებლოდ ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ თანაბარი განაწილება მოცემული შემოსავლის სარგებლიანობის მაქსიმიზაციას იძლევა.² ეს კონცეფცია უტილიტარიზმად იწოდება. უთანასწორობის კონცეფციის დამცველები გვთავაზობენ “მინიმალური სარგებლიანობის მაქსიმიზაციას” ანუ “მინიმაქსის კრიტერიუმს”. მინიმაქსის კრიტერიუმში “საბოლოოდ დასაშვებად მიიჩნევა შემოსავლების უთანასწორობას, რადგან ეს გააძლიერებს შრომის სტიმულს და ქმნის შესაძლებლობას მეტი დახმარება გაენიოთ ღარიბ ადამიანებს.³ ეს საკითხი გადანყვეტილი არ არის და მეცნიერებს შორის ეს პოლემიკა დღესაც გრძელდება.

შემოსავლების არასამართლიანი განაწილება ყოველთვის აუცილებლად ეკონომიკური განვითარების დონესთან დაკავშირებული არ არის. იგი უფრო ჩამოყალიბებული ტრადიციებითა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილებით განისაზღვრება.

იკვლევდა რა ისტორიულ ჭრილში ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებებს განვითარებად ქვეყნებში, **სვიმონ კუზნეცი** მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თავდაპირველად ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობს განაწილების გაუარესების პირობებში, ხოლო, შემდეგ, გარკვეულ დონეზე იწყება შემოსავლების გათანაბრება. ეს გრაფიკულად გამოისახება მრუდით, რომელმაც კუზნეცის მრუდის სახელწოდება მიიღო. ამ მრუდის თეორიული ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული შემოსავლები უნდა გადანაწილდეს ბიზნესმენტა სასარგებლოდ, მათ რომ ეს თანხები წარმოებაში დააბანდონ, რითაც მიიღწევა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები. ამით გაიზრდება სამუშაო ადგილები და უმუშევარი ღარიბებიც დასაქმდებიან. მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ეს დებულება არასწორია, იგი ემსახურება მათ ინტერესებს, რომლებიც სარგებლობენ განაწილების უსამართლობით. კუზნეცის მოსაზრების საწინააღმდეგოდ

1 Кемпелл Р., Макконел, Стенли Брю, Экономикс, М., 1992, გვ. 279.

2 სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე., მიკროეკონომიკის, თბ., 2006, გვ. 349.

3 ლემონჯავა პ., აბრალავა ა., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2009, გვ. 324.

გამოითქმება შემდეგი მოსახლეობის:

1. განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის მდიდარი ნაწილი არ არის მიდრეკილი საინვესტიციო დაგროვებისადმი. ისინი ამჯობინებენ შემოსავლები გამოიყენონ პირადი დაგროვების მიზნით: შეიძინონ ძვირფასეულობა, უძრავი ქონება, გახსნან ანაბრები საზღვარგარეთ და ა. შ.

2. მცირე შემოსავლების დროს დაბალია სამუშაო ძალის უნარი: ჯანმრთელობა, განათლება, კვალიფიკაცია და ა. შ.

3. გადანაწილება ღარიბი მოსახლეობის სასარგებლოდ გაზრდის მოთხოვნას სამამულო წარმოების საქონელზე, რაც ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთი ფაქტორი იქნება.

4. სამართლიანი განაწილების შემთხვევაში გაცილებით დიდია ქვეყნის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური სტაბილურობა, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ არ არის შეუძლებელი ერთდროულად ჰქონდეს ადგილი როგორც ეკონომიკურ ზრდას, ასევე განაწილების გაუმჯობესებას.²

ეს საკითხი საქართველოსთვის ისეთივე მტკიცენულია, როგორც სხვა ღარიბი ქვეყნებისთვის. ჩვენთანაც შემოსავლები დიფერენცირებულია ქალაქსა და სოფლის მოსახლეობას და ქვეყნის რეგიონებს შორის. სოფლად შემოსავლები რომ უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქად და საქართველოს ზოგიერთ დეპრესირებულ რეგიონში კიდევ უფრო მცირეა. საყურადღებოა მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლის უთანაბრო განაწილება. იგი მეცნიერი კორალო ჯინის მიერ შემუშავებული კოეფიციენტით იანგარიშება.³

$$(k = \sum p_i q_{i+1} - \sum p_{i+1} + q_i)$$

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ქვეყნის მოსახლეობა დაყოფილი ყავს 10 ტოლ ნაწილად, ანუ დეცილურ ჯგუფებად და გაანგარიშებული ჯგუფის წილით შემოსავლებში და დანახარჯებში ანაგარიშობს და აქვეყნებს ჯინის ფაქტიურ კოეფიციენტებს .

ჯინის კოეფიციენტები საქართველოში⁴

	მთლიანი შემოსავლების მიხედვით	მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით	მთლიანი სახსრების მიხედვით	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით	მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით	მთლიანი ხარჯების მიხედვით
2006	0,45	0,53	0,47	0,40	0,47	0,42
2007	0,46	0,53	0,47	0,41	0,48	0,43
2008	0,45	0,53	0,47	0,41	0,49	0,44
2009	0,46	0,53	0,48	0,42	0,49	0,44
2010	0,46	0,52	0,48	0,43	0,50	0,46
2011	0,46	0,52	0,48	0,42	0,50	0,46
2012	0,43	0,49	0,46	0,41	0,49	0,45
2013	0,42	0,46	0,43	0,40	0,47	0,44
2014	0,41	0,46	0,43	0,40	0,48	0,45

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, საქართველოში 2006-2014 წლებში ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების მიხედვით შემცირებულია 0,45-დან 0,41-მდე, ე. ი. 45%-დან 41%-მდე ეს კარგი ენდენციაა. საპირისპირო ტენდენცია არის მთლიანი ხარჯების მიხედვით (მ. შ. მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვითაც). ორივე შემთხვევაში ჯინის კოეფიციენტი 40%-ზე მაღალია. ეს მიუთითებს შემოსავლების და ხარჯების მეტად არათანაბარ განაწილებაზე საქართველოში. საქართველოში მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების დიფერენციალის დეცილური კოეფიციენტი შეადგენდა: 2004 წელს - 31,9-ს, 2005 წელს 0 28,2-ს, 2006 წელს - 29,4-ს, 2007 წელს 27,1-ს, 2008 წელს - 19,7-ს, 2009 წელს 26,2-ს, 2010 წელს - 17,7-ს, 2011 წელს - 25,6-ს, ხოლო 2012 წელს 19,8-ს. ამ გაანგარიშებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის ყველაზე ღარიბმა ფენამ ანუ პირვე-

1 Тодаро П., Экономическое развитие, М., Юнити, 1997, გვ. 152.
 2 Тодаро П., Экономическое развитие, М., Юнити, 1997, გვ. 152.
 3 გაბიაშვილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., 2007, გვ. 497.
 4 "საქსტატის" მონაცემები.



ლმა დეცილურმა ჯგუფმა, საქართველოში, ყველაზე მდიდარ ფენაზე ანუ მეათე დეცილურ ჯგუფთან შედარებით 2012 წელს - 19,8-ჯერ ნაკლები შემოსავალი მიიღო. ის იყო მთელი შემოსავლების 1,7%.

მართალია დინამიკაში ეს მაჩვენებელი 2004-2012 წლებში შემცირებულია 31,9-დან 19,8-მდე, მაგრამ

იგი მაინც მაღალია და მიუთითებს მდიდარი და ღარიბი მოსახლეობის შემოსავლებს შორის დიფერენციაციის მაღალ დონეზე.

ნათია კახნიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 11, თბ., 2013;
2. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., 2007;
3. ლემონჯავა პ., აბრალავა ა., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2009;
4. სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე., მიკროეკონომიკსი, თბ., 2006;
5. Тодаро П., Экономическое развитие, М., Юнити, 1997;
6. Кемпелл Р., Макконел, Стенли Брю, Экономикс, М., 1992
7. Пол Хейне, Экономический образ мышления, М., 1991

INCOME INEQUALITY IN GEORGIA

Natia Kakhniashvili

ANNOTATION

This question is actual not only for Georgia, where 70% of population are poor, and 30% are out of poverty limits, but for all other countries, among them for highly developed countries, which also have poor (40% of population of the USA is considered to be poor). The difference is only in the fact that poor people of our country are starving, and minimal benefits received by poor people in the USA makes up 902.5 USD. Certainly, this problem is much more acute and actual by us, even because poverty for Georgian people is comparatively new phenomenon, because during Soviet Union there were no poor people in Georgia. Research purpose is investigation of poverty and life level of Georgian population, and tasks are discovering of reserves and their activation for overcoming of poverty. From many indexes, reflecting life-level of population, examined in the article, we shall mention life-level of Georgian population, which is analyzed by incomes, expenses (consumption), whole internal product, education and medical service of population. By correct analysis and estimation of these indexes we can show in detail their sizes (volume), dynamics, structure and factors affecting them. And also, in needed time and needed circumstances they shall be compared with analogous indexes of other countries.

ფულადი ნაკადების მართვის თეორიული მოდელები

ფულადი ნაკადების ხელმისაწვდომობა კომპანიის ღირებულების ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ფულადი სახსრები შეზღუდული რესურსია, ამიტომ უწინარეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას კომპანიის ფულადი ნაკადების მართვის ეფექტური მექანიზმი. ასეთი მექანიზმის მთავარი მიზანია ფულადი ნაკადების ისეთი ნაშთის შენარჩუნება, რომელიც მომავალში შემოსავლების და ხარჯების ბალანსირებას უზრუნველყოფს. ეკონომიკის მდგრადი განვითარების პირობებში ეს შესაძლებელია ფულადი ნაკადების მართვის სფეროში თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების ღრმად შესწავლის მეშვეობით.

ფულადი ნაკადების მართვის მთავარი მიზანია განსაზღვროს ფულადი ნაკადების დონე კომპანიაში იმისათვის, რომ გააუმჯობესოს მფლობელების ფინანსური მდგომარეობა. კომპანიების ფულადი ნაკადების კონცეფცია წარმოიშვა აშშ-ში მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების შუა რიცხვებში. ამ კონცეფციის განვითარების ძირითადი დებულებები ეკუთვნის უცხოურ ეკონომისტებს : **ა.პიგუს, ა. მარშალს, ჟ.მ. კეინსს, მ. ფრიდმანს, ლ.ა.ბერნშტიინს, იუ. ბრიგემს, ჯ.კ ვან ჰორნს, ჟ. რიშარს, დ.გ სიგლს, დ.კ. შიმს** და სხვებს.

ფულადი ნაკადების მართვა შესაძლებელია განხილული იქნას, როგორც მაკრო ისე მიკრო დონეზე. მაკრო დონეზე მართვის მოდელი შემუშავებული იყო **ი. ფიშერის, ა.პიგუს, ა. მარშალის, ჟ. მ. კეინსის და მ. ფრიდმანის** მიერ. თავდაპირველად კემბრიჯის სკოლის წარმომადგენლებმა (**Pigou, 1917 Marshall, 1923**) წარმოადგინეს ფულად სახსრებზე მოთხოვნის რაოდენობრივი თეორია, რომელიც ვარაუდობს, რომ ფულად სახსრებზე მოთხოვნა არ განსხვავდება კომპანიის სხვა ნებისმიერი აქტივის მოთხოვნისგან და დაფუძნებულია ფიზიკური სიდიდეების შორის კავშირის გათანაბრებაზე (**Fisher, 1912**). თავის ნამუშევრებში კეინსმა აღწერა ფულადი ნაკადების დაგროვებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები, რაც ტრანსაქციულ დანახარჯებში აისახება. **1936** წელს მან მოახდინა ფულად სახსრებზე მოთხოვნის სამ ძირითად კატეგორიამდე კლასიფიცირება: საოპერაციო საჭიროებისთვის, გაუთვალისწინებელი გარემოებებისთვის, სპეკულაციური მიზნით (**Keynes, 1936**).

აქვე უნდა აღინიშნოს, ამ მიმართულებით სხვა მნიშვნელოვანი ნაშრომები (**Michel, Wigniolle, 2005**), სადაც განაგრძეს **სამუელსონის (Samuelson, 1958)** და **ტიროლეს Tirole (1985)** იდეების დამუშავება და დაამტკიცეს, რომ რეალურ ფულად ნაშთები, რომლებიც ეკონომიკური აგენტების განკარგულებაში იმყოფება მეტად მნიშვნელოვანია მხოლოდ ეკონომიკისათვის, რომელიც ეფექტურად ვერ ფუნქციონირებს ფულადი ნაკადების გარეშე (**Michel, Wigniolle, 2005**).


ცხრილი №1

ფულადი ნაკადების მართვის ძირითადი მოდელები

ფულადი ნაკადების მართვის მოდელები	მოდელებში განსაზღვრული ფულადი ნაკადების მართვის ძირითადი მიმართულებანი
ბაუმოლის მოდელი (Baumol, 1952)	ყველა ფულადი ნაკადი ცნობილია; ფულადი ნაკადები ატარებენ დროულ და პერიოდულ ხასიათს; ფულადი ნაკადების გადინება ხდება მუდმივი ინტენსივობით.
ბერანეკის მოდელი (Beranek, 1963)	ყველა ფულადი ნაკადი ცნობილია; ფულადი ნაკადების გადინება პერიოდული და დროულია; ფულადი ნაკადების შემოღინება ხდება მუდმივი ინტენსივობით.
მილერ-ორის მოდელი (Miller, Orr, 1966)	კომპანია ფლობს ფულადი ნაკადების მინიმალურ ნაშთს; ფულადი ნაკადები ნორმალურადა განაწილებული; მოსალოდნელი ფულადი ნაკადი ნულის ტოლია ; არ არსებობს ფულად ნაკადებში ავტოკორექცია; ფულადი ნაკადების სტანდარტული გადახრა არ იცვლება დროის განმავლობაში.
სტოუნის მოდელი (Stone, 1972)	კომპანია ფლობს ფულადი ნაკადების მინიმალურ ნაშთს; ფირმა ფლობს მონაცემებს მომავალი ფულადი ნაკადების შესახებ მიუხედავად იმისა ,რომ ეს მონაცემები შეიცავენ შეცდომას.

განვიხილოთ ფულადი ნაკადების მართვის ძირითადი ზევით წარმოდგენილი მოდელები და მათი პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობანი.

ბაუმოლის მოდელი. კომპანია მაშინ იწყებს მუშაობას, როდესაც ფლობს მისთვის მაქსიმალურ და მიზანშეწონილ ფულადი ნაკადების ოდენობას, შემდეგ კი თანდათანობით მოიხმარს მათ გარკვეული პერიოდის განმავლობაში. კომპანია ახორციელებს ფულადი სახრების ინვესტირებას მოკლევადიან ფასიან ქაღალდებში, მიღებული გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან. ჭარბი ფულადი ნაკადების რეზერვის ამონურვის დროს, ანუ როდესაც ბალანსის დონე ნულს მიაღწევს და რეზერვი აღწევს სამიზნე უსაფრთხოების დონეს, კომპანია ყიდის ფასიანი ქაღალდების რალაც ნაწილს რათა შეავსოს ფულადი ნაკადების თავდაპირველი დონე. ამდენად ფულადი სახრების ნაშთის დინამიკა მიმდინარე ანგარიშზე წარმოდგენილია გრაფიკზე.



ნახაზი № 1. ბაუმოლის მოდელი

თანხის ოდენობის შევსება (Q) გამოითვლება ფორმულით : $Q = \sqrt{\frac{2Vc}{r}}$

სადაც V არის წლიური მოთხოვნა ფულად თანხებზე, ანუ წლიური ფულადი ხარჯები;

C - ფასიანი ქაღალდების ფულად სახსრებში გადაქცევის დროს კონვერტაციის ხარჯები (ანუ ერთეულის რეალიზაციაზე გასაწევი ხარჯი)

r - არის მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციის (დაფუშვათ, ობლიგაციის ან პრივილიგირებული აქციის) საპროცენტო განაკვეთი;

Q - გვიჩვენებს ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულადი თანხის არსებობის მაქსიმალურ შესაძლო სიდიდეს. ხოლო, საშუალო მინიმალური დონე მისი ნახევრის ტოლია.

ფულადი ნაკადების საშუალო რეზერვი არის Q/2 , და ფასიანი ქაღალდების კონვერტაციის გარიგებების საერთო რაოდენობა (k) ტოლია :

$$K = V/Q$$

ფულადი ნაკადების მართვის ამ პოლიტიკის განსახორციელებლად საერთო ხარჯები (OP) შეადგენს :

$$OP = ck + r(Q/2)$$

ამ ფორმულის პირველი შესაკრები წარმოადგენს პირდაპირ ხარჯებს, მეორე- ფულადი ნაკადების შენახვის დროს დაკარგული მოგება მიმდინარე ანგარიშზე, იმის ნაცვლად, რომ განხორციელდეს ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში.

ბაუმოლის მოდელის არსებითი ნაკლოვანებები არის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ფულადი ნაკადი სტაბილური და პროგნოზირებადია; ამის გარდა, არ ითვალისწინებს სეზონურობას და წარმოების ნიკულურ განმეორებებს.

განვიხილოთ ამ მეთოდის გამოყენების მაგალითი. დაფუშვათ, რომ კომპანიის დანახარჯები ერთი წლის განმავლობაში შეადგენს 1500000 ლ; სამთავრობა ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთი უდრის 8% და ხარჯები დაკავშირებული თითოეულის რეალიზაციასთან შეადგენს 25 ლ .

ბაუმოლის მოდელის გამოყენებით აუცილებელია დადგინდეს: **1) კომპანიის ფულადი ნაკადების ოპტიმალური ოდენობა, რომელიც უნდა იყოს მიღებული ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან; 2) ფულადი ნაკადების საშუალო ოდენობა ანგარიშსწორების ანგარიშზე; 3) ფასიანი ქაღალდების ფულად სახსრებში**

საერთო გარიგებების რაოდენობა; 4) კომპანიის ხარჯები ასეთი პოლიტიკის განსახორციელებლად.

$$Q = \sqrt{\frac{2 \times 1500000 \times 25}{0,08}} = 30600 \text{ ლ}$$

ფულადი ნაკადების საშუალო ოდენობა მიმდინარე ანგარიშზე 15,3 ათასი ლარია.

$$\frac{Q}{2} = \frac{30600}{2} = 15300 \text{ ლ}$$

ფულადი ნაკადების ფასიან ქალაქებში ტრანსფორმაციის გარიგებების

საერთო რაოდენობა წელიწადში შეადგენს: $K = \frac{1\,500\,000 \text{ ლ}}{30\,600 \text{ ლ}} = 49$

ფულადი ნაკადების მართვის ამ პოლიტიკის განსახორციელებლად საერთო ხარჯები

$$OP = 25 \times 49 + 0,08 \times \left(\frac{30600}{2}\right) = 2449 \text{ ლ}$$

ამგვარად, ამ მოდელის მიხედვით კომპანიის ფულადი ნაკადების მართვის და მათი ექვივალენტების პოლიტიკა ასეთია: როგორც კი ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშზე ამოიწურება კომპანია ყიდის ლიკვიდური ფასიანი ქალაქები ნაწილს დაახლოებით 30 000 ლ-ის. ასეთი ოპერაცია ხორციელდება დაახლოებით კვირაში ერთხელ, წელიწადში 49 ჯერ. მიმდინარე ანგარიშზე ფულადი ნაკადების მაქსიმალური ოდენობა იქნება 30600 ლ, საშუალო კი 15300 ლ. ბაუმოლის მოდელის თანახმად ამ პოლიტიკის განსახორციელებლად სულ ხარჯები შეადგენს 2449 ლ.

ბერენაკის მოდელი. ეს მოდელი შემუშავებული იყო ვილიამ ბერენაკის მიერ. მან დაადგინა, რომ კომპანიის ფულადი ნაკადები არც პროგნოზირებადია და არც არარეგულარულია (სტოქასტური). ამ მოდელის თანახმად ფულადი ნაკადების რაოდენობის წინასწარ დადგენა შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ მათი დიაპაზონის განსაზღვრა, ამის შედეგად ფულზე მოთხოვნის წარმოქმნის დროს განსახილველია ყველა შესაძლო შედეგის ალბათობის დადგენა.

ამ მოდელზე დაყრდნობით, ფინანსურმა მენეჯერმა უნდა განსაზღვროს წმინდა ფულადი ნაკადების შესაძლო რაოდენობა თავის ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. მან უნდა დაადგინოს ნაღდი ფულის ბალანსი მიმდინარე პერიოდში, ასევე ის თუ რამდენი წმინდა ფულადი ნაკადი მოსალოდნელია პერიოდის ბოლოს და ალბათობა იმისა, რომ ბალანსის დახურვის დროს რეალური წმინდა ფულადი ნაკადები დაემთხვევა პროგნოზირებად ფულად ნაკადებს.

ნაღდი ფულის ოპტიმალური ბალანსი დაგეგმილი პერიოდის დასაწყისში განისაზღვრება წმინდა ფულადი ნაკადების შესაძლო განაწილებით, ფულადი ნაკადების დეფიციტის ღირებულებით, პოტენციური დანაკარგებით და ტრანსაქციის დანახარჯებით.

1. დაგეგმილი პერიოდის ბოლოს, მაგალითად, კვირის ან თვის, ხდება ნაღდი ფულის ინვესტირება ფასიან ქალაქებში.
2. ფულადი ნაკადების ნაკადის შემოდინება ხდება შეუწყვეტლად მთელი დაგეგმილი პერიოდის განმავლობაში.
3. ფულადი ნაკადების შემოდინება სხვადასხვა ოდენობით (ზომით).
4. ფულადი ნაკადების ნაკადები სრულად არ კონტროლირდება მენეჯერის მიერ.

ალბათობის მოდელის გათვალისწინებით ფინანსურმა მენეჯერმა გადაწყვეტილების მიღების დროს უნდა მოახდინოს ფულადი სახსრების ინვესტირება ფასიან ქალაქებში სანამ ელოდება, რომ ბალანსის დახურვის დროს ფულის ბალანსი იქნება ოპტიმალურზე (წონასწორულზე) ნაკლები, სადაც წმინდა დამატებითი შემოსავალი ერთ ფულად ერთეულზე უდრის წმინდა დამატებით დანახარჯს ერთ ფულად ერთეულზე.


ეს არის **ბაუმოლის მოდელის** საპირისპირო მოსაზრება, რომელიც გამოსახავს ნაღდი ფულის ნაკადებს დროის პერიოდში, სადაც შემოდინება იყო პერიოდული, ხოლო გადინება სტაბილური.

ქვევით წარმოდგენილ **ბერენაკის მოდელში** (ნახაზი № 2.) პანელი ა არის დროის პერიოდში ნაღდი ფულის ბალანსი.

პანელი ა არატრანსაქციული სტრატეგია

პანელი ბ. ორი ტრანსაქციული სტრატეგია: ნაღდი ფულის ანგარიში

პანელი ც ორი ტრანსაქციული სტრატეგია: საინვესტიციო ანგარიში.




ნახაზი № 2. ბერენაკის მოდელში

ბალანსი აგებულია დროის სხვადასხვა პერიოდში და შემდგომ განხილულია ერთად. ბალანსის ამგვარი განხილვა გვიჩვენებს ბევრი ფირმის სიტუაციას. ამ შემთხვევაში რენტაბელური ნაკადების ინვესტირება ხდება ფულის მიღების მომენტიდან იმ დრომდე, სანამ მათი განაღდება მოხდება.

მიღერ - ორის მოდელი. ბაუმოლის მოდელი არის მარტივი და მისაღები კომპანიისთვის იმის გამო, რომ ფულადი ხარჯები, პრინციპში სტაბილური და პროგნოზირებადია. მიღერის და ორის მიერ შემუშავებული მოდელი უფრო გამარტივებული და რეალურია. ეს მოდელი პასუხობს შემდეგ საკითხს : როგორ უნდა მართოს სწორად კომპანიამ თავისი ფულადი რეზერვი, თუ შეუძლებელია განვსაზღვროთ ფულადი ნაკადების ყოველდღიური გადინების და შემოდინების მოცულობა. მიღერი და ორი მოდელის აგებისას იყენებენ ბერნულის პროცესს- სტოქასტური პროცესი, რომელშიც ფულის მიღება და ხარჯვა პერიოდიდან პერიოდამდე არის დამოუკიდებელი შემთხვევითი მოვლენები.

მთავარი ბუღალტრის მოქმედების ლოგიკა დარჩენილი ფულადი სახსრების მართვა მიმდინარე ანგარიშზე ნაჩვენებია ნახაზზე და მოიცავს შემდეგს : ანგარიშზე არსებული ნაშთი ქაოტურად იცვლება, სანამ არ მიაღწევს ზედა ზღვარს. მას შემდეგ, რაც ეს მოხდება კომპანია იწყებს ფასიანი ქაღალდების საკმარისი რაოდენობის შექენას იმ მიზნით, რომ დაიბრუნოს ფულადი ნაკადების რეზერვი ნორმალურ მაჩვენებლამდე (დაბრუნების წერტილი). როდესაც ფულადი ნაკადების რეზერვი აღწევს ქვედა ზღვარს კომპანია ყიდის საკუთარ ფასიან ქაღალდებს და შესაბამისად ავსებს ფულადი ნაკადების რეზერვს საჭირო მაჩვენებლამდე.



ნახაზი № 3. მიღერის და ორის მოდელი

მიღების და ორის მოდელის რეალიზაცია ხორციელდება რამდენიმე ეტაპად.

1. დგინდება ფულადი ნაკადების მინიმალური ოდენობა (C_i), რომლის მუდმივად ქონა მიმდინარე ანგარიშზე მიზანშეწონილია (იგი განისაზღვრება ექსპერტული გზით, კომპანიის ანგარიშების გადახდის საშუალო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბანკის შესაძლო მოთხოვნებიდან და სხვა)

2. სტატისტიკური მონაცემების თანახმად განისაზღვრება ფულადი სახრების ვარიაცია ყოველდღიური შემოდინებების მიმდინარე ანგარიშზე (V)

3. განისაზღვრება ხარჯები (Z_s) ნაკადების შენახვის მიმდინარე ანგარიშზე (როგორც წესი იღებენ ჯამში ყოველდღიური შემოსავლის ოდენობით მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდებით, რომელიც ბრუნავს ბაზარზე) და ხარჯები (Z_t) ფულადი ნაკადების და ფასიანი ქაღალდების ურთიერთშეთანხმებული ტრანსფორმაციით (ეს საზომი მიჩნეულია მუდმივად, ასეთი ხარჯის ანოლოგია საკომისიო, რომელსაც ვიხდით ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში)

4. თვლიან ვარიაციის ნაშთის მასშტაბს ფულადი ნაკადების მიმდინარე ანგარიშზე (S) ფორმულით :

$$P = 3 \sqrt{\frac{3 Z_T \delta^2}{4 Z_s}}$$

5. ითვლიან ფულადი ნაკადების ზედა ზღვრის მოცულობას მიმდინარე ანგარიშზე (C_h), რომლის გადაჭარბების შემთხვევაში აუცილებელია ფულადი ნაკადების რალაც ნაწილის კონვერტირება მოკლევადიან ფასიან ქაღალდებში:

$$C_h = C_i + P$$

6. განსაზღვრავენ დაბრუნების წერტილს (C_r) - ფულადი ნაკადების ნარჩენის მოცულობას მიმდინარე ანგარიშზე, რომლისკენ უნდა დაბრუნდეს იმ შემთხვევაში თუ სახრების ფაქტიური ნაშთი მიმდინარე ანგარიშზე ინტერვალის საზღვრებს გასცდა.

$$(C_r) = C_i + \frac{P}{3}$$

მიღების და ორის მოდელის გამოყენებისას მხედველობაში მიიღება ფულადი გადახდების და შემოდინების შესაძლო გაურკვეველობა.

ბაუმოლის და მიღების-ორის განხილული მოდელები ზოგადად განსხვავდება ერთმანეთისგან სირთულის ხარისხით და პირობებით. მათი არსებობა აუცილებელია ფულადი ნაშთების პროგნოზირებისათვის (თანაბარი შემოდინება და ფულადი ნაკადების გამოყენება, ინფლაციის დონის პროგნოზირებადობა და ა.შ). სამწუხაროდ საქართველოში ამ მოდელების პრაქტიკაში გამოყენება რთულია შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე: ბანკის არასტაბილური საპროცენტო განაკვეთის, ინფლაციის მაღალი დონის, კორპორატიული ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობა და ა.შ.

განვიხილოთ მიღების-ორის მოდელის მაგალითი. გვაქვს შემდეგი მონაცემები:

ფულადი ნაკადების მინიმალური ოდენობა 10 000 \$; შემოსავალი სახელმწიფოს მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდებიდან შეადგენს 11,6 % წელიწადში; ფულადი ნაკადების და ფასიანი ქაღალდების კონვერტაციის ხარჯები 25 ლ; ნარჩენი ფულადი ნაკადების რყევა 2000 ლ.

პირველ რიგში ვადგენთ ლიკვიდურობის ფასს $Z_s = 11,6 \div 360 = 0,03 \%$

ფულადი ნაკადი ვარიაცია შეადგენს : $V_{ar} = \delta^2 = 2000^2 = 4\ 000\ 000$ ლ


ვარიაციის მოცულობა ფირმის ანგარიშზე შეადგენს : $P = 3 \times \sqrt{\frac{3 \times 25 \times 4\ 000\ 000}{4 \times 0,0003}} = 18\ 900$ ლ

შემდეგ ვითვლით ფულადი ნაკადების ზედა ზღვარს : $C_h = 10\ 000 + 18\ 900 = 28\ 900$ ლ

და ბოლოს ვითვლით დაბრუნების წერტილს : $C_r = 10\ 000 + \frac{18\ 900}{3} = 16\ 300$ ლ

დასკვნა: ფულადი ნაკადების ნაშთი ფირმის ანგარიშზე მიღების და ორის მოდელის თანახმად უნდა ვარიირებდეს 10 000-დან 28 900-მდე . თუ ისინი გავლენ ამ ფარგლებს გარეთ უნდა მოხდეს მათი აღდგენა მიმდინარე ანგარიშზე 16 300 ლარამდე.

სტოუნის მოდელი. სტოუნის მოდელი, პირველად გამოქვეყნდა 1972 წელს The use of forecasts and smoothing in control-limit models for cash management მონოგრაფიაში მილერ-ორის მოდელისგან განსხვავებით ის მეტ ყურადღებას აქცევს გეგმური ნაშთების მართვას, ვიდრე მათ განსაზღვრას. ფულადი ნაკადების ქვედა და ზედა ზღვრები ექვემდებარებიან დაზუსტებას ფულადი ნაკადების ინფორმაციის დამოუკიდებლად. სტოუნის მოდელის კონცეფცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ნახაზზე.



ნახაზი № 4. ფულადი ნაკადების ნაშთის ცვლილება მიმდინარე ანგარიშზე

სტოუნის მოდელი ისევე, როგორც მილერ-ორის მოდელი, გვიჩვენებს ნაკადების გეგმურ ნაშთს ანგარიშზე რომლისკენ კომპანია მიისწრაფის: C_H და C_I - ქვედა და ზედა ზღვრების რყევა შესაბამისად. მითითებული ზღვრების გარდა სტოუნის მოდელი ფლობს შიდა და გარე კონტროლის ლიმიტებს :

- C_H და C_I - გარე ;
- $C_H - x$ და $C_I + x$ - შიდა.

მილერ-ორის მოდელისგან განსხვავებით, კონტროლის ფარგლების მიღწევისთანავე ხორციელდება დაუყოვნებლივი მოქმედებები, სტოუნის მოდელში ასე ყოველთვის არ არის.

ვივარაუდოთ, რომ ნაკადების ნაშთი მიაღწია ზედა ზღვარს (წერტილი A ნახ.3) t-ს მომენტში. არსებული ნაღდი ფულის ფასიან ქაღალდებში ავტომატური გადატანის ნაცვლად $C_H - C_r$ ფინანსური მენეჯერი აკეთებს უახლოესი დღეების პროგნოზს (დავუშვათ, ხუთი). იმ შემთხვევაში, თუ ნაკადების მოსალოდნელი ნაშთი t + 5 მომენტში დარჩება შიდა ზღვრის ზემოთ $C_H - x$, მაგალითად მისი ზომა გაიკვევა B წერტილში, მაშინ B - C_r გადაყვანილი იქნება ფასიან ქაღალდებში. იმ შემთხვევაში, თუ პროგნოზი გვიჩვენებს რომ t + 5 მომენტში ფულადი ნაკადების ზომა დაემთხვევა C წერტილს, მაშინ კომპანია აღარ იყიდის ფასიან ქაღალდებს. მსგავსი მოსაზრებები ჭეშმარიტია ქვედა ზღვრის მიმართებაშიც. შესაბამისად, სტოუნის მოდელის მთავარი თვისება არის ის, რომ კომპანიის ქმედებები მიმდინარე მომენტში განისაზღვრება უახლოესი მომავლის პროგნოზით. ამიტომ, ზედა ზღვრის მიღწევა არ გამოიწვევს ფულადი ნაკადების დაუყოვნებლივ კონვერტაციას ფასიან ქაღალდებში, იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს დღეებში მოსალოდნელია შედარებით მაღალი ფულადი ნაკადების ხარჯები;

რითაც კონვერტირებული ოპერაციების რაოდენობა მინიმუმამდე დაიყვანება და შესაბამისად დანახარჯებიც შემცირდება.

მილერ და ორის მოდელისგან განსხვავებით, სტოუნის მოდელი არ გვიჩვენებს ფულადი ნაკადების გამოთვლის მეთოდებს და კონტროლის საზღვრებს, მათი დადგენა შესაძლებელია მილერის და ორის მოდელის დახმარებით, ხოლო x და პერიოდი რომლისთვისაც ხდება პროგნოზის გამოთვლა განისაზღვრება პრაქტიკული გამოცდილებით. ამ მოდელის არსებითი დადებითი მხარე იმაშია, რომ არ გააჩნია ფიქსირებული პარამეტრები. სტოუნის მოდელს შეუძლია გაითვალისწინოს სეზონური რყევებიც, რადგან მენეჯერი პროგნოზის გაკეთების დროს აფასებს წარმოების თვისებებს დროის სხვადასხვა პერიოდში.

ამრიგად, რადგანაც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის შემუშავებული ფულადი

ნაკადების შეფასების და ანალიზის ერთიანი სისტემა. მეტად მნიშვნელოვანია კომპანიის სპეციფიკის გათვალისწინებით შერჩეული იქნეს რომელიმე ზევით შემოთავაზებული მოდელი, რადგანაც კომერციული ორგანიზაციების მიღწეული შედეგების ადეკვატური შეფასება და ბიზნესის პერსპექტივების სტრატეგიული პროგნოზი ვერ მიიღწევა ფულადი ნაკადების ხარისხიანი აღრიცხვის, დაგეგმვის, ანალიზის და შეფასების გარეშე.

თამარ გამსახურდია,
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის
ბიზნესისა და მართვის სკოლის პროფესორი,
ოსებ ბატიაშვილი
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის
ბიზნესისა და მართვის სკოლის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. Baumol WJ (1952) The transactions demand for cash: an inventory theoretic approach. Q J Econ, 545–556
2. Beranek W. Analysis for Financial Decisions. Homewood: Irwin R. D., 1963.
3. Keynes J. M. (1936). The General Theory of Employment, Interest, and Money. London: Macmillan,
4. Fazzari S. M., Ferri P., Greenberg E. (2006). Cash Flow, Investment, and Keynes–Minsky Cycles // Journal of Economic Behavior and Organization. Vol. 30. P. 1–18.
5. Fazzari S. M., Hubbard R. G., Petersen B. (1988). Financing Constraints and Corporate Investment // Brookings Papers on Economic Activity.. N 1. P. 141–206.
6. Fisher I. (1912). The Nature of Capital and Income. N. Y.; London: Macmillan,
7. Friedman M. (1959). The demand for Money: Some Theoretical and Empirical Results // Journal of Political Economy.. Vol. 67. August. P. 327–351.
8. Friedman M. (1969). The Optimum Quantity of Money // The Optimum Quantity of Money and Other Essays / Ed. by M. Friedman. Chicago: Aldine., P. 1–50.
9. Miller M. H., Orr D. (1966). A Model of the Demand for Money by Firms // Quarterly Journal of Economics. Vol. 80. August. N 3. P. 413–434.
10. Srinivasan V, Kim YH (1986) Deterministic cash flow management: state of the art and research directions. Omega 14(2):145–166 Tobin J (1956) The interest-elasticity of transactions demand for cash. Rev Econ Stat, 241–247

THEORETICAL MODELS OF CASH MANAGMENT

Tamar Gamsakhurdia, Professor,
Joseph Batiashvili, PhD student Grigol Robakidze University, Georgia

SUMMARY

Abstract. Cash flow represents company's possibility of the self-financing, financial strength and profitability. Most of them focused on effective cash management and interested in determining the optimal cash balance to maximize the value of the company.

The contribution to current state of research is providing a literature review study, focused on a comparative approach. Comparative analysis of cash management models given in this article, allows to improve company's monetary policies in order to identify the deficiency that are exceeded during

სადაზღვევო ბაზრის კონსერვაციისა და კონსენტრაციის თავისებურებები საქართველოში

საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბება 90-იან წლების დასაწყისში დაიწყო. პერიოდულად სადაზღვევო კომპანიები განიცდიდნენ ძლიერ რყევებს. გადასარჩენად მათი შერწყმა-შეერთების პროცესი წარიმართა. თუ 1998 წელს ფუნქციონირებდა 32 კომპანია, დღეს მათი რაოდენობა მხოლოდ 14-ია.

საქართველოს სადაზღვევო კომპანიების წილი მთლიანად ფინანსურ ბაზარზე მცირეა. ძირითადი წილი ეკუთვნის ბანკებს, რომელთა აქტივები ალემატება სადაზღვევო კომპანიების აქტივებს თითქმის 50-ჯერ. ეს სფერო არის ლიბერალური და მნიშვნელოვანია ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში.

სადაზღვევო დარგის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ინტენსიურია კონკურენცია კომპანიებს შორის. სადაზღვევო ინდუსტრიაზე მოქმედებს ეკონომიკური განვითარება და მისი ციკლები, საგარეო შოკები და ბუნებრივ-კლიმატური პირობების ცვლილებები. ამასთან კონკურენციის პირობებმა შეიძლება გააუარესოს და მოახდინოს ამ დარგზე უარყოფითი ეფექტიც.

კონკურენციის სტრუქტურის ცვლილებები ზეგავლენას ახდენს მომგებიანობაზე.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე კომპანიები სხვადასხვა როლითა და მნიშვნელობით არიან წარმოდგენილი. მცირე და საშუალო ზომის სადაზღვევო კომპანიებთან ერთად მსხვილი სადაზღვევო კომპანიები ცდილობენ თავიანთი ადგილის დამკვიდრებას და ბაზრის სეგმენტების დაპყრობას/შენარჩუნებას. თუმცა სხვადასხვა სიძლიერის საბაზრო ძალები გააჩნიათ და ისინი განსხვავებულად სთავაზობენ მომხმარებლებს თავიანთ მომსახურებას პრიორიტეტულ სეგმენტებში.

მცირე ფირმები უფრო მეტად აზღვევენ ტრადიციულ პროდუქტებს/მომსახურებას, ხოლო მსხვილი ფირმები კი ყოველივე ამასთან ერთად, ცდილობენ ინოვაციური მომსახურების შემოტანას.

ბაზარზე კონკურენტებს სხვადასხვა როლი აქვთ. ძლიერი და მსხვილი კომპანიები გამოდიან ლიდერებად. ისინი ელასტიურები არიან კონკურენტების ქცევაზე და ცვლიან ფასებს. მათი სტრატეგიული მიმართულებაა ინტეგრაცია სხვა ფირმებთან. მათ გააჩნიათ ძლიერი ადამიანისეული და ფინანსური ბაზა. სხვა საშუალო და მცირე ფირმების მთავარი იარაღია ბაზრის წილის დაკავება უპირატესად ფასობრივი მეთოდების გამოყენებით. ისინი ეძებენ თავის საბაზრო „ნიშას“.

კომპანიების გაერთიანება

საქართველოში დაზღვევა ყოველწლიურად იზრდება და ვითარდება, მიუხედავად იმისა, რომ



მრავალი ბარიერი არსებობს, რაზეც პირველ რიგში, სადაზღვევო ბაზარის ციკლური და რყევადი ხასიათი ავლენს. ყოველწლიურად მატულობს როგორც დაზღვეულების რიცხვი, ასევე სადაზღვევო პროდუქტების რიცხვიც, რაც კომპანიების გაერთიანებითა და გამსხვილებით შეიძლება აიხსნას.

წლების განმავლობაში ერთიანი სადაზღვევო ბაზრის განვითარება ემყარება ფირმების გაერთიანებას, უცხოური ფირმების მონაწილეობისა და გადამზღვევების რაოდენობის ზრდას.

ფირმების გამსხვილება/შერწყმა ან მსხვილი ფირმების ინტეგრაცია ბაზარზე მათი კონკურენციის შედეგია.

ჰორიზონტალური ინტეგრაციის მაგალითები საქართველოში იმაზე მიუთითებს, თუ რა ინტენსივობით ხდებოდა ბაზრების კონცენტრაცია.

ასეთ ჰორიზონტალურ ინტეგრაციას აქვს თავისი უპირატესობები: გამსხვილებული კომპანიები ბაზრის დიდ წილთან ერთად ბაზრის მართვას ანხორციელებენ. მათი მდგრადობა ხდება მომხმარებლის მათდამი და საერთოდ ამ ბაზრისადმი ნდობის მაჩვენებელი. მათი უპირატესობაა ადვილი კომუნიკაციები, მოტივაცია და მარკეტინგი. კომპანიებს ეძლევათ საშუალება მიზნები განსაზღვრონ ხანგრძლივი პერიოდით. ისინი იყენებენ მომსახურების შეთავაზების უპირატესობას, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი უპირატესად ირჩევს ძლიერ, ფინანსურად მყარ კომპანიას. მათი მომსახურების მრავალფეროვნება ნელა იზრდება. რამდენადაც ისინი დამკვიდრდნენ ბაზარზე, მათი მაღალი პასუხისმგებლობის შენარჩუნება მომხმარებლისადმი ხდება მათი ფინანსური მდგრადობის

მაჩვენებელი და მომხმარებლისათვის კი იმის იმედი, რომ რისკების გადანაწილებას ეს კომპანიები რაციონალურად ახდენენ.

ბაზარზე გაერთიანებებზე ემპირიული დაკვირვებების შედეგად, ვლინდება, რომ გაერთიანებამდე კომპანიების ცნობადობა დაბალია, ვიდრე მას შემდეგ რაც ისინი გაერთიანდნენ. გაერთიანებები ზრდის მოგებას და სტაბილურობას. ქვეყნის შიგნით გაერთიანებები და კომპანიების შერწყმა-შეერთების პროცესი ხელს უწყობს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ერთის შეხედვით, ეს პროცესი უნდა ქმნიდეს კომპანიების მონოპოლიური მდგომარეობას. ამ თეზისს უარყოფს საბაზრო კონკურენციის და კონცენტრაციის ინდექსები.

კონკურენციის კონცენტრაციის განსაზღვრის მიზნით გამოვიყენეთ **ჰერფინდალ-ჰირსმენის** ინდექსი. **Herfindahl-Hirschman Index (HHI)** - ინდექსი გამოითვლება როგორც თითოეული ფირმის საბაზრო წილების ჯამი თითოეულ სახეობაში. რაც უფრო მაღალია კონცენტრაცია, მით უფრო მეტად არის ბაზარი მონოპოლიური. ინდექსი ნაწილდება 0-დან 10000-მდე. როდესაც ინდექსი 1000-ზე ნაკლებია, მაშინ ინდუსტრიის დაბალი კონცენტრაციის დონე

აქვს. თუ 1800-ზე მეტია, მაშინ კონცენტრაცია მაღალია ანუ ამ ნიშნულის ქვემოთ ბაზარზე არ არსებობს კომპანია, რომელსაც ჰქონდეს 40-% ზე მეტი წილი. თუ 1000-ზე ნაკლებია, მაშინ დარგი ახლოსაა სრულ კონკურენციასთან და დაბალია მისი კონცენტრაცია. 1000-1800-შორის ინდექსი გვიჩვენებს, რომ დარგში არსებობს იდეალური კონკურენცია და ბაზარზე არ არიან დომინირებული კომპანიები. 1800-ზე მეტი ინდექსის პირობებში ბაზარი არის ოლოგოპოლიური და რამდენიმე კომპანია დომინირებს. როდესაც იზრდება კონცენტრაცია, მაშინ მცირდება კონკურენცია და პირიქით. ან თუ ინდექსი არის 0.01-ს (ან 100) ქვემოთ, მაშინ არსებობს მაღალი კონკურენცია; თუ ინდექსი არის 0.15 (ან 1500-ის) ქვემოთ, მაშინ არსებობს არაკონცენტრირებული ბაზარი. თუ ინდექსი არის 0.15 დან 0.25-მდე (1500-დან 2500-მდე), მაშინ ზომიერი კონცენტრაცია არსებობს, ხოლო თუ იგი 0.25-ზე (2500-ზე) ზემოთაა, მაშინ არსებობს მაღალი კონცენტრაცია.

ცვალებად სიდიდედ აღებულია პრემიები სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევის სფეროში. ძირითად სიდიდედ აღებული იქნა ყველა სახეობის ჯამური დაზღვევა 2008-2015 წლებში, ხოლო კომპა-

ცხრილი 1

სულ, მოზიდული პრემიები/წლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
კომპანიების რაოდენობა საბაზრო წილით 15 % და მეტი	3	3	3	3	2	2	2	3
კომპანიების რაოდენობა საბაზრო წილით 10 % და მეტი	1	2	2	2	3	2	0	0
კომპანიების რაოდენობა საბაზრო წილით 5 % და მეტი	1	0	0	2	2	0	1	3
კომპანიების რაოდენობა საბაზრო წილით საშუალოდ 2 %	8	9	9	7	7	10	10	8
HHI	0.08	0.09	0.09	0.10	0.08	0.07	0.05	0.08

სიცოცხლე, პრემიები/წლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
კომპანიების რაოდენობა საბაზრო წილით 15 % და მეტი	2	2	3	3	4	3	1	1
კომპანიების რაოდენობა საბაზრო წილით 10 % და მეტი	1	1	1	2	1		2	1
კომპანიების რაოდენობა საბაზრო წილით 5 % და მეტი			1	1	1	1	1	
კომპანიების რაოდენობა საბაზრო წილით საშუალოდ 2% და ნაკლები	4	3	2	2	4	5	9	9
HHI	0.06	0.06	0.08	0.09	0.10	0.07	0.05	0.04

წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. <http://insurance.gov.ge/>; ავტორის გაანგარიშება.

ნიების რაოდენობა კი განისაზღვრა 14-ით.¹

საქართველოს სადაზღვევო ბაზარს შემდეგი მახასიათებლები აქვს: 2008-2015 წლებში, საერთო ჯამში, სადაზღვევო ბაზარზე სამი კომპანია მოიზიდავდა პრემიების 51.8 პროცენტს, რომელთა თითოეულის წილი შეადგენდა ბაზრის 12-22 პროცენტს. 4 კომპანია მოიზიდავდა პრემიების 25.6 პროცენტს, რომელთაგან თითოეულის წილი შეადგენდა ბაზრის 3-8 პროცენტს. დანარჩენ კომპანიებზე ნაწილდება ბაზრის 0.1-3 პროცენტი.

აღნიშნულ ცხრილში, სიცოცხლის კატეგორიაში მოზიდული პრემიები და სულ პრემიების ინდექსები მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში არსებობს მაღალი კონკურენცია, მაგრამ ბაზარი არაკონცენტრირებულია, რამდენადაც თითქმის ყველა წელს ინდექსი 0.15-ზე დაბალი იყო. მართალია წლების განმავლობაში ეს ინდექსები იცვლებოდა, მაგრამ უმნიშვნელოდ. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ ბაზარი ჩამოყალიბდა და არსებულ კომპანიებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებაა მათ სიდიდეებში და დომინირებს 3 კომპანია, სიცოცხლის კატეგორიაში კი მხოლოდ ერთი, ყველა კომპანიას აქვს ხელმისაწვდომობა იმ პროდუქტების მიმართაც, სადაც მსხვილი კომპანიები საქმიანობენ.

HHI ინდექსის გამოყენება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გამოვლენილი იქნეს ოლოგოპოლიური და მონოპოლიური ბაზრები და ის პროდუქტები, სადაც კომპანიები ფლობენ აბსოლუტურ უპირატესობას. თუმცა ეს ინდექსი არ არის სრულყოფილი, რამდენადაც ამ ინდექსის მიღმა შეიძლება არსებობდეს საკმაოდ მაღალი წილის მქონე კომპანია, რომელიც ინდექსის საერთო ხასიათში არ ჩანს და ამ კომპანიას ჰქონდეს გავლენა რომელიმე პროდუქტის მიწოდებაში. ამასთან გეოგრაფიული განფენილობაც არ არის ასახული ამ ინდექსში, რამდენადაც იგი არ ავლენს, თუ ქვეყნის რომელიმე გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ან რეგიონში რომელი კომპანია ფლობს აბსოლუტურ უპირატესობას.² მიუხედავად ამისა, ამ ინდექსის მნიშვნელობა დიდია. მას აქვს ზოგადი და განმაზოგადებელი ხასიათი და გამოხატავს ტენდენციას, რომლის თანახმად, კონცენტრაციის ზრდა იწვევს კონკურენციის შემცირებას და პირიქით. შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ სადაზღვევო ბაზარი საქართველოში არ არის ღრმად კონცენტრირებული და კონკურენცია არსებობს სადაზღვევო კომპანიებს შორის მიუხედავად იმისა, თუ რა ზომისაა კომპანია და რამდენად დიდი წილი უკავიას მას ბაზარზე.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე კონკურენ-

1 კომპანიების ხშირი შერწყმა-გაერთიანება და ახალი კომპანიების დაფუძნება არ იძლევა ყველა კომპანიის ყოველწიური მონაცემების შედარებითი განსაზღვრის საფუძველს.

2 ამ ინდექსის კრიტიკის შესახებ იხ: Toby Roberts. *When Bigger Is Better: A Critique of the Herfindahl-Hirschman Index's Use to Evaluate Mergers in Network Industries*. *Pace Law Review*, Volume 34, Issue 2, Spring, 2014. article 8. 2014. გვ. 906 (13). <http://digitalcommons.pace.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1863&context=plr>

ციის სტრატეგია დაკავშირებულია არა ხარჯების ეკონომიასთან, არამედ სეგმენტების დიფერენციალსთან. კონკურენცია მომსახურების შეთავაზებით იქმნება და ემყარება ორ ფაქტორს: 1. თუ როგორ აღიქვამს მას მომხმარებელი და 2. რამდენად აქვთ კომპანიებს პასუხისმგებლობა ვალდებულებების შესრულებაში. იგი განსაზღვრავს კომპანიების მომხმარებლებთან ურთიერთობის ხანგრძლიობას და კულტურას. მნიშვნელოვანია მომხმარებლებთან შეთანხმების მიღწევის უნარი – მომხმარებლები მაშინ ზემოქმედებენ მძლავრად კონკურენტებზე, როცა ფლობენ საბაზრო ფასებზე კონტროლის ბერკეტებს; ხარისხზე ზემოქმედების მექანიზმს; მომსახურების ხარისხის ამაღლების საშუალებებს.

ასევე მნიშვნელოვანია მიმწოდებლებთან გარეგნობის მიღწევის შესაძლებლობა. კონკურენტული კომპანიების მიმწოდებლებს მაშინ აქვთ მძლავრი კონკურენტული ზემოქმედების უნარი, როცა შეუძლიათ შეუქმნან თავიანთ კონკურენტებს არასახარბიელო პირობები ფასების, ხარისხის, საქონლის უკეთესი მახასიათებლებისა და მიწოდების საიმედოობის საშუალებით.

ეს გარემოებები საქართველოს სადაზღვევო კომპანიებში უტილიზირებულია და ჰომოგენურად აისახება მათ საქმიანობაში, რაც ყველა მათგანს აყენებს მეტ-ნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში. ამის შედეგად ყველა კომპანიისათვის დამახასიათებელია ისეთი ქმედებები, როგორიცაა: საბაზრო სეგმენტების შევსების მიზნით, სერვისების გაფართოება; კონკურენტების მსგავსი პროდუქციის გამოშვება; კონკურენტების მსგავსად, ფასების შენარჩუნება; აგენტებთან ექსკლუზიური ხასიათის ხელშეკრულებების გაფორმება; მომხმარებლებისათვის უფასო მომსახურების შეთავაზება არჩევანის გაკეთებისას და სხვ.

კომპანიებს არ აქვთ მკვეთრად გამოყოფილი განსაზღვრული უპირატესობა ერთმანეთთან. განსხვავებას ქმნის დაბანდებული კაპიტალის სიდიდე და პროდუქტების მიწოდების რაოდენობა.

ამასთან, კონკურენციას კიდევ ერთი თავისებურება აქვს: სადაზღვევო ბაზარზე კომპანიების უპირატესობა დამოკიდებულია პრინციპზე: სჯობია მრავალი მომსახურება შესთავაზო სტანდარტული პირობებით, ვიდრე ერთი მომსახურება, რომელსაც მუდმივად აუმჯობესებ. საქართველოში არ არსებობენ კომპანიები, რომლებიც მხოლოდ ერთი მომსახურების შეთავაზებით იყვნენ დაკავებულნი. მომსახურების დივერსიფიცირებით ხდება კონკურენციის განვითარება.

კომპანიების ძირითად პრობლემად რჩება ორგანიზაციის ადაპტირება და ცვლილებებზე ადეკვატური რეაგირების განხორციელება.

კომპანიების ხანგრძლივი სტრატეგიის ფორმირებას ხელს უწყობს სტაბილური გარემო, მაგრამ პროგნოზირების სირთულეები და დაბალი გამოცდილება ხელს უშლის სტრატეგიული დიზაინის გამოყენებას, ამიტომ სადაზღვევო ბაზარზე კომპანიების საქმიანო-

ბის მაჩვენებელი ყოველწლიურად იცვლება.

ახალი ბაზრების ფორმირება (ახალი მომხმარებლის მოზიდვა და ახალი მომსახურების შეთავაზება. მაგალითად, ჯანდაცვის დაზღვევის მენიუ) არის ინოვაციური პოლიტიკის ძირითადი მახასიათებელი, რომელსაც იყენებენ სადაზღვევო კომპანიები. სადაზღვევო ბაზრის შესაძლებლობები საქართველოში მცირეა, მით უმეტეს, როდესაც საყოველთაო სახელმწიფო სადაზღვევო სისტემა ამოქმედდა ჯანდაცვის სფეროში 2013 წლიდან, ამიტომ აქცენტი სადაზღვევო კომპანიებმა აიღეს მომხმარებლისათვის განსხვავებული პირობების შეთავაზებაზე.

პარტნიორებს აქვთ დიდი მნიშვნელობა სადაზღვევო ბაზარზე, რადგან ფინანსური მდგრადობა ასოცირებულია გადაზღვევასთან და იმ კომპანიებთან, რომლებიც კოლექტიური უთიერთობებით არიან დაკავშირებული. კონკურენციის პირობაა გამამზღვევების არსებობა და მსხვილი საერთაშორისო კომპანიების მხარდაჭერა. საქართველოში კომპანიებს არ აქვთ იმის ილუზია, რომ მარტო იმოქმედონ ბაზრებზე, მათ მხარს უმაგრებს საერთაშორისო კაპიტალი.

ვერტიკალური ინტეგრაციით კონკურენტული უპირატესობის მოპოვება და კონკურენცია პარტნიორებით არის საქართველოს რეგიონული ბაზრის განვითარების კარგი წინაპირობა.

აქვე ისიც უნდა დავუმატოთ, რომ 2005 წლიდან უცხოურ ფირმებს მიეცათ ფილიალების გახსნის უფლება საქართველოში. არსებობდა იმის საფრთხე, რომ ადგილობრივი კომპანიები დაზარალდებოდნენ იმის სანაცვლოდ, რომ გაიზრდებოდა მომხმარებელთა მომსახურების ხარისხი და მასშტაბები, თუმცა ეს არ მომხდარა, რამდენადაც სადაზღვევო ბაზარი მცირეა მსხვილი უცხოური კომპანიებისათვის.

გარდა ამისა, გაჩნდა ახალი ტენდენცია: ყველაზე ძლიერ ინვესტორად ქართულ სადაზღვევო ბაზარზე შემოვიდა საბანკო სისტემა, რომელიც ძალიან აგრესიულად ჩაერთო ამ ბაზარზე. მოხდა სადაზღვევო კომპანიების შესყიდვა, შეერთება-გამსხვილება. ამ გარემოებამ შედარებით სტაბილური გახადა ბაზარი.

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ბაზარი არის მცირე, მაგრამ ის წარმოადგენს კაპიტალის ინტერესების სფეროს, სადაც კომპანიების სტრატეგიას განსაზღვრავს მომსახურების დივერსი-

ფიცირების აუცილებლობა და კოოპერაცია საერთაშორისო კაპიტალთან, რომელიც ორიენტირებულია ასევე დივერსიფიცირებულ სექტორებზე.

საქართველოში დაზღვევა ნაკლებად არის ორიენტირებული მომხმარებლის შესაძლებლობებზე და არც მინოდებული სერვისები ითვალისწინებს ინდივიდუალიზაცია/პერსონიფიცირებას, რამდენადაც ერთი და იმავე შემოსავლის მქონე ადამიანებს არ აქვთ დიფერენცირების საშუალება სერვისების ამორჩევაში. ეს ეხება სიცოცხლის დაზღვევას, რომელიც თითქმის უნიფიცირებულია, ასევე კერძო ჯანდაცვის პროექტებს, რომელიც მცირედით არის დივერსიფიცირებული, ხოლო ქონების და სხვ დაზღვევა კი მკაცრად ჰომოგენურია და ერთფეროვანია.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საქართველოში ექსტენსიური განვითარების შესაძლებლობები ჯერ კიდევ დიდია. ეს ბაზარი მზარდია და მისი პოტენციური შესაძლებლობები არ არის სრულად გამოყენებული. ამის დამასაბუთებელია ის, რომ დაზღვევით მხოლოდ მცირე რაოდენობის სუბიექტია მოცული.

ამასთან შესამჩნევია ინტეგრირებული მომსახურების განვითარებაც, რომელიც ინდივიდების ინტერესებზეა აგებული. ეს განსაკუთრებით ეხება სამედიცინო სადაზღვევო ბაზარს.

საქართველოში არსებობს სადაზღვევო პროდუქტების მიწოდების ზრდისა და მომსახურების გაუმჯობესების ტენდენცია. სადაზღვევო ტარიფები არ არის კლებადი, რაც განპირობებული ამ ბაზრის გამსხვილებით, კონცენტრაციის მაღალი დონით და მომხმარებელთა რაოდენობის ნელი ზრდით. თუმცა ისიც უნდა ავლიშნოთ, რომ სადაზღვევო კომპანიების ზრდის მაჩვენებლები და მათი დინამიკა კონკურენციის შედეგს წარმოადგენს. სადაზღვევო ბაზრის ასიმეტრიულობა, მომხმარებელთა გაუცნობიერებლობა და ნდობა კომპანიებისადმი წარმოადგენს ამ სფეროს განვითარების ერთ-ერთ ბარიერს.

ჯაბა ჩხარტიშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

FEATURES OF COMPETITION AND CONCENTRATION OF INSURANCE MARKET IN GEORGIA

Jaba Chkhartishvili

The St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia
Comparative analysis of Georgian and EU insurance markets

RESUME

The paper deals with strategic features of insurance companies in Georgia and their mergering- amalgamation process impact on the development of competition. According to Herfindahl-Hirschman Index methodology it is estimated that in Georgia there is not high competition and market is not highly concentrated. Consolidation and concentration process does not lead to monopolization of insurance companies.

Key words: insurance companies, competition, concentration

საბანკო მოგება საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საფინანსო სისტემის ეფექტიან და მდგრად ფუნქციონირებაზე. საფინანსო სისტემა, რომელიც აერთიანებს საბანკო სისტემასა და საფინანსო ბაზრებს, უზრუნველყოფს ქარბი ლიკვიდური სახსრების გადანაწილებას იმ ეკონომიკურ აგენტებზე, რომელთაც სჭირდებათ ფულადი სახსრები სხვადასხვა მიზნების დასაფინანსებლად. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში საფინანსო ბაზრების განვითარების დონე ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაშია საბანკო სექტორის საიმედოობა და მდგრადობა მთავარ როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში.

საქართველოს საბანკო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს საბანკო სისტემის არსსა და მის შემადგენელ ელემენტებს. ვინაიდან, საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქცია ვრცელდება კომერციულ ბანკებსა და არასაბანკო-საკრედიტო დაწესებულებებზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბანკო სისტემა აერთიანებს ეროვნულ ბანკს, კომერციულ ბანკებსა და არასაბანკო დაწესებულებებს (მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები). საქართველოს საბანკო სექტორში წამყვანი ადგილი უჭირავს კომერციულ ბანკებს, რომელთა აქტივების მოცულობაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 79.4%-ს შეადგენს.¹

2008 წლის გლობალურ ფინანსურ კრიზისამდე, განვითარებული ქვეყნების კომერციული საბანკო სექტორი რეკორდული მოცულობის მოგებით გამოირჩეოდა. საბანკო ბუმი იყო საქართველოშიც, როდესაც კომერციულმა ბანკების საქმიანობის არეალთან ერთად საბანკო მოგების მოცულობებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა, ფინანსურმა კრიზისმა ნათლად გამოაჩინა მანამდე წარმატებული და მომგებიანი ბანკების სისუსტეები. ამ სისუსტეების დადგენის ერთ-ერთი გზა ბანკის ფინანსური უწყისების ღრმა ანალიზია. შეფარდებითი და აბსოლუტური მაჩვენებლების ანალიზი იძლევა საშუალებას განვსაზღვროთ თუ რამდენად წარმატებულია კომერციული ბანკი თავის საქმიანობაში.

კომერციული ბანკების მიზანია მოგების მაქსიმიზაცია არსებული რისკის დონის მინიმიზების ფონზე. კომერციული ბანკის მოგება კი ყალიბდება ბანკის შემოსავლებიდან შესაბამისი ხარჯების გამოქვითვის შედეგად. გამომდინარე აქედან, ბანკის მომგებიანობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია იმ

ფაქტორების (შემოსავლები, ხარჯები) ანალიზი, რომლებიც განაპირობებენ მის ფორმირებას. ბანკის მომგებიანობა განსაზღვრავს კომერციული ბანკის ადგილს მთლიანად საბანკო სექტორში და ასევე კარგი მაჩვენებელია კომერციული ბანკის მენეჯმენტის ეფექტიანობის შესაფასებლად.

მოცემული ნაშრომის მიზანია საქართველოს საბანკო სექტორის მაგალითზე საბანკო შემოსავლებისა და ხარჯების შემადგენელი ელემენტები ანალიზი და აგრეთვე, სხვადასხვა მაჩვენებლების მეშვეობით ბანკების მომგებიანობის შეფასება. კომერციული ბანკების შემოსავლების, ხარჯებისა და მოგების გაანალიზება განხორციელდება შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურული ანალიზისა და ფინანსური კოეფიციენტების მეშვეობით ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

საბანკო შემოსავლები


კომერციული ბანკის მოგება-ზარალის უწყისი წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას ბანკის შემოსავლების, ხარჯებისა და მისი საქმიანობის შედეგების შესახებ. კომერციული ბანკი გარდა სესხების გაცემისა სხვა ბიზნეს საქმიანობითაცაა დაკავებული. სესხებიდან და სხვა ბიზნეს საქმიანობიდან კომერციული ბანკის მიერ ხდება შემოსავლების ფორმირება, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც პროცენტული ხასიათის შემოსავალს, ისე არაპროცენტულ შემოსავალს. პროცენტულ შემოსავლებს მიეკუთვნება შემოსავლები გაცემულ სესხებზე, ასევე შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან და სხვა პროცენტული შემოსავლები. არაპროცენტული შემოსავლების ფორმირება ხორციელდება ბანკის მიერ განეულ მომსახურებაზე საკომისიო გადასახდელების მიღებით, ასევე უცხოური ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვიდან შემოსავლების მიეკუთვნება შემოსავლები ისეთი ოპერაციებიდან როგორებიცაა: საბანკო გარანტია, ბროკერული ოპერაციები, ნდობითი ოპერაციები და სხვა.

საქართველოს კომერციული ბანკების შემოსავლების მკვეთრი ზრდა შეინიშნება 2006 წლიდან. აღნიშნული პერიოდიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება, როგორც პროცენტული, ისე არაპროცენტული შემოსავლები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბანკო სექტორის განვითარების საწყის ეტაპზე არაეფექტიანი დაკრედიტების მექანიზმების არსებობამ და მაღალმა მომსახურების ფასებმა განაპირობეს შემოსავლებში არაპროცენტული შემოსავლების მნიშვნელოვანი წილი.² კერძოდ,

2 კოვაზანაძე, ი., კონტრიძე, გ. (2014): „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“, გვ. 240.

1 ანალოგიური მაჩვენებელი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საკრედიტო კავშირების შემთხვევაში, 2015 წლის ბოლოს არსებული მონაცემებით, შესაბამისად 5.1%-სა და 0.03%-ს უტოლდება.

2006 წლისათვის მთლიან შემოსავლებში არაპროცენტული შემოსავლების წილი დაახლოებით 44%-ს შეადგენდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია დამოუკიდებელი საქართველოს საბანკო სისტემის არსებობის მანძილზე.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბოლო ათწლეულის მანძილზე კომერციული ბანკების მხრიდან საკრედიტო საქმიანობის გაფართოებამ ხელი შეუწყო პროცენტული შემოსავლების ზრდას. ამასთან, საბანკო სექტორში შექმნილმა კონკურენტულმა გარემომ აიძულა ბანკები შეემცირებინათ მომსახურების ფასები, რაც აისახა კიდევაც არაპროცენტულ შემოსავლებზე, რომლის ხვედრითი წილიც მთლიან შემოსავლებში 2015 წლისათვის 36%-მდე შემცირდა. გარდა ამისა, 2006 წლამდე მთლიანი შემოსავლების საშუალოდ 16% საკომისიო შემოსავლებზე მოდიოდა, ხოლო 2015 წლისათვის საკომისიო შემოსავლების წილი 8%-მდე შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ არაპროცენტული შემოსავლებისა და მათ შორის საკომისიო შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან შემოსავლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, ნომინალურ გამოსახულებაში არაპროცენტული შემოსავლების მოცულობა, 2006 წელთან შედარებით, დაახლოებით შვიდჯერაა გაზრდილი. აღნიშნული კიდევ ერთი ინდიკატორია იმისა, რომ მომსახურების ფასების შემცირების პარალელურად მზარდია კომერციული ბანკების საქმიანობის მასშტაბები.

კომერციული ბანკებისთვის მნიშვნელოვანია სტაბილური შემოსავლების არსებობა. მოცემული მიმართულებით, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით არაპროცენტული შემოსავლებისაგან პროცენტული შემოსავლების ნაკადები ნაკლებად მერყევიანია. პროცენტული შემოსავლების ზრდის ტემპის სტანდარტული გადახრა 13.5%-ს უტოლდება, მაშინ როცა, ანალოგიური მაჩვენებელი არაპროცენტული შემოსავლებისათვის 24%-ია. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2008 წლის გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეამცირა (166 მლნ ლარით) არაპროცენტული შემოსავლები, მაშინ როდესაც, პროცენტული შემოსავლები მხოლოდ მცირედით - 12 მლნ ლარით შემცირდა. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს არაპროცენტული შემოსავლების არასტაბილურ ხასიათსა და ეკონომიკური ციკლებისადმი მაღალ მგრძობელობას.

დამოუკიდებელი საქართველოს საბანკო სექტორის არსებობის მანძილზე შემოსავლების უდიდესი ნაწილის ფორმირება კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლებისაგან ხდება. სესხებიდან მიღებული შემოსავლები საშუალოდ საპროცენტო შემოსავლების 91%-ს, ხოლო მთლიანი შემოსავლების 59% შეადგენს. სესხებიდან მიღებული შემოსავლების მაღალი ხვედრითი წილი მაჩვენებელია იმისა, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების ძირითად საქმიანობას სესხების გაცემა წარმოადგენს და ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი საინვესტიციო საბანკო (Investment Banking) მიმართულებით.

საბანკო შემოსავლების, გარდა სტრუქტურული ანალიზისა, საბანკო მკვლევარებისა და ანალიტიკოსების მიერ აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი. ერთ-ერთ ასეთ ფინანსურ კოეფიციენტს მიეკუთვნება საბანკო აქტივების უტილიზაციის (გამოყენების) კოეფიციენტი (AU), რომელიც გამოითვლება მთლიანი საბანკო შემოსავლების შეფარდებით ბანკის მთლიან აქტივებთან:

$$AU = \frac{TI}{TA} = \frac{II + NII}{TA} \quad (1)$$

სადაც,


II – პროცენტული შემოსავალი;

NII – არაპროცენტული შემოსავალი;

TA - მთლიანი აქტივები.

მოცემული შეფარდება გვიჩვენებს ბანკის უნარს თუ რა მოცულობის შემოსავლების გენერირება შეუძლია მას მის ხელთ არსებული აქტივების გამოყენებით. რაც უფრო მაღალია მოცემული კოეფიციენტი მით მეტ სარგებელს ნახულობს ბანკი ერთეულ აქტივზე.¹

საქართველოს საბანკო სექტორისათვის აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აჭარბებს ევროპის ქვეყნების მაჩვენებელს. ევროკავშირის ქვეყნებში აქტივების უტილიზაციის კოეფიციენტი 4-5%-ის ფარგლებში მერყეობს, მაშინ როდესაც საქართველოში ანალოგიური მაჩვენებელი საშუალოდ 15%-ს უტოლდება. ევროპისა და საქართველოს საბანკო სექტორებს შორის არსებული საგრძნობი განსხვავება შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ საქართველოს ეკონომიკაში ფულადი სახსრების დაბანდება შედარებით მაღალ რისკებთანაა დაკავშირებული, რაც განაპირობებს კიდევაც ბანკების მხრიდან მაღალი სარგებლის მიღების მოტივსაც. საქართველოს მსგავსად სხვა ისეთ განვითარებად ქვეყნებშიც, როგორცაა უკრაინა და მოლდოვა აქტივების უტილიზაციის კოეფიციენტი აჭარბებს ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს. შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გარდამავალი ეტაპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია აქტივების უტილიზაციის კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; ევროპის ცენტრალური ბანკი.

თუმცა, კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა შეიძლება ინდიკატორი იყოს გარკვეული პრობლემებისა. კერძოდ, ბანკის მიერ დაბალრისკიანი და შესაბამისად, დაბალშემოსავლიანი სესხების ჩანაცვლება მაღალრისკიანი და შესაბამისად, მაღალშემოსავლიანი სესხებით, რა თქმა უნდა გაზრდის აქტივების უტილიზაციის კოეფიციენტის მნიშვნელობას, თუმცა ამასთანავე გაიზრდება ბანკის საკრედიტო რისკისადმი მგრძობელობაც, რაც ზრდის იმის ალბათობას, რომ სამომავლოდ ბანკის შემოსავლები შემცირდება.² გამომდინარე აქედან, სრულყოფილი ანალიზისათვის და ბანკის საქმიანობის შეფასებისათვის მხოლოდ მისი შემოსავლების ანალიზი არ არის საკმარისი და აუცილებელია გააანალიზდეს ბანკის მიერ განეული ხარჯებიც.

1 Sounders, A., Cornett, M.M. (2012): Financial Markets and Institutions, McGraw-Hill Education, 5/e, გვ. 397.


2 Sounders, A., Cornett, M.M. (2012): Financial Markets and Institutions, McGraw Hill Education., 5/e, გვ. 399.

საბანკო ხარჯები

კომერციული ბანკები საქმიანობას ძირითადად მოზიდული რესურსებით ახორციელებენ ანუ საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებენ სხვის დროებით თავისუფალ სახსრებს. შესაბამისად, კომერციულ ბანკებს უნევთ გარკვეული საფასურის გადახდა მოზიდულ რესურსებზე იქნება ეს ფიზიკურ/იურიდიულ პირთა ანაბრებზე დარიცხული პროცენტები თუ სხვადასხვა კრედიტორებისათვის გადასახდელი სესხის პროცენტი. გარდა აღნიშნული პროცენტული ხარჯებისა, ბანკს უნევს სხვადასხვა საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯების განევა. კერძოდ, აღნიშნული ტიპის ხარჯებს მიეკუთვნება ბანკის მიერ გადახდილი საკომისიო ხარჯები, ასევე ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება სავალუტო თუ საფონდო ბაზრებზე ოპერაციების განხორციელებისას.

კომერციული ბანკების ხარჯების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბანკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ადმინისტრაციულ თუ ზოგად ხარჯებს. ხარჯების ეს კატეგორია კლასიფიცირდება, როგორც ბანკის საოპერაციო ხარჯები და აერთიანებს ბანკის პერსონალის ხარჯებს, საექსპლუატაციო ხარჯებსა და ბანკის ნორმალურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.¹ სხვადასხვა საბანკო ოპერაციებზე განეული ხარჯებისა და საოპერაციო ხარჯების ერთობლიობას შეიძლება ვუწოდოთ არაპროცენტული ხარჯები.

კომერციული ბანკების ხარჯები (ათასი ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


საქართველოს კომერციული ბანკების ხარჯების სტრუქტურაში, განსხვავებით შემოსავლებისაგან, წარბობს არაპროცენტული ხარჯები. მათ შორის აღსანიშნავია ბანკის პერსონალზე განეული ხარჯები, რომელიც ბანკისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ხარჯს წარმოადგენს. ბანკის წარმატება უმეტესწილად სწორედ მის თანამშრომლებზეა დამოკიდებული. გამომდინარე აქედან, საბანკო სექტორში დასაქმებულია მაღალკვალიფიციური კადრები, რომელთა შრომის ანაზღაურებაც სხვა სექტორებთან შედარებით მაღალია. გარდა ამისა, ბანკები მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს მიმართავენ კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მანძილზე ბანკის პერსონალზე განეული ხარჯები მუდმივად იზრდება და 2015 წლის მდგომარეობით 466 მლნ ლარს გადააჭარბა. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები საშუალოდ მთლიანი ხარჯების 20%-ს მიმართავენ თანამშრომელთა ხელფასებსა და ბონუსებზე. გარკვეულ შემთხვევებში აპარატის ხარჯები პროცენტულ ხარჯებსაც კი აჭარბებდა, თუმცა ბოლო პერიოდში შეინიშნება მოცემული მაჩვენებლის კლებადი ტენდენცია, რაც კომერციული ბანკების მიერ საკადრო პოლიტიკის ცვლილებით შეიძლება აიხსნას.

კომერციული ბანკის ხარჯ-ეფექტიანობის საზომად საბანკო პრაქტიკაში აღიარებული ინდიკატორებია ხარჯი/შემოსავლის კოეფიციენტი (CIR) და ხარჯების კოეფიციენტი (ER):

1 Moody's Investors Service, (2011): „Banking Account & Ratio Definitions“, გვ. 3

საბანკო ხარჯების სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

$$CIR = \frac{OE}{TOI} = \frac{OE}{NetII + NetNII} \quad (2)$$

$$ER = \frac{EXP}{TA} = \frac{IE + NonIE + PLL}{TA} \quad (3)$$


სადაც,

- OE - საოპერაციო ხარჯები;
- TOI - საოპერაციო შემოსავალი;
- NetII – ნმ. პროცენტული შემოსავალი;
- NetNII – ნმ. არაპროცენტული შემოსავალი;
- EXP – ხარჯები;
- IE – პროცენტული ხარჯები;
- NonIE – არაპროცენტული ხარჯები;
- PLL - სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვები;

ორივე მაჩვენებლის მიზანია გაზომოს ბანკის მენეჯმენტის ეფექტიანობა. ხარჯი/შემოსავლის კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ როგორ იცვლება ბანკის საოპერაციო ხარჯები საოპერაციო შემოსავლებთან მიმართებაში. ბანკისათვის მნიშვნელოვანია, რომ საოპერაციო შემოსავლის ზრდის ტემპი აღემატებოდეს საოპერაციო ხარჯების ზრდის ტემპს და უზრუნველყოფილი იყოს მაჩვენებლის დაბალი მნიშვნელობები. რაც შეეხება, ხარჯების კოეფიციენტს იგი საბანკო საქმიანობის ხარჯ-ეფექტიანობას ზომავს არსებულ აქტივებთან მიმართებაში და განსხვავებით CIR კოეფიციენტისა გაანგარიშებაში ითვალისწინებს თითქმის ყველა საბანკო ხარჯს. CIR-ისა და ER-ის დაბალი მნიშვნელობები მიუთითებს საბანკო ხარჯების ეფექტიანად მართვის უნარზე.

საქართველოს საბანკო სექტორის ხარჯების კონსოლიდირებული მონაცემების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ საბანკო სექტორი 2015 წლისათვის უფრო ხარჯ-ეფექტიანია, ვიდრე დაახლოებით 10 წლის წინ იყო. მიმდინარე მდგომარეობით საბანკო სექტორის ყოველი 1 ერთეული საოპერაციო შემოსავლის 36% მიიმართება საოპერაციო ხარჯებზე, ხოლო ყოველი 1 ერთეული აქტივის დაახლოებით 11%-ს შეადგენს საბანკო ხარჯები. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს დაფიქსირდა ხარჯების კოეფიციენტის (ER) მკვეთრი ზრდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მკვეთრი ზრდით. ფინანსურმა კრიზისმა და საომარმა კონფლიქტმა ასევე უარყოფითად იმოქმედეს ხარჯი-შემოსავლის კოეფიციენტზეც, რომელიც მნიშვნელობაც 2009 წლისათვის 53%-მდე გაიზარდა,

საბანკო ხარჯების ეფექტიანობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რაც განპირობებული იყო ბანკის საოპერაციო შემოსავლების მკვეთრი შემცირებით.

საბანკო ხარჯების სტრუქტურის ანალიზისას პროცენტულ და არაპროცენტულ ხარჯებთან ერთად მნიშვნელოვანია აგრეთვე ისეთი ტიპის ხარჯის ანალიზიც, როგორცაა აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯი, რომელიც აერთიანებს ხარჯებს მიმართულს სესხებზე, ფასიან ქალაქებსა და სხვა ფინანსური აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის შესაქმნელად. ხარჯების არსებული კატეგორია სხვა დანარჩენი ხარჯებისაგან გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. კერძოდ, აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯი არ წარმოადგენს ბანკის პირდაპირ ხარჯს, ვინაიდან მოცემული თანხებით იქმნება რეზერვი, რომელსაც ბანკი უკიდურეს შემთხვევებში იყენებს. ამასთანავე, კონკრეტული აქტივის დაბრუნების შემთხვევაში, ამავე აქტივზე რეზერვის ხარჯი გარდაიქმნება ბანკის სარგებლად და მოგება-ზარალის უწყისში აისახება დადებითი ნიშნით. შედეგად, შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯი (სარგებელი) პირდაპირ გავლენას ახდენს მოგება/ზარალის ფორმირებაზე და ითვლება სპეციფიური ტიპის ხარჯად (სარგებლად).¹


საქართველოს საბანკო სექტორისთვის, რომელიც ძირითადად კლასიკური საბანკო საქმიანობითაა დაკავებული, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის (სმდრ) ხარჯები ჭარბობენ მთლიანი რეზერვის ხარჯების სტრუქტურაში. მოცემული მიმართულებით განეული ხარჯები კარგი ინდიკატორია საკრედიტო რისკის შესაფასებლად.² სმდრ-ის ხარჯების მოცულობა პირდაპირ დამოკიდებულია მსესხებელთა გადახდისუნარიანობის დონეზე და გამომდინარე აქედან მისი მოცულობა ხშირი ცვალებადობით ხასიათდება. ეკონომიკური აღმავლობის დროს, როდესაც მსესხებელთა დეფოლტის ალბათობა კლებულობს, ბანკებს ახასიათებთ რეზერვებში ნაკლები სახსრების მიმართვა, რაც აიძულებთ მათ ეკონომიკური ვარდნის პირობებში გაზარდონ შესაძლო დანაკარგების რეზერვები.³ აღნიშნული დასტურდება საქართველოს საბანკო სექტორის მაგალითზეც. კერძოდ, გლობალური ფინანსური კრიზისისა და 2008 წლის საომარი კონფლიქტის შედეგად მსესხებელთა მხრიდან გართულდა ნასესხები სახსრების დაბრუნება, რამაც აიძულა ბანკები კანონმდებლობის შესაბამისად გაეზარდათ სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვები, რომელმაც 2007 წლის მონაცემს დაახლოებით ხუთჯერ გადააჭარბა.

ნებისმიერი კომერციული ორგანიზაციის პროდუქტიულობის ზრდისათვის მნიშვნელოვანია ხარჯების

1 კოვაზანაძე, ი., კონტრიძე, გ. (2014): „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“, გვ. 245.

2 Athanasioglou, P., Brissimis, S., Matthaios, D. (2008): Bank-specific, Industry-specific and Macroeconomic Determinants of Bank Profitability, Journal of International Financial Markets, Institutions and Money, 18 (2): გვ.125.

3 Laeven, L. and Majnoni, G., (2003): Loan Loss provisioning and economic slowdowns: too much too late? Journal of Financial Intermediation, 12, გვ.179.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მინიმიზაცია, რომელიც სხვა თანაბარ პირობებში, დადებით ზეგავლენას ახდენს მოგების დონეზე.¹ თუმცა, ბანკები, რომლებიც კონკურენტულ ბრძოლაში არიან ჩართულნი, გარკვეულ ეტაპებზე ყოველთვის დგება ხარჯების გაზრდის აუცილებლობა. აღნიშნულს ძირითადად განაპირობებს ბანკის საქმიანობის არეალის გაფართოება ახალი ფილიალების გახსნით, ახალი საბანკო ტენოლოგიების დანერგვა და ა.შ. შედეგად, თანამედროვე კომერციული ბანკებისათვის მნიშვნელოვანია მუდმივად ხორციელდებოდეს ხარჯების რაციონალური ოპტიმიზაცია, რომელიც არ დააკარგინებს მას დაკავებულ პოზიციებს არსებულ მძაფრ კონკურენტულ გარემოში.

საბანკო მოგება


ბანკი, როგორც კომერციული ორგანიზაცია, ორიენტირებულია მოგების მიღებაზე და არსებული რესურსების პირობებში ცდილობს მოახდინოს მისი მაქსიმიზაცია. მოგება წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ბანკის განვითარებისათვის. მის მოცულობაზე დიდწილადაა დამოკიდებული ბანკის საკუთარი კაპიტალის ზრდა, სარეზერვო ფონდების შევსება, კაპიტალდაბანდებათა დაფინანსება და ა.შ.² მოგების მიღებით დაინტერესებულნი არიან ბანკის აქციონერები და სახელმწიფო. აქციონერებისათვის მოგება წარმოადგენს დივიდენდების მიღების, ხოლო სახელმწიფოსათვის კი გადასახადების მიღების მთავარ წყაროს. ამასთანავე, ბანკის საქმიანობის შედეგებით დაინტერესებულნი არიან ის სუბიექტები (მენაბრეები, კრედიტორები), რომელთა მიმართაც ბანკს გააჩნია გარკვეული ვალდებულებები. ნაკლებად სავარაუდოა, რომ წამგებიან საბანკო ინსტიტუტში გადანყვიტოს ეკონომიკურმა აგენტმა მისი დროებით თავისუფალი სახსრების განთავსება, ისევე როგორც, კრედიტორისათვის მნიშვნელოვნად იზრდება დაკრედიტების რისკები, როდესაც მსესხებელი წამგებიანი ბანკია.

მოგების ანალიზის პროცესში საბანკო მკვლევარების მიერ უპირატესობა ენიჭება ფინანსური კოეფიციენტების მეშვეობით ანალიზის მეთოდს. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ პრაქტიკაში შესაძლებელია დიდი ბანკის (აქტივების დიდი მოცულობით) მიერ მიღებული მოგება გაუტოლდეს მცირე ბანკის მიერ მიღებულ ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც აღნიშნული მიმართულებით აბსოლუტური მაჩვენებლების ანალიზს დამაბნეველსა და ბუნდოვანს ხდის. მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში საბანკო მოგების შეფასების ცნობილი და აპრობირებული ფინანსური კოეფიციენტებია: წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM), უკუგება (საშუალო) აქტივებზე (ROA), უკუგება (საშუალო) კაპიტალზე (ROE).

1 Trujillo-Ponce, A., (2013): What determines the profitability of banks? Evidence from Spain, Accounting and Finance, 53(2), 561-586, გვ. 8.

2 კოვზანაძე, ი., კონტრიძე, გ. (2014): „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა„, გვ. 249.

წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) გვიჩვენებს ბანკის უნარს არსებული რესურსებით მიიღოს პროცენტული შემოსავალი შესაბამისი პროცენტული ხარჯების გამოქვითვის შემდგომ. მოცემული კოეფიციენტი წარმოადგენს წმინდა საპროცენტო შემოსავლის ფარდობას ბანკის მთლიან აქტივებთან.¹ წმინდა საპროცენტო მარჟის ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საბანკო ინსტიტუტებისათვის, რომელთა ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია ტრადიციულ საბანკო საქმიანობასთან. საქართველოში კომერციული ბანკების მოგება დიდწილადაა დამოკიდებული წმ. პროცენტულ შემოსავლებზე. 2010 წლიდან საბანკო სისტემის საშუალო წმინდა მოგება 336 მლნ ლარს აღემატება, რომლის 36.7% წმ. პროცენტულ შემოსავლებზე მოდის. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ფინანსურ კრიზისს მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდენია საქართველოს საბანკო სისტემის წმ. საპროცენტო მარჟაზე.



უკუგება აქტივებზე (ROA) გვიჩვენებს ბანკის მენეჯმენტის უნარს მიიღოს მოგება არსებული საბანკო აქტივების გამოყენებით. მოცემულ მოგების შეფასების მაჩვენებელს გარკვეული ნაკლოვანება ახასიათებს. კერძოდ, ROA-ს დაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება ბანკის ის საქმიანობები, რომელთა აღრიცხვაც წარმოებს ბალანსგარეშე მუხლებში. შედეგად, ROA სრულყოფილად ვერ ახასიათებს საბანკო საქმიანობასა და მის შედეგებს.² მიუხედავად, აღნიშნული ნაკლოვანებისა ROA საბანკო მოგების შეფასების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მაჩვენებელია, რომელსაც წარმატებით იყენებ თვით ცენტრალური ბანკის წარმომადგენლებიც.

უკუგება კაპიტალზე (ROE) ზომავს ბანკის მენეჯმენტის უნარს მიიღოს მოგება მის ხელთ არსებული კაპიტალის გათვალისწინებით. მისი გაანგარიშება ხდება ROA-ს მნიშვნელობის გამრავლებით კაპიტალის მულტიპლიკატორზე (Equity Multiplier)³, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ლევერიჯის საზომს. შედეგად, მაღალი ლევერიჯის (მცირე კაპიტალის) მქონე ბანკისთვის დამახასიათებელია ROE კოეფიციენტის მაღალი, ხოლო ROA-ს დაბალი მნიშვნელობა. მსგავსად ROA კოეფიციენტისა, ROE კოეფიციენტსაც აქვს გარკვეული ნაკლოვანება. კერძოდ, როგორც საბანკო მკვლევარები აღნიშნავენ, ROE-ს გაანგარიშებისას უგულებელყოფილია ის რისკები, რომლებიც თან სდევს მაღალ ფინანსურ ლევერიჯს.⁴


საქართველოს საბანკო სისტემის მომგებიანობის მაჩვენებლები (ROA, ROE) უკანასკნელ პერიოდში სტაბილურობით ხასიათდებიან. 2013-2015 წლების საშუალო უკუგებამ აქტივებსა და კაპიტალზე, შესაბამისად 2.2% და 14.0% შეადგინა. ROA-ს შემთხვევაში, საბანკო სისტემის მომგებიანობის მაჩვენებელი დიდად არ განსხვავდება საბანკო ბუმის პერიოდში (2004-2006 წწ) არსებული მაჩვენებლისაგან (2.1%), ხოლო ROE კოეფიციენტი კი, დაახლოებით 4%-ით აღემატება აღნიშნული პერიოდის მონაცემს.

1 საბანკო მოგების კოეფიციენტების გაანგარიშებისას საბანკო მკვლევარები მთლიანი აქტივების ნაცვლად აგრეთვე იყენებენ საშუალო აქტივებისა და პროცენტული შემოსავლის მქონე აქტივების მოცულობებს.


2 Athanoglou, P., Brissimis, S., Matthaios, D. (2008): Bank-specific, Industry-specific and Macroeconomic Determinants of Bank Profitability, Journal of International Financial Markets, Institutions and Money, 18 (2): გვ. 124.

3 კაპიტალის მულტიპლიკატორი მიიღება აქტივების კაპიტალთან შეფარდებით.

4 IMF, (2002): Financial soundness indicators: Analytical Aspects and Country Practices, Occasional paper, 212: გვ. 19




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი.



წყარო: ევროპის, მოლდოვის, უკრაინის ცენტრალური ბანკები და საქართველოს ეროვნული ბანკი

საინტერესოა მოგებისა და საპროცენტო განაკვეთების კავშირი. საქართველოს საბანკო სისტემის წმინდა მოგების მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2015 წლისათვის 537 მლნ ლარს გადააჭარბა. ამასთანავე საბანკო სექტორში შეინიშნება სესხებზე საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენცია. კერძოდ, კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე (ნაშთებზე) შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთები 2010 წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 5.3%-ული პუნქტითაა შემცირებული. ამასთანავე, წმინდა საპროცენტო მარჟის მაჩვენებელიც უკანასკნელ პერიოდში სტაბილურობით ხასიათდება და საშუალოდ 5.7%-ის ფარგლებში მერყეობს. შედეგად, ჰიპოთეზა იმასთან დაკავშირებით, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთები განაპირობებენ საბანკო მოგების ზრდას საქართველოს საბანკო სისტემის შემთხვევაში არ დასტურდება.

საპროცენტო განაკვეთები და მოგება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სპრედი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას სესხებსა და დეპოზიტებზე არსებულ საშუალო შენონილ საპროცენტო განაკვეთებს შორის, კლების ტენდენციით ხასიათდება, მაშინ როდესაც კომერციული ბანკების წმინდა მოგება, როგორც აბსოლუტურ ისე შეფარდებით გამოხატულებაში იზრდება. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს არაპროცენტული ხარჯების ეფექტიანი მართვის აუცილებლობას.

დასკვნა

ბანკის წარმატებისა თუ წარუმატებლობის შეფასების ყველაზე მარტივი მაჩვენებელია ბანკის მიერ პერიოდის განმავლობაში მიღებული მოგება (ზარალი). საბანკო მოგებისა და მისი შემადგენელი კომპონენტების ანალიზი მნიშვნელოვანია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. საბანკო მოგების ანალიზი იძლევა საშუალებას შეფასდეს ბანკის საქმიანობის შედეგები, რომელზეც დიდწილადაა დამოკიდებული თვითონ ბანკი, მესამე, კრედიტორი და სახელმწიფო ბიუჯეტი.

საქართველოს საბანკო სისტემის შემოსავლების ანალიზმა აჩვენა, რომ ქართული კომერციული ბანკები ძირითადად ტრადიციული საბანკო საქმიანობით არიან დაკავებულნი, რაც განაპირობებს კიდევაც, შემოსავლების სტრუქტურაში პროცენტული შემოსავლების მნიშვნელოვან წილს. ბოლო ათწლეულის მანძილზე საბანკო სექტორში შექმნილმა კონკურენტულმა გარემომ განაპირობა მომსახურების ფასების შემცირება და შესაბამისად საბანკო შემოსავლების სტრუქტურაში შემცირდა არაპროცენტული შემოსავლების ხვედრითი წილი. თუმცა, საბანკო საქმიანობის მასშტაბების გაფართოების შედეგად არაპროცენტული შემოსავლები კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საბანკო მოგების ფორმირებაში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ პროცენტულ შემოსავლებთან შედარებით არაპროცენტული შემოსავლების ნაკადები მაღლი მერყეობით ხასიათდებიან და ეკონომიკური ციკლებისადმი მაღალ მგრძობელობას ავლენენ.

საქართველოს საბანკო სექტორის ყოველი ერთეული აქტივი დაახლოებით 3-ჯერ მეტი შემოსავლის გენერირების შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე ზოგიერთ ევროკავშირის წევრ ქვეყანაშია შესაძლებელი. აქტივების უტილიზაციის კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა ასევე დამახასიათებელია სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვისაც (უკრაინა, მოლდოვა), რაც აღნიშნულ ქვეყნებში რისკის მაღალი დონით შეიძლება იყოს განპირობებული.

საქართველოს საბანკო სექტორის ხარჯების სტრუქტურაში ჭარბობს არაპროცენტული ხარჯები, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანია ბანკის პერსონალზე განუხლები ხარჯების წილი. საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები საშუალოდ მთლიანი ხარჯების 20%-ს მიმართავენ თანამშრომელთა ხელფასებსა და ბონუსებზე. როგორც, საბანკო ხარჯების ფინანსური კოეფიციენტების მეშვეობით ანალიზმა აჩვენა, საქართველოს საბანკო სექტორმა შეძლო გლობალური ფინანსური კრიზისისა და საომარი კონფლიქტის

შედეგად გაზრდილი ხარჯების ეფექტური მართვა.

აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ხარჯი წარმოადგენს ბანკისათვის სპეციფიურ ხარჯს, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება შემოსავლადაც მოგვევლინოს. ამასთანავე, ხარჯების ხსენებული კომპონენტის მოცულობა ეკონომიკური ვარდნის პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდება და წარმოადგენს საკრედიტო რისკის შეფასების ფართოდ აპრობირებულ ინდიკატორს.

მოგების შეფასების ცნობილი და აპრობირებული ფინანსური კოეფიციენტებია: წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM), უკუგება (საშუალო) აქტივებზე (ROA), უკუგება (საშუალო) კაპიტალზე (ROE). 2008 წელს განვითარებულ მოვლენებს დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია საქართველოს საბანკო სექტორის წმინდა საპროცენტო მარჟაზე, რომელიც ბოლო ათწლეული მანძილზე სტაბილურობით ხასიათდება. ბოლო პერიოდში, ასევე სტაბილურობით ხასიათდება საბანკო მოგების შეფასების დანარჩენი ორი ინდიკატორიც. ROA კოეფიციენტით შეფასებული საქართველოს საბანკო სექტორის მოგება

ალემატება ისეთი ქვეყნების საბანკო სექტორების მომგებიანობას, როგორცაა: საფრანგეთი, გერმანია, იტალია და სხვა.

საქართველოს საბანკო სექტორმა უმოკლეს ვადებში შეძლო დაეძლია ფინანსური კრიზისის შედეგად მიყენებული ზარალი და 2010 წლიდან მოყოლებული საბანკო სექტორი მომგებიანი. წმინდა მოგების ზრდადი ტენდენციის პარალელურად მცირდება საპროცენტო განაკვეთების სესხებზე და ასევე კლებადი ტენდენციით ხასიათდება საპროცენტო სპრედი. შედეგად, საქართველოს საბანკო სექტორის მაგალითზე გამოვლინდა, რომ საპროცენტო განაკვეთების მოცულობა განაპირობებს საბანკო სექტორის მიერ მიღებულ პროცენტული შემოსავლების მოცულობას, თუმცა ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ბანკის წმინდა მოგების ერთადერთ მდგენელს და საბანკო მოგება კიდევ ბევრ სხვა ფაქტორზეცაა დამოკიდებული.

ივანე შავდათუაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Athanasoglou, P., Brissimis, S., Matthaios, D. (2005). Bank-specific, Industry-specific and Macroeconomic Determinants of Bank Profitability. *Journal of International Financial Markets, Institutions and Money*, 18(2), 121-136.
2. IMF. (2002). Financial Soundness Indicators: Analytical Aspects and Country Practices. *Occasional paper*, 212, 1-111.
3. Laeven, L., Majnoni, G. (2003). Loan Loss provisioning and economic slowdowns: too much too late? *Journal of Financial Intermediation*(12), 178-197.
4. Moody's Investors Service. (2011). Banking Account & Ratio Definitions. 1-8.
5. Sounders, A., Cornett, M. (2012). *Financial Markets and Institutions* (5/e ed.). McGraw-Hill Education.
6. Trujillo-Ponce, A. (2013). What determines the profitability of banks? Evidence from Spain. *Accounting and Finance*, 53(2), 561-586.
7. კოვაზანაძე, ი., კონტრიძე, გ. (2014). *თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა*. თბილისი.

ABSTRACT

Bank profit is a simple indicator to evaluate the bank performance. Bank itself, depositors, creditors and even the state are interested in the profitability of the bank. The analysis of the Georgian banking sector revealed that the commercial banks in Georgia are mainly focused on the traditional banking activities. Interest income plays a major role in the income structure of Georgian banks. Even though the non-interest income share of the banks declined during the last decade, it still remains as a significant factor in determining the bank profit. Compared to the interest income, non-interest income is more volatile and is more sensitive to economic cycles.

In Georgia on average 20% of all bank expenditures are spent on employee's remuneration. Cost-effectiveness of the Georgian banks has been deteriorated due to the war conflict and global financial crisis in 2008 but Georgian banking sector has managed to deal with the increased costs effectively.

In terms of profitability, measured with the ROA, banking industry in Georgia showed higher earnings than the banking sectors in France, Germany and Italy. Moreover, on average, asset utilization coefficient is 3 times higher than in the banking industries in selected EU member countries. Since 2010, income generated by Georgian banking sector is gradually increasing and main source of it is increased amount of interest income.

საინვესტიციო გადაწყვეტილებები ტრანსნაციონალურ კომპანიებში

საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრაციის პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რაც, ნაწილობრივ განპირობებულია სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებებით, რომელმაც შეამცირა ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციის ხარჯები. ასევე, ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარების საქმეში მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის მიმოქცევაზე შეზღუდვების შემცირებაც. საერთაშორისო ბაზრებთან სწრაფი ინტეგრირება ქმნის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს და ამავე დროს, ზრდის რისკის ფაქტორსაც გარემოს სწრაფი ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების გამო. სწორედ, ეს მოვლენები მოგვცემს საშუალებას საერთაშორისო ბაზრებთან ინტეგრირებით გამოწვეული სარგებლიანობის მაქსიმიზაციისა და რისკების მინიმიზებისა.



ფინანსური მენეჯმენტის კომპეტენციას მიეკუთვნება ურთიერთდაკავშირებული გადანყვეტილებები, კერძოდ:

- გადანყვეტილებები ინვესტიციების შესახებ - საქმიანობის რომელი სახეები დაფინანსდეს;
- გადანყვეტილებები დაფინანსების შესახებ - როგორ დაფინანსდეს საქმიანობის ეს სახეები;
- გადანყვეტილებები ფულადი სახსრების მართვის შესახებ - როგორ მოხდეს კომპანიის ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვა.

საერთაშორისო ბიზნესში გადანყვეტილებები ინვესტირების, დაფინანსების და ფულადი სახსრების მართვის შესახებ გართულებულია, რადგან ქვეყნებს აქვთ სხვადასხვა ვალუტა, განსხვავებული დაბეგვრის სისტემები, განსხვავებული კანონები კომერციული საქმიანობის დაფინანსების შესახებ, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკების განსხვავებული დონეები და ა.შ. ყველა ეს ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული ფინანსური მენეჯერის მიერ, როდესაც მიიღებს გადანყვეტილებებს თუ საქმიანობის რომელი სახე დაფინანსდეს, როგორ მოხდეს მათი დაფინანსება და კომპანიის ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვა და როგორ უნდა იყოს კომპანია უფრო სანიმედოდ დაცული პოლიტიკური და ეკონომიკური რისკებისაგან.

ფინანსური მენეჯმენტი ყოველთვის არის კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელოვანი წყარო. ყველა კომპანიამ კონკურენტურად უნდა გაიხადოს სტრატეგიულ მიზნად. კონკურენტული უპირატესობის შექმნა მოითხოვს კომპანიის ღირებულების შექმნის ხარჯების შემცირებას, რომელიც შესაძლებელია კაპიტალის ღირებულებისა და სავალუტო კურსების ცვლილებების გამო ზარალის შემცირების, საგადასახადო გადახდების სიდიდის და სარისკო ფინანსურ

გარიგებებში კომპანიის მონაწილეობის შემცირების, კომპანიის ფულადი ნაკადების და რეზერვების ყველაზე ეფექტიანი მართვის საშუალებით. გარდა ამისა, კარგი ფინანსური მენეჯმენტი ხელს უწყობს მომსახურების გაუმჯობესებას, რაც, ასევე ეხმარება დამატებითი ღირებულების შექმნას.

კონკრეტულ ქვეყანაში გარკვეული სახის საქმიანობაში ინვესტირების შესახებ გადანყვეტილება მიღებული უნდა იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სტრატეგიული ცვლილების გათვალისწინებით. საერთაშორისო კომპანიაში ფინანსური მენეჯერის ერთ-ერთი როლი მდგომარეობს იმაში, რომ მან სცადოს რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვა სარგებლის, დანახარჯების და რისკებისა, რომლებიც ასოცირდებიან ინვესტიციებთან უცხოეთის ქვეყანაში. ამ საკითხის გადანყვეტა ხდება კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ანალიზის მეთოდების დხმარებით, რომლის მეშვეობითაც ხდება ინვესტიციების სარგებლის, დანახარჯების და რისკების რაოდენობრივი შეფასება. ეს ტოპ-მენეჯერებს საშუალებას აძლევს, რომ საკმარისად ობიექტურად შეადარონ საინვესტიციო ვარიანტები სხვადასხვა ქვეყნებში, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ დასაბუთებული გადანყვეტილება იმის თაობაზე, თუ კომპანიამ სად უნდა მოახდინოს თავისი შეზღუდული ფინანსური რესურსების ინვესტირება. უცხოური პროექტისათვის კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ანალიზი იყენებს იმავე თეორიულ სქემებს, რომლებიც გამოიყენება ადგილობრივ პროექტებში კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ანალიზის დროს, ანუ უპირველეს ყოვლისა, კომპანიამ უნდა შეაფასოს ფულადი ნაკადები, რომლებიც პროექტთან ასოცირდებიან. თავიდან, უმეტეს შემთხვევაში, ფულადი ნაკადი იქნება უარყოფითი, რადგან კომპანიას

მოუნვეს საწარმოო სიმძლავრეებში დიდი რაოდენობის სახსრების ჩადება. თუმცა რალაც დროის შემდეგ ფულადი ნაკადი დადებითი იქნება, რადგან საინვესტიციო დანახარჯები შემცირდება, ხოლო გაიზრდება შემოსავლები. ფულადი ნაკადების შეფასების შემდეგ საჭიროა მათი დისკონტირება, რათა დისკონტირების შესაბამისი განაკვეთის დახმარებით განისაზღვროს მათი მიმდინარე ღირებულება. ჩვეულებრივ, დისკონტირების განაკვეთი არის კომპანიის კაპიტალის ღირებულების ან შემოსავლიანობის განაკვეთის ტოლი. თუ ფულადი სახსრების დისკონტირებული ნაკადის წმინდა მიმდინარე ღირებულება ნულზე მეტი იქნება, მაშინ კომპანიისათვის ხელსაყრელია მოცემული პროექტის რეალიზაცია.

დაგეგმილი კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის ანალიზი რთული პროცესია და დაკავშირებულია ფაქტორებთან, რომლებიც ართულებენ ამ პროცესს საერთაშორისო კომპანიისათვის, კერძოდ:

1. განსხვავება პროექტისაკენ მიმართულ ფულად ნაკადებსა და დამფუძნებელ კომპანიაში დაბრუნებულ ფულად ნაკადებს შორის;
2. უცხოური ინვესტიციების ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო რისკის გამო;
3. დამფუძნებელ კომპანიაში შემავალი ფულადი ნაკადებისა და დაფინანსების წყაროს შორის კავშირი.

უცხოური პროექტის ანალიზის თვალსაზრისით, არსებობს თეორიული არგუმენტი დამფუძნებელი კომპანიისთვის, ვინაიდან პროექტში მიმართული ფულადი ნაკადები ისეთივე არ არის, როგორც დამფუძნებელ კომპანიაში. რამდენიმე მიზეზის გამო შეიძლება პროექტმა დამფუძნებელ კომპანიას მთელი ფული არ დაუბრუნოს. მაგალითად, ფულადი ნაკადები შეიძლება დაიბლოკოს უცხოეთის ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებით, დაიბეგროს ძალიან მაღალი განაკვეთით ან უცხოეთის ქვეყნის მთავრობამ შეიძლება მოითხოვოს პროექტიდან მიღებული შემოსავლის

გარკვეული პროცენტის რეინვესტირება ადგილობრივ ეკონომიკაში. ეს შეზღუდვები გავლენას არ ახდენენ პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულებაზე, თუმცა გავლენას ახდენს დამფუძნებელი კომპანიის პროექტის წმინდა მიმდინარე ღირებულებაზე, რადგან შემცირდება პროექტიდან დამფუძნებელ კომპანიაში მიმავალი ფულადი ნაკადები.

უცხოური საინვესტიციო შესაძლებლობის შეფასების დროს დამფუძნებელი კომპანია უნდა დაინტერესდეს იმ ფულადი ნაკადებით, რომელსაც ის მიიღებს და ასევე იმ ფულადი ნაკადებითაც, რომლებსაც ზოგადად წარმოშობს პროექტი, რადგან ეს ნაკადები ქმნიან საფუძველს აქციონერებისთვის დივიდენდების გადასახდელად, სხვა ინვესტიციებისათვის, კორპორატიული ვალების დასაფარავად და სხვა. დაბლოკულ შემოსავლებს აქციონერები არ ითვალისწინებენ კომპანიის ღირებულების გაზრდაში, ასევე კრედიტორები მათ მხედველობაში არ მიიღებენ დამფუძნებელი კომპანიის მიერ თავისი ვალის მომსახურების უნარის შეფასების დროს.

თუმცა დაბლოკილი შემოსავლების პრობლემა დღეს ისე სერიოზული აღარ არის, როგორც ადრეთავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მზარდმა განვითარებამ გამოიწვია იმ ქვეყნების რიცხვის შემცირება, რომლებშიც მთავრობას შეუძლია უცხოური ტნკ-ის შვილობილ კომპანიებს აუკრძალოს დამფუძნებელი კომპანიებისათვის ფულადი სახსრების გადაგზავნა. ამავე დროს, უცხოურ შვილობილ კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა, თავი აარიდონ იმ შეზღუდვებს, რომლებიც კაპიტალის გატანაზე დაანესეს უცხოეთის ქვეყნების მთავრობებმა.

უცხოური საინვესტიციო შესაძლებლობის ანალიზის დროს კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს ის პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები, რომლებიც უცხო ქვეყანაში არსებობენ. პოლიტიკური რისკის კონცეფცია განისაზღვრება როგორც ალბათობა იმისა, რომ პოლიტიკური ძალები ქვეყნის ბიზნეს



გარემოში გამოიწვევენ სერიოზულ ცვლილებებს, რომლებიც კომპანიას არ მისცემს მის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევის საშუალებას.

ჩვეულებრივ, პოლიტიკური რისკი უფრო მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც ადგილი აქვს სოციალურ მღელვარებებს. პოლიტიკურმა და სოციალურმა მღელვარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, რომელიც გამოიწვევს კომპანიის აქტივების გაუფასურებას, გადასახადების განაკვეთების ზრდას, სავალუტო კონტროლის შემოღებას, ყოველივე ეს კი ზღუდავს ან ბლოკავს უცხოური შვილობილი კომპანიის მიერ თავისი შემოსავლების დამფუძნებელ კომპანიაში გადარიცხვის შესაძლებლობებს. ნებისმიერი ამ მოვლენის დადგომის ალბათობა ამცირებს საინვესტიციო შესაძლებლობის მიმზიდველობას.

პოლიტიკურმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს უცხოური კომპანიების ქონების ჩამორთმევა. ბოლო წლებში ქონების ჩამორთმევის რისკი თითქმის ნულამდე შემცირდა. მაღალი პოლიტიკური რისკის დროს დიდა ალბათობა იმისა, რომ ქვეყანაში მოხდება პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლა, რაც საფრთხეს შეუქმნის იქ მომუშავე უცხოურ კომპანიებს.

ეკონომიკური რისკის კონცეფცია გულისხმობს, რომ ეკონომიკის მართვის პროცესში დაშვებული შეცდომები გამოიწვევენ ქვეყნის ეკონომიკური პირობების სერიოზულ ცვლილებებს, რაც კომპანიას არ მისცემს დაგეგმილი მოგების მიღებისა და სხვა მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის საშუალებას. როგორც წესი, ყველაზე სერიოზული პრობლემა არის ინფლაცია. ტრადიციულად, ქვეყნების უმრავლესობა ეკონომიკური აქტივობის სტიმულირებას უშედეგოდ ცდილობს ფულის შიდა მიწოდების გაზრდით და მცირე რაოდენობის საქონლისთვის საჭიროა დიდი რაოდენობით ფული, რის შედეგად წარმოიშობა ფასების ინფლაცია. ფასების ინფლაცია გამოიხატება სავალუტო ბაზარზე ეროვნული ფულადი ერთეულის ღირებულების შემცირებით, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნის უცხოურ კომპანიას, რომელსაც აქტივები აქვს ამ ქვეყანაში, რადგან კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან მიღებული ფულადი ნაკადების ღირებულება მცირდება ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო, შედეგად კი, მცირდება ინვესტირების მიმზიდველობაც.

უცხოური საინვესტიციო შესაძლებლობის ანალიზის დროს, საჭიროა ნებისმიერი დამატებითი რისკის განხილვა, რომელიც გულისხმობს, უცხოური პროექტებისათვის დისკონტირების განაკვეთის გაზრდას მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების მქონე ქვეყნებში. რაც უფრო მაღალია დისკონტირების განაკვეთი, მით უფრო მეტი უნდა იყოს მოსალოდნელი წმინდა ფულადი ნაკადები, რადგან ინვესტირების შედეგად იყოს დადებითი წმინდა მოსალოდნელი ღირებულება.

როგორც წესი, დისკონტირების განაკვეთის კორექტირება კონკრეტული ქვეყნის რისკის გათვალისწინებით გავრცელებული პრაქტიკაა. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებისთვის პოლიტიკური

და ეკონომიკური რისკების შეფასება მიეკუთვნება არა უახლოეს შესაძლო მოვლენებს, არამედ უფრო შორეულ პერსპექტივას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ისეთი რისკიანი პროექტების შესაფასებლად, გამოყენებული არ უნდა იყოს დისკონტირების უფრო მაღალი განაკვეთი, არამედ უმჯობესია, რომ პროექტიდან მიღებული მომავალი ფულადი ნაკადები შეფასდეს უფრო დაბალი დისკონტირების განაკვეთის გამოყენების საშუალებით, რადგან მომავალში მოხდეს არახელსაყრელი პოლიტიკური ან ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინება.

დაფინანსების შემთხვევების განხილვის დროს მნიშვნელოვანია თუ როგორ მოხდება უცხოური ინვესტიციების დაფინანსება. თუ საჭიროა გარე დაფინანსება, მაშინ კომპანიამ უნდა გადაწყვიტოს, აუცილებელი სახსრების მისაღებად საჭიროა თუ არა კაპიტალის გლობალური ბაზარი, თუ ფულს საზღვარგარეთ ისესხებს. ასევე, აუცილებელია კომპანიამ გადაწყვიტოს, თუ როგორი უნდა იყოს უცხოური შვილობილი კომპანიის ფინანსური სტრუქტურა.

თუ კომპანია აპირებს პროექტისათვის გარე დაფინანსების წყაროს მოძიებას, მაშინ ის ფულს ყველაზე იაფი წყაროსაგან ისესხებს. როგორც წესი, კომპანიები სულ უფრო ხშირად მიმართავენ კაპიტალის გლობალურ ბაზრებს, რადგან მათი სიდიდისა და ლიკვიდობის გამო ამ ბაზარზე კაპიტალის ღირებულება უფრო ნაკლებია კაპიტალის ბევრ ადგილობრივ ბაზართან შედარებით.

თუმცა, ფინანსური მომსახურების ბაზრის დერეგულირების ტენდენციის მიუხედავად, ზოგჯერ უცხოური ქვეყნის საკანონმდებლო შეზღუდვებმა ეს ვარიანტი შეიძლება შეუძლებელი გახადონ. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა მოითხოვს, ან უკიდურეს შემთხვევაში რეკომენდაციას იძლევა, რომ უცხოურმა ტნკ-მა ამ ქვეყნებში პროექტები დააფინანსონ ადგილობრივი სესხების საშუალებით ან ადგილობრივ ბაზრებზე აქციების გაყიდვით. იმ ქვეყნებში, სადაც ლიკვიდობა შეზღუდულია, ეს ზრდის პროექტის დასაფინანსებლად გამოყენებული კაპიტალის ღირებულებას. ასე რომ, განსაზღვრული კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ანალიზის დროს ამ ფაქტის გათვალისწინებით დისკონტირების განაკვეთი უნდა გაიზარდოს. თუმცა ეს შესაძლებლობა ერთადერთი არ არის. უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ზოგიერთი მთავრობა უცხოური კომპანიებს სთავაზობს სესხებს დაბალი პროცენტით, რათა შემცირდეს კაპიტალის ღირებულება. შესაბამისად, განსაზღვრული კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის ანალიზის დროს ასეთ შემთხვევებში დისკონტირების განაკვეთი უნდა შემცირდეს.

კაპიტალის ღირებულებასა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებაზე საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობების პოლიტიკის გავლენის გარდა, ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტიც: იმ ქვეყნებში, სადაც მოსალოდნელია სავალუტო ბაზარზე ადგილობრივი ფულადი ერთეულის გაუფასურება, კომპანიამ შეიძლება განიხილოს ადგილობრივი სესხების ხარჯზე ინვესტიციების დაფინანსების ვარიანტი.



ადგილობრივი ვალუტის რაოდენობა, რომელიც საჭიროა საპროცენტო გადახდებისთვის და ადგილობრივი სასესხო ვალდებულებების ძირითადი თანხის დასაფარად, არ შეიცვლება, როდესაც ქვეყნის ვალუტა უფასურდება. მაგრამ თუ აუცილებელია უცხოური სასესხო ვალდებულების მომსახურება, მაშინ ამისათვის საჭირო უცხოური ვალუტის რაოდენობა გაიზრდება ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შესაბამისად, რაც ნამდვილად გაზრდის კაპიტალის ღირებულებას. ასე რომ, უცხოეთში ადგილობრივი სესხების შემთხვევაში კაპიტალის სანყისი ღირებულება შეიძლება უფრო მაღალი იყოს, მაგრამ ზოგჯერ უფრო ხელსაყრელია ფულის სესხება ადგილობრივ ვალუტაში, თუ სავალუტო ბაზარზე მისი კურსი შემცირდება.

როგორც სესი, სხვადასხვა ქვეყნებში დაფუძნებულ კომპანიებს განსხვავებული ფინანსური სტრუქტურა გააჩნიათ. ფინანსური სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება სასესხო ვალდებულებების და სააქციო კაპიტალის თანაფარდობა, რომლებიც ბიზნესის დაფინანსებისათვის გამოიყენება. სხვადასხვა ქვეყანებში არსებული განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმები განსაზღვრავენ სესხების და აქციების გამოშვების მიმზიდველობას.

საერთაშორისო კომპანიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია უნდა დაიცვას თუ არა მან კაპიტალის სტრუქტურის ადგილობრივი ნორმები. ადგილობრივი ნორმების დაცვის სასარგებლოდ არგუმენტების მცირე რაოდენობა არსებობს. ამ მიდგომის ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ უცხოური შვილობილი კომპანიების მენეჯმენტისათვის აქციონერულ კაპიტალზე შემოსავლიანობის შეფასება უფრო მარტივია, ამავე დარგის ადგილობრივ კონკურენტებთან შედარებით. თუმცა ეს სუსტი არგუმენტია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის. კიდევ ერთი ხშირად გამოყენებული არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ნასესხები სახსრების ადგილობრივი, უფრო მაღალი ნორმების დაცვას შეუძლია გააუმჯობესოს იმ უცხოური შვილობილი საწარმოების იმიჯი, რომლებსაც ჰქონდათ სესხების დაბალი წილი და ამის გამო, ადგილობრივი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიმართ

მგრძობიარენი არ იყვნენ. თუმცა ეს არგუმენტიც არ გამოიყურება ძალიან დამაჯერებლად. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია რომ საერთაშორისო კომპანიამ თითოეული უცხოური შვილობილი კომპანიისათვის დაადგინოს ისეთი ფინანსური სტრუქტურა, რომელიც მოახდენს მისი კაპიტალის ღირებულების მინიმიზირებას, იმის მიუხედავად, ეს სტრუქტურა ადგილობრივ პრაქტიკას შეესაბამება თუ არა.

გადაწყვეტილებები ფულადი სახსრების მართვის შესახებ წარმოადგენს კომპანიის გლობალური ფინანსური რესურსების მართვის ყველაზე ეფექტიან მცდელობებს, რომელიც მიმართულია ნაღდი ფულის გადინების და საოპერაციო ხარჯების შემცირებისკენ. ნებისმიერ მომენტში კომპანიას უნდა გააჩნდეს ნაღდი ფულის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც საჭიროა ანგარიშების მომსახურებისათვის, დაფარვის ვადის მქონე სახაზინო ობლიგაციების გადახდის და ნაღდი ფულის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპანია, როგორც წესი, ნაღდი ფულს განათავსებს ფულის ბაზრის ანგარიშებზე, რომელიც მოუტანს საპროცენტო შემოსავალს. თუმცა, კომპანიას უნდა ჰქონდეს ანგარიშებიდან ფულის შეუფერხებლად მოხსნის შესაძლებლობა. ჩვეულებრივ, ასეთი ანგარიშებზე საპროცენტი განაკვეთი შედარებით დაბალია. ამავე დროს, კომპანია შეიძლება უფრო მაღალი საპროცენტო შემოსავლის მიღებას, თუკი ნაღდი ფულის მარაგების ინვესტირებას მოახდენდა გრძელვადიან ფინანსურ ინსტრუმენტებში. მაგრამ გრძელვადიანი ინსტრუმენტების გამოყენება მოუხერხებელია იმის გამო, რომ კომპანიას ინსტრუმენტის მოქმედების ვადის გასვლამდე თავისი ფულის უკან დაბრუნება სერიოზული ფინანსური დანაკარგების გარეშე არ შეუძლია. არსებობს დილემა, თუ კომპანია ნაღდი ფულს განათავსებს ფულადი ბაზრის ანგარიშებზე, მაშინ ის უზრუნველყოფს შეუზღუდავ ლიკვიდურობას, მაგრამ ღებულობს შედარებით დაბალ საპროცენტო შემოსავალს. თუ კი, კომპანია ნაღდი ფულის ინვესტირებას მოახდენს გრძელვადიან ფინანსურ ინსტრუმენტებში, მაშინ ის მიიღებს უფრო მაღალ საპროცენტო შემოსავალს, მაგრამ შემცირდება მისი აქტივების ლიკვიდურობა.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ტრანზაქციური ხარჯები, რომელიც კომპანიას წარმოეშობა ნაღდი ფულის კონვერტირებისას ერთი ვალუტიდან მეორეში. როგორც წესი, ტრანზაქციის შესრულებისთვის კომპანია სავალუტო დილერს უხდის საკომისიო ჯილდოს. ასევე, ტრანზაქციური ხარჯების კიდევ ერთი ნაირსახეობაა ბანკების მიერ საკომისიო გადასახადის დაკისრება ტრანსფერისათვის, ანუ ნაღდი ფულის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადარიცხვისთვის. კონვერტაციასა და შიდასაფირმო ტრანზაქციების შედეგად წარმოშობილ ტრანსფერზე საკომისიო გადასახადების საერთო სიდიდე შეიძლება საკმაოდ მაღალი იყოს. გაეროს მონაცემებით, საერთაშორისო ვაჭრობაში გარიგებების 40% მოდის ტრანსნაციონალური კორპორაციების უცხოურ შვილობილ საწარმოებს შორის გარიგებებზე. მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთკომპენსაციას შეუძლია შეამციროს ტრანზაქციების რიცხვი ტნკ-ის შვილობილ საწარმოებს შორის, რითაც შემცირდება საერთო დანახარჯები ვალუტის კონვერტაციასა და ფულადი სახსრების გადარიცხვებზე.

სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული საგადასახადო რეჟიმები გააჩნიათ. ქვეყნების უმრავლესობა ეთანხმება მსოფლიო საერთო პრინციპს, რომლის თანახმად მათ უფლება აქვთ დაბეგრონ შემოსავალი, რომელიც მოცემულ ქვეყანაში დარეგისტრირებულმა

კომპანიებმა მიიღეს ამ ქვეყნის ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ორმაგ დაბეგრვას ადგილი აქვს მაშინ, როცა უცხოური შვილობილი კომპანიის შემოსავალი იბეგრება უცხოეთის ქვეყანაშიც და იმ ქვეყანაშიც, სადაც დამფუძნებელი კომპანია მდებარეობს. მაგრამ ორმაგი დაბეგვრა გარკვეულ წილად შერბილებულია საგადასახადო გამოქვითვების და გადასახადის გადახდის შესახებ შეთანხმებების მოქმედებისა და ასევე, გადავადების პრინციპის მეშვეობით. საგადასახადო გამოქვითვა კომპანიას საშუალებას აძლევს, რომ მან თავისი მთავრობისათვის გადახდილი გადასახადის სიდიდე შეამციროს უცხოეთის სახელმწიფოს მთავრობისათვის გადახდილი გადასახადის სიდიდემდე. ორ ქვეყანას შორის გადასახადის გადახდის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულია, თუ შემოსავლის რომელი მუხლები დაიბეგრება იმ ქვეყნის მთავრობის გადასახადით, სადაც ეს შემოსავალი იყო მიღებული. გადავადების პრინციპი აზუსტებს, რომ დამფუძნებელი კომპანიების მიერ უცხოური წყაროებიდან მიღებული შემოსავალი არ დაიბეგრება მანამდე, ვიდრე დამფუძნებელი კომპანიები არ მიიღებენ მათ კუთვნილ დივიდენდებს.

გელა წიკლაური,
თსუ, ფინანსები და საბანკო საქმის კათედრის
მონწევული პროფესორი

ლიტერატურა:

1. პაპავა ვლადიმერ. „პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა“ თბილისი 2005
2. კვარაცხელია დემნა. „გლობალიზაცია სუვერენული სახელმწიფო ეროვნული ეკონომიკა“ თბილისი 2003
3. ნ. შარაძე. „მსოფლიოს გლობალური ეკონომიკური განვითარება და მისი ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე“ ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“ 2001 წ. #11
4. Global Competitiveness Report 2005-2006. World Economic Forum, Geneva, Switzerland, 2006
5. Социально-экономическая эффективность: опыт США. Ориентир на глобализацию Под ред. Э.В. Кириченко, М.: Наука, 2002

INVESTMENT DECISIONS IN TRANSNATIONAL COMPANIES

Gela Tsiklauri, TSU Invited Professor
Department of Finance and Banking

SUMMARY

Fast integration with international markets creates opportunities for economic development and at the same time increases the risk factor due to rapid changes of environment and cash flow. These events give us possibility to determine utility maximization and risk minimization caused by integration with international markets. Decisions in international business about investment, financing and cash management is complicated because countries have different currencies, different taxation systems, different laws about financing of commercial activities, different levels of economic and political risks, etc. Decision about investing in particular country in a certain kind of activity should be made by taking in consideration economic, political, cultural and strategic changes. The role of financial manager in international organization is quantitative access of benefits, costs and risks associated with investments in foreign country. In order to solve this issue, methods of capital investment analysis should be used, according to this, quantitative assessment of investment benefits, costs and risks will be possible.